

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ნინო გოკიელი

საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და
სოციალური უსაფრთხოება

დისერტაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი

2021

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
კვებისა და ასაკობრივი მედიცინის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

პროფესორი შალვა ზარნაძე

პროფესორი ბიძინა ზურაშვილი

ექსპერტები:

პროფესორი ოთარ გერზმავა

ასოცირებული პროფესორი დევი ტაბიძე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის აკადემიური დოქტორი ნინო ჯაფარიძე

დისერტაციის წინასწარი განხილვა შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კვებისა და ასაკობრივი მედიცინის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტების, „ჯანდაცვის ორგანიზატორთა“ და „გარემოს მედიცინის“ პროფესიული ასოციაციების გაერთიანებულ სხდომაზე.

2021 წლის 13 ივლისი / ოქმი N 9/

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. N 29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის 20 დეკემბერს 16:00 სთ-ზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე. სადისერტაციო დარბაზში (ვაჟა-ფშაველას გამზ. N 33).

TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

Nino Gokieli

Social defence and social security of the population of Georgia

**Thesis of Scientific Study for the
Academic Degree of PhD in Public Health**



Tbilisi

2021

The Scientific Study is completed in Tbilisi State Medical University, the department of food and aging medicine.

Scientific supervisors:

Professor Shalva Zarnadze

Professor Bidzina Zurashvili

Experts:

Professor Otar Gerzmava

Associated Professor Devi Tabidze

Phd Nino Japaridze

Preliminary review of the dissertation was held at Tbilisi State Medical University. At the joint session at the Department of food and aging medicine and the department of health promotion of associations of “public health organisers” and “environmental medicine”, 13.07.2021 (Protocol N 9).

Full version of the dissertation can be accessed at the library of Tbilisi State Medical University, (N29 Vazha-Pshavela ave).

The defence of this thesis will take place at 20th of December 2021, in the dissertation hall on the first floor of administrative building of Tbilisi State Medical University, (33 Vazha-Pshavela ave).

სარჩევი

სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება.....	6
სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა.....	6
ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.....	7
თავი 1 ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
სოციალური დაცვა და სოციალური უსაფრთხოება.....	10
საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა.....	16
სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების ქვეყნების სოციალური დაცვა და უსაფრთხოება.....	31
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	60
თავი 2 კვლევის მასალა და მეთოდები.....	61
თავი 3 კვლევის შედეგები და განსჯა.....	66
პირველი ამოცანა.....	66
მეორე ამოცანა.....	69
მესამე ამოცანა.....	92
მეოთხე ამოცანა.....	107
მეხუთე ამოცანა.....	120
თავი 4 დასკვნები და რეკომენდაციები.....	128
დასკვნები.....	128
რეკომენდაციები.....	129
თავი 5 ინგლისურის თეზისი.....	130
თავი 6 გამოყენებული ლიტერატურა.....	135
გამოქვეყნებული ნაშრომები.....	147
ნაშრომი პირველი.....	147
ნაშრომი მეორე.....	151
ნაშრომი მესამე.....	155
ნაშრომი მეოთხე.....	157
ნაშრომი მეხუთე.....	160
ნაშრომი მეექვსე.....	163
ნაშრომი მეშვიდე.....	168

სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს, როგორც ახალგაზრდა სახელმწიფოს სწორი და სწრაფი განვითარებისათვის საჭიროა მრავალი რეფორმის გატარება და ამ მიმართულებით კრიტიკულად მნიშვნელოვანია მსოფლიო გამოცდილების გაზიარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითების შესწავლა და მათი ადაპტირებული ვარიანტის გააზრებული დანერგვა ქვეყნის მდგრადი და სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებები, საომარი მოქმედებები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენის ზრდა, იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, მოსახლეობის დაბერება, შრომისუნარიან და ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაში მიგრაციის მაღალი სიხშირე სერიოზულ პრობლემებს ქმნის სოციალური დაცვის სფეროში.

განვითარებული და ეფექტური სოციალური დაცვის და სოციალური უსაფრთხოების სისტემების შექმნისათვის უმნიშვნელოვანესია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება. ამავდროულად, ქვეყნის სოციალური დაცვის და სოციალური უსაფრთხოების პროგრამები საჭიროებს მუდმივ მონიტორინგს, შეფასებას, ანალიზსა და გაუმჯობესებას, რომ გახდეს უფრო ეფექტური და ფოკუსირებული შესაბამისი საჭიროების მქონე მოსახლეობისთვის. პროგრამებს აუცილებლად უნდა გააჩნდეს შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას მისცემს შესაბამის სამსახურებს მინიმუმამდე შეამცირონ არსებული ხარვეზები და გაუმჯობესონ არსებულ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა.

- სადისერტაციო კვლევის ფარგლებში პირველად იქნა შესწავლილი სოციალური პროგრამებით ხელმისაწვდომობისა და კმაყოფილების ხარისხი მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ და სოციალურ ჯგუფებში.

- შესწავლილი და შეფასებული იქნა საკანონმდებლო გარემო, საკანონმდებლო დოკუმენტების განხორციელების, საზოგადოების ინფორმირებულობისა და ხელმისაწვდომობის პრობლემები.
- გაანალიზებული და შეფასებული იქნა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების საკითხებზე, მათი სავარაუდო იმპლემენტაციისთვის ქვეყანაში არსებული სოციალური გარემოსა და სოციალური მარკერების მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და შენარჩუნება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ჯანმრთელი ქცევის მოდელის, უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს, უსაფრთხო და ჯანსაღი კვების, ხარისხიანი სამედიცინო დახმარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის ახალი კონცეფციის დანერგვა მოსახლეობის ყველა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფისათვის თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით წარმოადგენს მნიშვნელოვან პრიორიტეტს ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე.

ჩვენს მიერ განხორციელებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების შედეგებმა, ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების პროგრამების მიმართულებით არსებული გამოწვევების, მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის იდენტიფიცირების და პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიების შესაძლებლობა მოგვცა. ჩატარებული კვლევების შედეგები და სამეცნიერო პუბლიკაციები შესაძლებელია გამოყენებული იყოს სოციალური დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამების ეფექტური დაგეგმვისას და განხორციელებისას.

პირველად კომპლექსურად იქნა შეწავლილი სხვადასხვა შემოსავლის მქონე პირების, სოციალურად დაუცველი ფენის, დევნილების, ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდების, ხანდაზმულებისა და უნარშეზღუდულების სოციალური დაცვისა და

სოციალური უსაფრთხოების სისტემების ეფექტურობა. მათი შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან სისტემის სრულყოფის მიზნით, მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება კიდევ უფრო მეტად იზრდება, სახელმწიფო სტრუქტურების დაინტერესებითა და კვლევაში აქტიური, უსასყიდლო მონაწილეობით. ამავდროულად, კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და შეფასებები უმნიშვნელოვანესია სოციალური სისტემის შემდგომი განვითარებისა და დახვეწის ღონისძიებების დასაგეგმად და იმპლემენტაციისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები:

დისერტაციის თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო ნაშრომი (დანართი გამოქვეყნებული ნაშრომები).

აპრობაცია შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კვებისა და ასაკობრივი მედიცინის დეპარტამენტში (13.07.2021 ოქმი№ 9)

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე, 177 ნაბეჭდი გვერდით და შეიცავს შესავალს, 6 თავს, დასკვნებს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას (169 წყარო, მათ შორის 149 უცხოურ ენაზე), დანართებს: 24 ცხრილს, 21 გრაფიკს, გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებს.

თავი I.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1. სოციალური დაცვა და სოციალური უსაფრთხოება

სოციალური დაცვის სისტემა

სოციალური დაცვა მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყნის სიღარიბის შემცირებისა და სხვა მრავალგანზომილებიანი საჭიროებების უზრუნველყოფაში. ეს არის პროცესების ერთობა მიმართული ისეთი პოლიტიკის და ინტერვენციის დანერგვისკენ, რაც ღარიბი და დაუცველი ადამიანების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და უსაფრთხოების რისკების შემცირებას განაპირობებს. სოციალური დაცვის პოლიტიკით სახელმწიფო იცავს მოსახლეობის ორივე - ღარიბ და ნაკლებად მოწყვლად ფენას, მათი ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვით, როგორც საზოგადოების სოციალური სარგებლის შემქმნელ ნაწილს. სოციალური დაცვის პოლიტიკა არის ფართო პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მოიცავს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, წარმოებისა და დასაქმების ხელშეწყობას, ჯანმრთელობისა და განათლების სისტემების სრულფასოვნებასა და ხელმისაწვდომობას, რაც მიზნად ისახავს მოსახლეობის სიღარიბის, მოწყვლადობისა და დაუცველობის რისკების შემცირებას. [1, 14, 15, 10].

სოციალური დაცვა განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო და კერძო პოლიტიკისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელთა მიზანია საზოგადოებაში არსებული სოციალური რისკების პრევენცია და შემცირება, მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გამძლიერება, ასევე მოსახლეობის შრომითი აქტივაცია. სისტემა ემსახურება როგორც დასაქმებულ, ასევე დაუსაქმებელ მოქალაქეებს, მათ შორის, ბავშვებს, ხანდაზმულებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (შშმპ) და ა.შ. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, ინდივიდების სოციალური დაცვის საჭიროებათა გამოვლენისა და დაკმაყოფილებისთვის, სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირებაში საკვანძო როლი ენიჭება მომსახურებებს და სექტორებს შორის კოორდინაციას, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შტოების შეთანხმებულ მოქმედებას. [10, 22, 95, 124, 126].

ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით შექმნილი საქართველოს პარლამენტის დოკუმენტის თანახმად, სოციალური დაცვის სისტემის

განვითარებისა თუ ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი შემადგენელი შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. ინკლუზიურობის უზრუნველყოფა: სისტემის ინკლუზიურობის გაზრდას ხელს უწყობს მულტისექტორული მიდგომების დანერგვა, ეფექტიანი საჯარო მმართველობა, მტკიცებულებათა შეგროვება და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის ანალიზი, კერძო და სამოქალაქო სტრუქტურებთან გაზრდილი კოორდინაცია და ა.შ. საჭიროა სოციალური დახმარების, შრომისა და სოციალური დაცვის სხვა პროგრამებში მეტად ჩაერთოს აქტიური საზოგადოებისგან გარიყული და განსაკუთრებით მოწყვლადი ინდივიდები, ჯგუფები და თემები.

2. სოციალური რისკების პრევენცია: სოციალური რისკების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მიზნით, პრევენციული პოლიტიკის ძირეული ასპექტების გაუმჯობესება; ასევე უმუშევრობით, ხანდაზმულობით, შეზღუდული შესაძლებლობითა და სხვა გარემოებებით განპირობებული შემოსავლების კლებისა და სოციალური ფუნქციონირების მკვეთრი დაქვეითების დაკომპენსირება სოციალური დაცვითა თუ სხვა მექანიზმების გამოყენებით.

3. პროდუქტიულობის გაზრდა: ადამიანურ კაპიტალში, განსაკუთრებით კი ბავშვებში, ინვესტირება ზრდის ინდივიდების შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ზრდასრული მოსახლეობის დასაქმებას და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. დასაქმებისა და შრომის საკითხების მართვის პროცესში, სოციალური დაცვის სისტემის როლი არის დასაქმებულთა დაცვა, შრომის რეგულირება და შემოსავლის დაკარგვისგან დაცვის პროგრამების შემუშავება. სახელმწიფო სოციალური სისტემა ასევე ზრუნავს მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა ეკონომიკური აქტიურობის გაზრდაზე, რისთვისაც სხვადასხვა მექანიზმს იყენებს, როგორცაა დახმარების მიღების პერიოდში მათი უნარ-ჩვევების განვითარება, გამოცდილების გაღრმავება, დასაქმების ხელშეწყობა და სხვა.

4. სისტემური მიდგომა: სოციალური დაცვის პროგრამები ავსებს ერთმანეთს და პასუხობს მოწყვლადი მოქალაქეების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სისტემური მიდგომის დანერგვის პროცესში, ყურადღება ეთმობა ქვეყნისათვის პრობლემურ ისეთ საკითხებს, როგორცაა მოსახლეობის დაბერება, ახალგაზრდების უმუშევრობა,

ინსტიტუციურ ზრუნვაზე მაღალი დამოკიდებულება, სოციალური სფეროს (განსაკუთრებით, პრევენციული და თემზე დაფუძნებული მომსახურებების) შეზღუდული დაფინანსება და ა.შ. შედეგად, ძლიერდება სოციალური დაცვის სისტემის პრევენციული, რისკების შემცირებისა და მოსახლეობის შრომითი აქტივაციის ფუნქცია. იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპს და ხელს უწყობს სოციალურ ინკლუზიას, თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას, სოლიდარობის განმტკიცებას, დისკრიმინაციის აკრძალვას, მონაწილეობასა და გამჭვირვალობას. [9, 10].

სოციალური დაცვის სისტემას სხვა პოლიტიკურ მიდგომებთან ერთად, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გრძელვადიან პოლიტიკურ პროგრამებში, რომელთა მიზანია, როგორც მოსახლეობის სიღარიბის დაძლევა, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ სერვისების ხელმისაწვდომობა, დაწესებულებების ინფრასტრუქტურის და ინსტიტუციების განვითარება. აღსანიშნავია, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სრულფასოვნად მოწყობილი სოციალური სისტემისა და ხარჯთეფექტური სოციალურ დაცვის მექანიზმების გარეშე [155].

სოციალური დაცვა (Social Protection) და სოციალური უსაფრთხოება (Social Security) ზოგიერთ ქვეყანაში ხშირად სინონიმებად გამოიყენება და ძნელია მათი მკაფიო გამიჯვნა (International Labour Organization, 2010). პირობითად შეიძლება ითქვას, რომ

სოციალური დაცვა უფრო ფართო ცნებაა და თავის თავში მოიცავს სოციალურ უსაფრთხოებას, რომელიც გულისხმობს სოციალური დაცვის იმ ნაწილს, სადაც ძალისხმევა სავალდებულო ხასიათისაა (Paas, et al., 2004). ეს კარგად ჩანს სოციალური უსაფრთხოების საერთაშორისო ასოციაციის მიერ მოწოდებულ განმარტებაში: „სოციალური უზრუნველყოფა შეიძლება განისაზღვროს, როგორც კანონმდებლობით დადგენილი სოციალური დაცვის ნებისმიერი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნებების შემოსავლების უსაფრთხოების ხარისხს, რაც კავშირშია მოხუცებულობასთან, ქმედუუნარობასთან, შეზღუდულ შესაძლებლობებთან, უმუშევრობასა ან ბავშვებზე ზრუნვასთან. სოციალური სისტემა ასევე გვთავაზობს სამკურნალო და პრევენციულ-პროფილაქტიკური ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას” (International Social Security Association, 2011).

სოციალურ დაცვაში განსაკუთრებული როლი აკისრია ქვეყნის მმართველობას. ხელისუფლება პასუხისმგებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. დემოგრაფიული ძვრები, მზარდი ასაკოვანი პოპულაციები, გლობალიზაცია, ეპიდემიური დაავადებების მართვა, ინფექციები, მედიკამენტების ფასის ზრდა ითხოვს ეფექტური სოციალური პროგრამების დანერგვას. ადამიანის უფლებაა იყოს დაცული სახელმწიფოს, როგორც უმაღლესი პოლიტიკის შემქმნელი და განმახორციელებელი ორგანოს მიერ. ხელისუფლებას აკისრია მნიშვნელოვანი ვალდებულება მისივე მოსახლეობის კეთილდღეობისა და უსაფრთხო ცხოვრებისთვის [28].

აზიის განვითარების ბანკის მიერ სოციალური დაცვის სტრატეგიის დოკუმენტში სოციალური დაცვა განისაზღვრა შემდეგნაირად: „პოლიტიკისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელიც შექმნილია სიღარიბის და დაუცველობის შემცირებისთვის, რაც მიიღწევა შრომის ბაზრების გაძლიერებით, მოსახლეობის რისკებისა და საფრთხეებისგან დაცვით და მათი შემოსავლების შემცირება/დაკარგვის საწინააღმდეგო მოქმედებით.“ (Asian Development Bank, (ADB). Social Protection Strategy (SPS) 2001). განსაზღვრება ზუსტად მიუთითებს სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლზე სოციალური დაცვის სისტემების განვითარებაში. მსოფლიო ბანკი (World Bank. Holzmann R. 2001) ინდივიდების, ოჯახებისა და ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოებაში, რისკების თავიდან აცილებაში ასევე ძირითად როლს სახელმწიფოს აკისრებს.

სოციალური დაცვის სისტემის კომპონენტები

სოციალური დაცვის სისტემა, პირობითად შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან, რომელთა მეშვეობით ხდება სარგებლის მიწოდება ბენეფიციარამდე, მოსარგებლემდე:

- სოციალური დაზღვევა;
- სოციალური დახმარება: სერვისები, სუბსიდიები, დასაქმების პროგრამები;

- სოციალური კომპენსაციები;
- სოციალური მაშველი ბადე.

1. სოციალური დაზღვევა (social insurance) - ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია გარკვეული რისკების უარყოფითი შედეგების შემსუბუქებისა და კომპენსაციისაკენ რისკების გადანაწილების (სოლიდარობის) პრინციპით, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ახდენს დაფინანსებასა და ადმინისტრირებას, თუ კერძო სექტორი. სოციალური დაზღვევა, როგორც წესი, სავალდებულოა და ფინანსდება სადაზღვევო შენატანებით. თუმცა, იგი შეიძლება ნებაყოფლობითიც იყოს, როდესაც სახელმწიფო ფინანსური სტიმულირებით ახალისებს სოლიდარობის მექანიზმში მონაწილეობას.

2. სოციალური დახმარება (social assistance) - საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილების მექანიზმი, რომელიც მიმართულია გაჭირვებაში მყოფი იმ ადამიანების (ოჯახების) ყოფის გაუმჯობესებისაკენ, რომელთაც ამ დახმარების გარეშე სიღარიბე ემუქრებათ. სოციალური დახმარება შეიძლება იყოს, როგორც ფულადი, რომელსაც „შემწეობას“ ვუწოდებთ, ასევე არაფულადი, რომელიც გამოიხატება შეღავათებითა და სოციალური სერვისით.

3. სოციალური კომპენსაციები (social compensations) - მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისთვის მიყენებული ზიანის საზოგადოების მიერ ანაზღაურების (დაფარვის) მექანიზმი. ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს საზოგადოებრივი საქმიანობის გაწევით ან სტიქიური უბედურებით.

4. სოციალური მაშველი ბადე (Social Safety Net) - სოციალური დაცვის ღონისძიებების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემსახურება ადამიანების დაცვას გაღარიბებისგან (პირველ რიგში) ან არსებული სიღარიბიდან ამოყვანას (რიგ შემთხვევებში). სოციალური მაშველი ბადე არ არის სოციალური დაცვის სისტემის (ორგანიზაციული, სტრუქტურული) ცალკე კომპონენტი, არამედ ის წარმოადგენს ღონისძიებების ერთობლიობას სხვადასხვა ფუნქციური ნიშნით. მაგალითად, უმუშევრობის დაზღვევა, რაც განეკუთვნება სოციალური დაზღვევის კომპონენტს, სამსახურის და შრომითი შემოსავლის დაკარგვისას იცავს პიროვნებას (ან ოჯახს) გაღარიბებისგან გარკვეული დროის მანძილზე, კერძოდ ხელახლა დასაქმებამდე ან დაზღვევის ვადის ამოწურვამდე. თუ ამ

პერიოდში პიროვნება ვერ დასაქმდება და ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, უპირობოდ ან გარკვეული პირობებით (მაგ. საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების გაწევა) ირთვება სოციალური შემწეობების მექანიზმი, როგორც არის სოციალური დახმარებების კომპონენტი [14,15,155].

ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა განვითარებადი მსოფლიოს სოციალური სისტემის ძირითადი სამიზნე მიმართულებაა. მათი ჯიბიდან გადახდის, დამატებითი ღირებულებების გადახდით დაფინანსებული ჯანდაცვა გადადის სოციალურ დაზღვევაზე. ქვეყნებში კი, სადაც განვითარებულია სოციალური დაზღვევა, ჯანდაცვის სერვისების დაფარვა და მოსახლეობის მოცვა ფართოვდება. სამეცნიერო კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური დაზღვევა არ გვაძლევს ხარისხიან ჯანდაცვის სერვისებს დაბალ ფასად, რაც შესაძლოა შესყიდვების არასრულფასოვანი რეგულაციის ბრალი იყოს. სავარაუდოდ, მნიშვნელოვანია ასევე, რომ შემოსავლების შეგროვებაში ძირითადად მონაწილეობს დასაქმებული მოსახლეობის ფორმალური სექტორი და პროგრამები მიმართულია ღარიბი მოსახლეობის მოცვისკენ. ქვეყნები მაღალი ეკონომიკური განვითარების მიღწევამდე ნაკლებად ფარავენ არამოწყვლადი და არაფორმალურად დასაქმებულების სერვისებს [136].

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა

საქართველოს სოციალური დაცვის ისტორიული ხედვა

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემამ განვლილი 25 წლის მანძილზე განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები გაიარა. საბჭოთა კავშირის დაშლამ სოციალური პოლიტიკის მიმართულებით საბჭოთა მიდგომების შეცვლა გამოიწვია. არსებული სისტემა დაინგრა და მის ადგილზე საჭირო გახდა ახლის აშენება. ეკონომიკური ტრანზიციის სრული დასაქმების დასრულებას ნიშნავდა, რაც საბჭოთა კეთილდღეობის სისტემის საფუძველს წარმოადგენდა. ტრანზიციამ აგრეთვე მოიტანა სიღარიბის დრამატული გაზრდა. მსოფლიო ბანკის სტანდარტებით ჩატარებული გამოკვლევის თანახმად 1988 წელს მოსახლეობის 2 % ცხოვრობდა აბსოლუტურ სიღარიბეში ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. ათი წლის შემდეგ 1998 წელს მსოფლიო ბანკის მიხედვით ადამიანების რაოდენობა, რომლებიც სიღარიბის სტანდარტის ქვემოთ ცხოვრობდნენ მოსახლეობის 21 პროცენტს შეადგენდა. სტატისტიკური მონაცემების სერიოზული დეფიციტი ამ ციფრების სიზუსტეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით 9 მილიონზე მეტი ყოფილი საბჭოთა მოქალაქე გადავიდა საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში 1990 დან 1996 წლებში (Myant, Drahokoupil 2011).[14].

საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობით მიიღო სოციალური დაცვის საბჭოთა მოდელი, რომელიც საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის თანახმად ოთხ პრინციპს ეყრდნობოდა (თვალჭრელიძე, 2003):

- უფასო სამედიცინო მომსახურება;
- საპენსიო სისტემა;
- სახელმწიფო დაზღვევის სისტემა;
- პრივილეგიები პროფკავშირების წევრებისათვის.

1991 წელს ერთიან საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის ფონდში გადახდილი სოციალური ანარიცხები (სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში მყოფი საწარმოებიდან 38%-ის ოდენობით, საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან – 27%-ის ოდენობით) ხმარდებოდა პენსიების, საოჯახო დახმარებებისა და დროებითი შრომისუუნარობის სარგებლის გაცემას. ეს დანახარჯები მშპ-ს 11.5%-ს შეადგენდა; ასაკობრივი, შრომისუუნარობის, მარჩენალის დაკარგვისა და სოციალური პენსიები მშპ-ს 10%-ს შეადგენდა. პენსიების

ჩანაცვლების კოეფიციენტი საშუალოდ 70%-ს უტოლდებოდა. პენსიონერთა 49% იყო ასაკით პენსიონერი. 1992-ს ფონდის შემოსავლებმა დაგეგმილის 50-60% შეადგინა, რის გამოც დაირღვა პენსიების რეგულარული გადახდა, ხოლო დროებითი შრომისუუნარობის სარგებლის გაცემა შეწყდა (The World Bank, 1993). 1996 წელს მთავრობამ გაზარდა საპენსიო ასაკი. შრომითი პენსიისათვის საპენსიო ასაკი გახდა ქალისათვის 60, ხოლო მამაკაცისათვის 65 წელი, ხოლო სოციალური პენსიის ასაკი (ადამიანები, რომლებიც არ იხდიდნენ სოციალურ გადასახადს) ქალისათვის 65, ხოლო მამაკაცისათვის 70 წელით განისაზღვრა. ასაკობრივი პენსიის შემოღება და მისი ოდენობის განსაზღვრა უკავშირდება ბაზრის ლიბერალიზაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. [14].

2005 წლიდან, როცა პენსია გაორმაგდა, პენსიის ზრდა პირდაპირ კავშირში აღარ იყო ბაზარზე სახელმწიფოს ინტერვენციებთან. საქართველოს მთავრობამ 2005 წელს პენსიების გაორმაგებასთან ერთად დაფარა მანამდე არსებული (14 ლარიანი პენსის) დავალიანებები და უზრუნველყო შემდგომში მათი სრულად და დროულად გაცემა. [14, 15].

საქართველოს ხელისუფლებამ სოციალური დაცვის და უსაფრთხოების სფეროში ეროვნული პოლიტიკა 2005 წელს შემდეგი პრიორიტეტებით განსაზღვრა:

- სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის დაძლევა - სიღარიბის შემცირება, ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა;
- უმუშევრობის შემცირება - ქვეყანაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სოციალური მობილურობის გაზრდა;
- განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება - საყოველთაო დაწყებითი და საშუალო განათლებით მოსახლეობის უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი მისი მისადაგება;

- პენსიებისა და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმა - სოციალური დახმარების პროგრამების მიზნობრიობის უზრუნველყოფა; საპენსიო და სხვა დავალიანებების დაფარვის დასრულება;
- ჯანდაცვის სისტემის რეფორმა - ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა; სოციალური დაზღვევის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; ცხოვრების ჯანსაღი წესის და გარემოს დამკვიდრების ხელშეწყობა;
- სოციალურად საშიშ დაავადებათა (ტუბერკულოზი, შიდსი, ნარკომანია) პრევენცია [20].

2007 წლიდან სახელმწიფო იწყებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის დაზღვევის მექანიზმით, რაც პრინციპულია ორი ნიშნით:

- მოსახლეობის ყველა ფენისათვის გარკვეულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ნაცვლად სახელმწიფო ეტაპობრივად მიმართავს ფინანსურ სახსრებს ყველაზე გაჭირვებული ფენების სამედიცინო მომსახურებით სრულ მოცვაზე, ანუ უნივერსალურობის პრინციპი იცვლება შერჩევითობით.
- სამედიცინო მომსახურების შესყიდვის ნაცვლად სახელმწიფო სახსრები ხმარდება პირველადი ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვას ბაზარზე, კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებისათვის მომსახურების ანაზღაურების ნაცვლად, უხდის რა სადაზღვევო კომპანიებს სტანდარტულ სადაზღვევო შენატანს (პრემიას), სახელმწიფო ყიდულობს მათგან სადაზღვევო პროდუქტს.

ქვეყნის მასშტაბით ბენეფიციარებს (სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ წარმოებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 2007 წლის 1 ივლისამდე დარეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლები იყო 70 000-ზე) გადაეცათ სადაზღვევო ვაუჩერი („მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი“). მათ შეეძლოთ აერჩიათ მზღვეველი – ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია, რითაც ბენეფიციარებს მზღვეველის თავისუფალი არჩევანის საშუალება მიეცათ. წლიური სადაზღვევო პრემია განისაზღვრა საშუალოდ 132,12 ლარის

ოდენობით (0-64 წლის დაზღვეულთათვის თვეში 9,24 ლარის ოდენობით, ხოლო 65 და მეტი ასაკის დაზღვეულთათვის – 15,01 ლარის ოდენობით). 2008 წლის ბოლოსათვის პოლისი გადაეცა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ 666 651 ადამიანს. 2009 წელს დაზღვევამ მოიცვა არა მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, არამედ იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად დევნილი ოჯახები და ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები, ბავშვები მცირე ტიპის საოჯახო სახლებსა და სკოლა-პანსიონებში. იწყებს რა „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის“, „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის“, „კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის“ და „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის“ პროგრამების განხორციელებას, 2010 წლიდან სახელმწიფო აფართოებს ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა კონტინგენტს; სადაზღვევო პრემიას განსაზღვრავს საშუალოდ 180 ლარის ოდენობით (0-64 წლის დაზღვეულთათვის თვეში 12,93 ლარის, ხოლო 65 და მეტი ასაკის დაზღვეულთათვის – 21,43 ლარის ოდენობით) [16,17,19].

2009 წელს გადაისინჯა საოჯახო დახმარების გაცემისა და ადმინისტრირების წესი. საოჯახო დახმარება განიმარტა, როგორც „ფულადი სახის სოციალური დახმარება, რომელიც დანიშნული აქვს უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა (მათ შორის დევნილთა ოჯახების) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ კატეგორიებს“. საოჯახო დახმარება მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისთვის განისაზღვრა 22 ლარის ოდენობით, ხოლო ორ და მეტსულიანი ოჯახებისთვის – 35 ლარის ოდენობით; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ ბავშვზე – 22 ლარის ოდენობით; მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 7 ან 7-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი – 35 ლარის ოდენობით [18].


საქართველოს კონსტიტუციის კანონპროექტის მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველო, როგორც სოციალური სახელმწიფო ზრუნავს:

- საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე;
- ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის (მაღალმთიანი რეგიონების განსაკუთრებლად კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს);
- მოქალაქის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე;
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარებაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.

გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მოქალაქეებს დასაქმებაში და კანონით განსაზღვროს საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები. ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს შრომისა და სოციალური დაცვის სფეროს გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება. ეს აუცილებელია კონსტიტუციაში დეკლარირებულ ვალდებულებათა რეალიზებისათვის, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქმედითი სისტემის დანერგვისათვის, რომელიც ადამიანის უფლებებზე დამყარებულ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. [10, 126, 163].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით ბოლო წლების მანძილზე მდგრადია და მაღალი უმუშევრობის დონე, იკლებს აქტიური მოსახლეობის, ანუ ეკონომიკის შემქმნელი ძირითადი ნაწილის რაოდენობა [3]. მსოფლიოს სხვადასხვა განვითარების ქვეყნებთან შედარებით ეს მაჩვენებელი მაღალია საქართველოში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მეტად დიდია უმუშევრობის წილი, ვიდრე თუნდაც ძალიან დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში (გრაფიკი 1.).

გრაფიკი 1. უმუშევარი მოსახლეობის წილი სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში



წყარო: World Bank. International Labour Organization, ILOSTAT database. Data retrieved in December 2019.

იკლებს ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის წილი, მდგრადი და მაღალია სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა, თუმცა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი - იკლებს. (ცხრილი 1. გრაფიკი 2. გრაფიკი 3).


ცხრილი 1. დასაქმება და უმუშევრობა

2012 2013 2014 2015 2016 2017 2018 2019

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2 004.5	1 978.6	1 984.6	2 018.0	1 996.2	1 983.1	1 939.9	1 911.2
დასაქმებული, ათასი კაცი	1 659.4	1 643.4	1 694.4	1 733.8	1 717.3	1 706.6	1 694.2	1 690.2


უმუშევარი, ათასი კაცი	345.1	335.2	290.2	284.2	278.9	276.4	245.7	221.0
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	17.2	16.9	14.6	14.1	14.0	13.9	12.7	11.6

გრაფიკი 2. სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა, საქართველო



გრაფიკი 3. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)



ქვეყნის მასშტაბით საშუალო განათლების მიღება არის მოსახლეობის ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნაში მოსწავლეთა უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომია ხარისხიანი საჯარო განათლების სისტემა. (ცხრილი 2).


ცხრილი 2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და მოსწავლეთა რიცხოვნობა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სულ	2 317	2 320	2 328	2 331	2 331	2 321	2 308	2 313	2 313
მათ შორის, საჯარო სკოლები	2 084	2 084	2 084	2 085	2 085	2 085	2 085	2 085	2 086
მოსწავლეთა რიცხოვნობა, ათასი	568.5	559.4	553.0	554.0	553.9	564.7	575.2	584.4	592.9
მათ შორის, საჯარო სკოლებში	516.7	506.7	502.0	500.3	498.9	508.9	518.0	524.0	530.1

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სახელმწიფოს წილი განათლებაზე მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) დაფინანსებაში მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნების მსგავსია (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4.სხვადასხვა განვითარების დონის ქვეყნებში განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში



წყარო: World Bank, UNESCO Institute for Statistics.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში კერძო სასწავლო დაწესებულებების წილი მეტია, ვიდრე საჯარო.

სოციალური პროგრამები და სახელმწიფო გასაცემლები საქართველოში


სოციალური პროგრამები

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში ახორციელებს:

1. **ფულადი სოციალური დახმარების** (საარსებო შემწეობა) პროგრამას, რომლის ფარგლებშიც სოციალურად დაუცველ ოჯახების ყველა პირზე ხდება სარეიტინგო ქულის შესაბამისად, ყოველთვიურად თანხით დახმარება.
2. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამას**, რომლის მიზანია ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება შობადობის მატერიალური წახალისების გზით. ფინანსდება ყველა ის ბავშვი, რომელიც დაბადების დღის მდგომარეობით, არის მისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე, ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი. რეგიონები შერჩეულია სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ და დღეის მდგომარეობით მოიცავს გურიას, იმერეთს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო/ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს.
3. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა მაღალმთიანი რეგიონებისათვის**, რომლის მიზანია განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, შობადობის მატერიალური წახალისების მეშვეობით [2].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მიუხედავად სახელმწიფო ძალისხმევისა, დემოგრაფიული მაჩვენებელი მდგრადია და ზრდის ტენდენცია წინა წლებში მცირედ გამოიხატებოდა, როგორც შობადობის მატების, ასევე სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის თვალსაზრისით (გრაფიკი 5) [3].

გრაფიკი 5. მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები



სახელმწიფო გასაცემლები

ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო გასაცემლები განისაზღვრება:

1. **სახელმწიფო პენსიის სახით**, რომელსაც იღებს საქართველოს მოქალაქე მამაკაცი - 65 წლის და ქალბატონი - 60 წლის შესრულების შემდეგ.
2. **საყოფაცხოვრებო სუბსიდიის სახით**, რომელიც სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად არის განკუთვნილი. ის ეძლევა: მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მიღებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

პირებს; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე; ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს, აგრეთვე მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) (44 ლარის ოდენობით), სამხედრო ძალების ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას (22 ლარის ოდენობით); ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინვალიდებულ პირებს; ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს; ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად მარჩენლის დაკარგვისათვის პენსიის მიმღებ ოჯახებს; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრებს (7 ლარის ოდენობით); ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, დაღუპულთა შრომისუუნარო მშობლებს, შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვან შვილს ან/და ნაშვილებს (44 ლარის ოდენობით), დაზარალებულ პირებს (22 ლარის ოდენობით).[7].

3. სახელმწიფო კომპენსაციის სახით, რომელიც გადაეცემა: გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს, საქართველოს პარლამენტის/უზენაესი საბჭოს წევრებს (ყოფილ წევრებს), პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკებს, საქართველოს საერთო სასამართლოების, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების ყოფილ მოსამართლეებს, სამოქალაქო ავიაციის ყოფილ მოსამსახურეებს, წარსულში უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირებს, ყოფილი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს - სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, 65 წლის ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო.[7].

4. სოციალური პაკეტი მიეწოდება: მარჩენალდაკარგულ პირებს, პოლიტრეპრესირებულ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირებს

5. ორსულობის, მშობიარობისა და ზავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება გაიცემა დასაქმებულისთვის, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებლისთვის გარკვეულ სამუშაოს ასრულებს. [7].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში საქართველოში მოიმატა პენსიის, სოციალური პაკეტისა და კომპენსაციის მიმღებ პირთა რაოდენობა, მაშინ როდესაც მკვეთრად შემცირდა საყოფაცხოვრებო სუფსიდიის მიღებთა რიცხვი (ცხრილი 3).

ცხრილი 3. პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღები მოსახლეობა

პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა								
წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა	856 990	857 011	866 170	874 935	887 338	898 113	910 013	934 333
ასაკით პენსიის მიმღები	682 886	686 675	697 240	707 709	720 194	732 067	745 001	762 621
სოციალური პაკეტის მიმღები	174 104	170 336	168 930	167 226	167 144	166 046	165 012	171 712
სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები	9 464	9 411	9 707	9 665	9 626	9 885	9 989	10 033
საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებები	12 724	9 467	8 533	8 095	7 463	7 080	6 710	396

ქვეყნის მასშტაბით ზავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამები

საქართველოში ბავშვები უფრო მეტად დგანან სიღარიბის საფრთხის წინაშე, ვიდრე მოსახლეობის სხვა რომელიმე ჯგუფი. საქართველოს ჯერ კიდევ არ გააჩნია ყოვლისმომცველი, სხვაგვარადსხვა ჯგუფის ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც ეხმარება ოჯახებს მოულოდნელი დარტყმების დაძლევისა და გაძლიერებაში. დღემდე ბევრი ოჯახია დარჩენილი ბავშვზე ორიენტირებული კანონმდებლობის / პოლიტიკის, ფულადი დახმარებისა თუ სოციალური სერვისების გარეშე. პირველ რიგში, ესენი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვები და ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან.

დაუცველობის მაღალ ხარისხს ხშირად ისეთი სიტუაციებიც განაპირობებს, როცა ადამიანები მოულოდნელად ღარიბდებიან. ეს შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა მდგომარეობებმა, როგორცაა უმუშევრობა, ავადმყოფობა ან ოჯახის წევრის სიკვდილი. ეს პრობლემა ხშირად ახალგაზრდა (20-30 წლის) მშობლების შემთხვევაში ვლინდება, რომელ ასაკობრივ კატეგორიაში ნაკლებია სახელმწიფოს დახმარება. კვლევებმა დაადგინეს მჭიდრო კავშირი უმუშევრობას, როგორც სოციალურ დეტერმინანტს და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის. ბავშვებსა და მათ ოჯახებს არ აქვთ წვდომა სოციალურ მომსახურებებსა და ოჯახების დახმარების სერვისებზე, განსაკუთრებით სოფლებში [6,26,76].

საქართველოს სახელმწიფო ზრუნავს ბავშვთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე შემდეგი სოციალური პროგრამების განხორციელებით:

1. ბავშვთა ძალადობისგან დაცვის პროგრამა იცავს ბავშვს ძალადობის ყველა ფორმისგან ოჯახში და მის გარეთ.
2. ბავშვის შვილად აყვანის, მურვეობა-მზრუნველობის დაწესებისა და საერთაშორისო გაშვილების პროგრამები იცავს ბავშვებს უსახლკარობისა და შიმშილისგან, უქმნის უსაფრთხო გარემოს.
3. ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული პროგრამები მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს ეხმარება მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ან ოჯახებში ან საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახებში აღზრდის პროცედურებში.

4. ოჯახის დამხმარე პრევენციული ღონისძიებები, დღის ცენტრების და დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამების სახით ეხმარება ოჯახებს და ახდენს ბავშვთა მიტოვების პრევენციას.
5. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ხდება სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკური რეაბილიტაცია, აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.
6. ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით ბავშვების განვითარების სტიმულირება, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია.
7. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით ხდება მიუსაფარ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია.
8. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა ახდენს სილატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირებასა და ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ხელშეწყობას.
9. მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის პროგრამა ემსახურება ბავშვთა რეაბილიტაციასა და ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას [2].

სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების ქვეყნების სოციალური დაცვა და უსაფრთხოება

სოციალური დაცვა მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში

სოციალური დაცვა ევროპაში

ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობის სოციალური დაცვა მიმართულია ოთხი ძირითადი სფეროს გაძლიერებისკენ: დასაქმების და შემოსავლების დაცულობა, საპენსიო სისტემის მდგრადობა, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა და მაღალ ხარისხიანი და მდგრადი ჯანდაცვის სერვისების ჩამოყალიბება. 2000 წელს ევროპის სოციალური დაცვის კომიტეტის შექმნიდან ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს ერთიანი სოციალური პოლიტიკის გატარებისთვის (Council Decision 2000/436/EC of 29 June 2000 setting up a Social Protection Committee). 2001 წლიდან ეროვნული გეგმის გატარების შედეგად, მდგრადი პროგრესი განვითარდა სოციალური ინკლუზიის მიმართულებით. 2003 წლიდან ევროპის სოციალური დაცვის კომიტეტისა და ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტის ერთობლივმა, ეროვნული საპენსიო სისტემის სტრატეგიის დოკუმენტში გაწერილმა გეგმამ, განხორციელების მწვერვალს მიაღწია. ევროკავშირის მრავალი პოლიტიკური დოკუმენტი ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, ძალისხმევა მიმართონ ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასა და მოხუცთა მკურნალობის გრძელვადიან პროგრამებისკენ [98, 160].

მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისადმი ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის მთავარი საკითხია. ევროპის სოციალური დაზღვევა მიისწრაფვის უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის მოწყობისკენ, ძლიერდება ტრადიციულ სოლიდარობის პრინციპზე დაყრდნობილი სოციალური დაცვა, რაც უზრუნველყოფს სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის თანასწორობასა და სოციალური პრობლემების წინაშე ერთიან ხედვას. [32, 66, 101, 149, 150, 156, 158, 165].

ევროპის ქვეყნებში სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსება ნელი ტემპით იზრდებოდა 1990-იანი წლების მეორე ნახევრამდე. მაღალი დანახარჯები სოციალურ დაცვის მხრივ, ისევე როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ხარჯზე (GDP) გაიზარდა 1999 წელს საშუალოდ 29 %-ის სახით, რაც ქვეყნებს შორის განსხვავებული იყო, შვედეთში 33%-ს შეადგენდა, ხოლო ირლანდიაში 15%-ს. თუმცა, ევროკავშირის ქვეყნებს შორის

დიდი დიფერენცირება არ გამოიხატებოდა სოციალური და საშემოსავლო გადასახადების მხრივ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი, რამაც შეამცირა უმუშევართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამების წილი. [83, 145]. უმუშევრობის ზრდა პირდაპირკავშირშია ავადობასა და სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდასთან. თუმცა ქვეყნის კეთილდღეობასთან მიმართებაში აღნიშნული კავშირი ვარირებს. ნათელი სხვაობა დადგინდა ანგლო-საქსონურ, ბისმარკის და სკანდინავიურ რეჟიმებს შორის. ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობა ადამიანების ავადობაზე და მათ კეთილდღეობაზე ნაკლებად ახდენს ზეგავლენას. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნების სოციალური დაცვის და უსაფრთხოების დონე, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის უმუშევრობის ნეგატიური ზეგავლენისგან დაცვას. ამასთანავე, უმუშევრობას ქალებში მეტი ნეგატიური ზეგავლენა აქვს, განსაკუთრებით ანგლო-საქსონურ და სკანდინავიურ რეჟიმის ქვეყნებში. [78, 88, 91, 140].

ევროკავშირის სოციალურ დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი აქვს ასაკოვან პენსიონერთა და მათი ჯანდაცვის დაფინანსებას. ის დაახლოებით 2/3-ია. ასევე სწრაფად იზრდება მოწყვლადი ოჯახებისა და ბავშვების ჯგუფების სუბსიდირების თანხები, რამაც გადააჭარბა მთლიანი შიდა პროდუქტის მატების სიჩქარეს.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა კავშირის ქვეყნების სოციალური დაცვის ფონდის შევსებაში. მათი დაახლოებით 60% სოციალური ზოგადი გადახდებით ივსება, თუმცა არის ქვეყნები სადაც საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადახდები აჭარბებს სახელმწიფო ზოგად კონტრიბუციას. ევროკავშირის ქვეყნების სოციალური სისტემისთვის, სოციალური გარიყულობა (ექსკლუზია) მიიჩნევა მრავალგანზომილებიან პრობლემად. სოციალური დაცვა მიმართულია სიღარიბის შემცირებისა და სოციალური ინკლუზიისკენ. თუმცა სისტემის სხვა მიმართულებები, როგორცაა დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა და შინმოვლა განიხილება პოპულაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რათა არ შეიქმნას სიღარიბის და სოციალური ექსკლუზიის რისკი. ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დასაქმებაზე. სოციალური ინკლუზიის პოლიტიკის შემადგენელია ბავშვთა

დახმარება და მარტოხელა მშობლებზე ზრუნვა, რათა მოხდეს პიროვნების ტრანზაქცია დახმარების მიღებიდან ანაზღაურებად დასაქმებულამდე. [38, 61].

ევროკავშირის ქვეყნების ჯანდაცვისა და სოციალური სისტემისადმი მოთხოვნილება მზარდია ეკონომიკური განვითარების, მედიცინის სფეროს გაძლიერებისა და მოსახლეობის დაბერების ზრდასთან ერთად [160]. ევროპის ეკონომიკურმა კრიზისმა მრავალი ქვეყანა იძულებული გახადა ჯანდაცვის დაფინანსების წილი შეემცირებინა. ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სიცოცხლის ხარისხის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მდგრადობა. ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემებს მეტი ვალდებულება ხვდათ წილად ოჯახების და თემების კეთილდღეობაზე ზრუნვის მიზნით. [41, 92, 105].

ევროპის ქვეყნებში მაღალ ეკონომიკურ-სოციალური განვითარების სახელმწიფოები სოციალური სახელმწიფოს განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკით ჩამოყალიბდა. სოციალური დაცვის ევროპული მოდელი რამოდენიმე ასპექტს აერთიანებს:

- დაფუძნებულია ფუნდამენტურ სამოქალაქო უფლებებზე, რაც ღირსეულ დასაქმებასა და გაერთიანებებში გაწევრიანების უფლებას მოიცავს.
- მთავრობა ცდილობს უზრუნველყოს სრული დასაქმება და აქტიურ როლს ასრულებს ეკონომიკაში – შრომის ბაზრის მართვაში, ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობით.
- მოქმედებს უმუშევრობის დაძლევის, სოციალური დაზღვევისა და დაცვის პროგრამები.
- ევროპის სოციალური მოდელი გამოირჩევა ხელმძღვანელობასა და შრომის კავშირებს შორის დიალოგის მაღალი ხარისხით, რაც ხორციელდება სოციალური დიალოგის მექანიზმის გამოყენებით, სადაც აქტიურად არიან ჩართული დამსაქმებელთა წარმომადგენლები და პროფესიული კავშირები.
- პროგრესული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია შემოსავლების სამართლიან, სოლიდარულ და ეფექტურ რედისტრიბუციაზე.

- სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული საპენსიო სისტემები. [54, 121, 146, 161, 169].

ბოლო წლების მანძილზე განათლების ხელმისაწვდომობა ევროპის ქვეყნების პოლიტიკის ერთერთი მიმართულებაა. ასევე, პრიორიტეტული რეფორმაა სახელმწიფო სასწავლო დაწესებულების არჩევანის თავისუფლება. [110, 127].

1995 წლიდან გერმანიის ჯანდაცვის სახელმწიფო სოციალურმა სისტემამ განავითარა უნივერსალური დახმარების პროგრამა, რაც მოიცავდა მოსახლეობის ფართო ასაკოვანი ჯგუფის ხანგრძლივ მომსახურებას. სოციალური დაზღვევა ფარავდა ქვეყნის ყველა მოქალაქის სამედიცინო მომსახურების სრულ სერვისს. გაძლიერდა ხანდაზმულთა მომსახურების სისტემები და შინ მოვლის ხელმისაწვდომობა. უკანასკნელი რეფორმები მიმართულია პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისკენ, მოსახლეობისთვის ბენეფიტების გაზრდისკენ, სხვადასხვა უნარშეზღუდულთა ზრუნვისთვის სარგებლის გაზრდისკენ. პროგრამა ზრდის სადაზღვევო პრემიას კერძო დაზღვევის სუბსიდირებით და „დემოგრაფიული სარეზერვო ფონდის“ შექმნით. [43, 107, 117, 159]. 2002 წლიდან საფრანგეთის გრძელვადიანი მომსახურებისა და დახმარების (LTSS) სამ ნაწილიანი მოდელი აერთიანებს 60 წლის ზემოთ მოსახლეობის უნივერსალური მოცვის პროგრამას. საფრანგეთის მაგალითი გვაჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სოციალურ დაზღვევაში ჩართულობა დაბალშემოსავლიანი პირებისა, რადგან მათ დამსაქმებელი წარადგენს პროგრამაში. [80, 164].

სოციალური დაცვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებული შტატებში მოსახლეობის შემოსავლების უსაფრთხოებას, ოჯახების გადარიბების საფრთხის აცილებას ბევრი ფედერალური და სახელმწიფო პროგრამა ემსახურება. სოციალური დაცვის სიტემას საფუძველი 1935 წლიდან ჩაეყარა. სოციალურ დაცვის აქტით განისაზღვრა უმუშევართა დაზღვევა, განდაზმულთა დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა და სხვა დაზარალებულთა დაზღვევა, მოსახლეობის კეთილდღობის საჭიროებიდან გამომდინარე სოციალური პროგრამები. ეს

უკანასკნელი მიმართული არის ოჯახების პრობლემების შემსუბუქებისკენ. ყოველთვიური სოციალური დახმარების პროგრამა, ფულადი გადახდების სახით, 1942 წლიდან დაიწყო. მიუხედავად ქვეყანაში მრავალი ეკონომიკური ცვლილებებისა, სოციალური დაცვის პროგრამა დანერგვისთანავე მოიცავდა სოციალური დაზღვევის პრინციპებს. სისტემა ფართოვდებოდა ეტაპობრივად. 1935 წლის საპენსიო ბენეფიციარებს 1939 წელს მიემატა ბავშვზე ზრუნვის, მარჩენალ დაკარგული მშობლის, ომში დაზარალებულთა და სხვა მოწყვლადი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ ომის პერიოდში სოციალურ სისტემაში არაფერი შეცვლილა, 1950 წლიდან ამერიკაში სოციალური პროგრამების ისტორიაში დაიწყო გარდაქმნების დეკადა: ბენეფიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჯანდაცვის მომსახურების მოცვა გახდა უნივერსალური და დაინერგა ახალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაზღვევის სისტემა. 1960-იან წლებში სოციალური დაცვა მეტად გაიზარდა სარგებლის მიმღები პოპულაციის ზრდის თვალსაზრისით, 1965 წლიდან დაინერგა ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა - Medicare. 1970-იან წლებში საკანონმდებლო ქმედებებმა ფაქტობრივად ჩამოაყალიბა დღევანდელი არსებული სოციალური დაცვის პროგრამა. წლების მანძილზე იზრდებოდა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ხარჯები, შესაბამისად ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მისი წილი 3-დან 5 %-მდე გაიზარდა. 1977 წელს სოციალური დაცვის აქტში შევიდა ცვლილება, პროგრამების დაფინანსებასთან დაკავშირებით. პროგრამებში საბოლოო ძირითადი ცვლილებები განხორციელდა 1983 წელს. ცვლილებები დაეყრდნო ალან გრინსპანის კომისიის რეკომენდაციებს, რის საფუძველზეც შეიცვალა შეღავათები, დახმარებები, გადასახადები. მიუხედავად იმისა, რომ კომისია მოკლევადიან გეგმაზე მუშაობდა, მიღებულმა რეფორმებმა შექმნა მოთხოვნასთან შედარებით, ჭარბდაფინანსებული პროგრამები და სანდო ფონდი. თუმცა, დემოგრაფიულმა ფაქტორებმა, როგორცაა დაბერება, ხანდაზმულთა პროგრამები, შობადობა, შესაძლოა გარკვეულ წილად იმოქმედოს ფონდის ამოწურვაზე 2042 წლისთვის. [153]. ბოლო 40 წლის მანძილზე სოციალურმა დაზღვევამ - Medicare მიაღწია დასახულ ორ ძირითად მიზანს: მოხუცთა და შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ჯანდაცვის

ხელმისაწვდომობა და მათი დაცვა მძიმე ფინანსური სირთულეებისგან. 2003 წლის განახლებულ Medicare-ს სოციალურ აქტში მნიშვნელოვანი წარმატებები აღინიშნა მედიკამენტებით მოცვის მხრივ. სამომავლო მიზანია გაზარდოს ბავშვთა საპენსიო და ჯანდაცვის სერვისების დაფინანსება, ამერიკის მოსახლეობისთვის გაზარდოს ხელმისაწვდომობა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებისადმი და დაიცვას ფინანსური ძვრებისგან. [77, 132, 148, 152, 162].

კვლევების თანახმად, დაბალშემოსავლიანი ხანდაზმულების ჯანმრთელობაზე სოციალური დაზღვევა - Medicare და ამერიკის ჯანდაცვის სისტემა მნიშვნელოვან ზრუნვას ახორციელებენ. პროგრამები უზრუნველყოფს არამხოლოდ სამედიცინო მომსახურებას, არამედ ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის ბინაზე ზრუნვასა და მოვლას, საკვებით და ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. [39, 46].

თანამედროვე კვლევები სწავლობენ ხანდაზმულთა ჯანდაცვის და სოციალური მომსახურებების და მედიკამენტების ხელმისაწვდომობას, მოქალაქისთვის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების არჩევანის უფლებას. სოციალური დაზღვევის მიერ შეთავაზებული დაწესებულების გარდა, მათ მიერ შერჩეულ დაწესებულებაში მიმართვისას, მათ უწყვეტ დამატებითი გადასახადების მოძიება. [57, 113].

სოციალური დაცვა ავსტრალიაში

ავსტრალიის სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემა უზრუნველყოფილია ფართო სპექტრის პროგრამებით, როგორცაა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი საცხოვრისებით უზრუნველყოფა, ბავშვთა დაცვისა და სუბსიდირების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათემო და ინსტიტუციების პროგრამები. სოციალური დაცვის განვითარების პერიოდში ავსტრალიის პოლიტიკა მიმართული იყო სიღარიბის აღმოფხვრისა და მისი რისკების შემცირებისკენ. ამ ეტაპზე კი მიზანს წარმოადგენს მდგრადი შემოსავლების უზრუნველყოფა და დასაქმების ხელშეწყობა. ავსტრალიის სოციალური დაზღვევის ეროვნული სისტემა 2008 წლიდან ჩამოყალიბდა, ძირითადად ფონდის შევსება ხდება სახელმწიფოს ძირითადი შემოსავლებით. ავსტრალიური სოციალური დაცვის მოდელი მნიშვნელოვნად

განსხვავდება სხვა საერთაშორისო აღიარებული ქვეყნებისგან. მაქსიმალურად ხდება ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის მობილიზება სოციალური უზრუნველყოფის გაძლიერებისაკენ.[58, 96, 145].

ავსტრალიას აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანდაცვის სისტემის მომსახურების უნივერსალურ დაფარვას. Medicare აწვდის უფასო სტაციონარულ მომსახურებას, თერაპიას, აფინანსებს კერძო კლინიკებში დახარჯული თანხის 75%-ს და სტაციონარული მომსახურების შემდეგ დახარჯული თანხის 85%-ს. Medicare-ს დაფინანსება ხდება ნაწილობრივ ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადებით (გარდა დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებისა), სახელმწიფო შემოსავლებით და პირის მხრიდან პირდაპირი გადახდებით. ფარმაცევტული შეღავათების სქემით (PBS), სამთავრობო თანამეგობრობა სუბსიდირებას უწევს რეცეპტის სახით გამოწერილ მედიკამენტებს.

ავსტრალიის სოციალური სისტემა მოიცავს:

- მთავრობის მიერ ადმინისტრირებული სოციალური უსაფრთხოების სისტემა - უზრუნველყოფს უმუშევარი (პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და აღმზრდელები), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და დროებით დაუსაქმებელი პირების გადასახადებით დახმარებას.
- ომის ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ნებაყოფლობითი პროფესიული გაერთიანება, რომელიც მხარდაჭერილია მთავრობის მხრიდან, საიდანაც გაიცემა ძირითადი და დაგროვებადი პენსია.
- ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დაფუძნებულია ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნულ სქემაზე. Medicare ფინანსდება ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადებით, სახელმწიფო ფინანსებიდან და პაციენტის მხრიდან გადახდებით.
- პროფესიული საქმიანობის დროს დაზარალებულთა და დაღუპულთა დახმარება, რაც მოიცავს ერთჯერად დახმარებას და მუდმივ კომპენსაციას. შტატების

მიხედვით პროგრამის დამფინანსებელია ან სახელმწიფო ბიუჯეტი, ან კერძო სადაღვევო სამსახური.

- საგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულების კომპენსაცია, რაც ითვალისწინებს ზარალისა და სამედიცინო ხარჯებს, დაფინანსებულს ავტოდაზღვევის კერძო სადაზღვევო სამსახურების მიერ.
- სიცოცხლის ნებაყოფლობითი დაზღვევა კერძო კომპანიების მიერ.
- ავადმყოფობით გამოწვეული შვებულების ანაზღაურება, დამსაქმებლის მხრიდან განსაზღვრული სრული ან ნაწილობრივი ხელფასის სახით დასაქმებულის ნამუშევარი წლებით დაგროვებული სარგებლისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- სხვადასხვა ფულადი სუბსიდირება და მომსახურება: ბავშვთა ზრუნვა, ხანდაზმულთა და შშმ პირთა საცხოვრისით და ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საყოფაცხოვრებო გადასახადების შემცირება. დაფარვა ხდება სახელმწიფო საპენსიო ფონდიდან და სხვა სახელმწიფო ფონდებიდან.

ამასთან, საშემოსავლო და დამატებით გადასახადებთან დაკავშირებით ქვეყანას აქვს გარკვეული დათმობები დაბალი შემოსავლების ოჯახების წევრებისა და სხვა მოწყვლადი მოსახლეობისთვის. [29, 60, 79].

ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, ავსტრალიის ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა ნაკლებადაა განვითარებული. 2016 წელს, თანამედროვე კვლევა ჩატარდა ავსტრალიის ბავშვთა და მოზარდთა პოპულაციაში, სოციალური დეტერმინანტის - ჯანდაცვის სისტემის მომსახურების ხელმისაწვდომობის თანასწორობის დასადგენად. გაკეთდა ავსტრალიის 17 სტრატეგიული დონის ბავშვთა მოსახლეობის ჯანდაცვის პოლიტიკის და ჯანმრთელობაზე მოქმედი სოციალური მახასიათებლების სისტემური ანალიზი. კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფო არ ითვალისწინებს სოციალურ დეტერმინანტებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაგეგმვის დროს, ამიტომ დარღვეულია თანასწორობა ხარისხიანი სერვისების ხელმისაწვდომობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის სხვადასხვა სოციალური სტრუქტურული ჯგუფების ბავშვებსა და მოზარდებში. სოციალური

დაცვის თანასწორობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს განათლებისადმი ხელმისაწვდომობა, გენდერული ბალანსი და ოჯახის კეთილდღეობის მაჩვენებელი. [28, 62, 67, 71, 81, 108].

სოციალური დაცვა იაპონიაში

იაპონიაში სოციალური დაცვის სისტემა მოწყობილია ისე, რომ მოქალაქეების ცხოვრების მინიმალური სტანდარტებით უზრუნველყოფის გარანტიას იძლევა და იცავს მათ გარკვეული სოციალური და ეკონომიკური რისკებისგან. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ოთხი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: სოციალური დახმარება, სოციალური დაზღვევა, სოციალური კეთილდღეობა და საზოგადოების ჯანმრთელობის შენარჩუნება. იაპონიის მოსახლეობის საშუალო ასაკი სწრაფად იზრდება და ვინაიდან მცირდება შობადობის მაჩვენებელი და იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა, შესაძლოა დაიწყოს მოსახლეობის რაოდენობის კლება. (იხ.გარფიკი 7). ამ ვითარებაში კრიტიკულ ხასიათს იძენს მზარდი პენსიების გადახდისა და შენარჩუნების, ასევე სამედიცინო მომსახურებისა და მოხუცებზე ზრუნვის საკითხები, რამდენადაც საზოგადოება ცდილობს ჰუმანური და მდგრადი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნას.

1950–იანი წლების ბოლოს ორი ეროვნული კანონის (ჯანმრთელობის დაზღვევისა და პენსიების შესახებ კანონები) მიღებამ თვითდასაქმებული მოქალაქეებისთვის, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ სოფლის მეურნეობით და ასევე იმ მოქალაქეებისთვის, რომლებზეც სოციალური დაზღვევა არ ვრცელდებოდა, ხელმისაწვდომი გახადა ეროვნული პენსიის და ეროვნული ჯანდაცვის სერვისების მიღება. 1961 წლის აპრილის დასაწყისიდან ძალაში შევიდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა და პენსია ხელმისაწვდომი გახდა იაპონიის ყველა მოქალაქისთვის. ეს სოციალური უზრუნველყოფის რეჟიმი მთავრობის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, რაც ადეკვატური იყო სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში. ჩამოყალიბდა მტკიცე სისტემა, რომელიც

ხალხის კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. ასაკოვანი მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები და ასაკოვანი მოსახლეობა გათავისუფლდა ჯანდაცვის გადასახადებისგან; ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად კი გაიზარდა სახელმწიფოს მიერ ოჯახების სამედიცინო ხარჯების დაფარვის პროცენტული მაჩვენებელი. პენსიების შესახებ განახლებული კანონმდებლობის მიხედვით გაიზარდა პენსიები და დამტკიცდა მცოცავი შკალა, რომელიც ასახავს სასაქონლო ფასებზე ცვლილებებს. ეს კი განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილისთვის იყო სასარგებლო, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებდა დახმარებას. 1983 წელს ძალაში შევიდა კანონი მოხუცებულთა ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურების შესახებ. კანონის თანახმად ასაკობრივი დაავადებების მკურნალობის ხარჯები უნდა დაეფარა არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევას, არამედ დამსაქმებელს, კოოპერატივს და ჯანმრთელობის დაზღვევის სხვა პროექტებს, რათა შემცირებულიყო სახელმწიფო ხაზინიდან ჯანმრთელობის ეროვნული დაზღვევის პროექტზე გაწეული დანახარჯები. ამასთან, ასაკოვან მოსახლეობას თავად უნდა გადაეხადა მკურნალობის ფიქსირებული საფასური. 1986 წლის აპრილში დამტკიცდა ახალი საპენსიო სისტემა. იაპონიის ყველა მოქალაქეს შეეძლო პენსიის მიღება. ეს პენსიები სამი სახის იყო: 1) „სახელმწიფო პენსია“ (კოკუმინ ნენკინ) თვითდასაქმებულთათვის; 2) „დასაქმებულთა პენსია“ (კოსეი ნენკინ) მათთვის, ვინც ხელფასს იღებს და 3) „ორმხრივი ურთიერთდახმარების პენსია“ (კიოსაი ნენკინ) სახელმწიფო მოხელეთათვის. 1986 წელს შემოიღეს ორსაფეხურიანი საპენსიო სისტემა, რომლის მიხედვით ყველა მოქალაქეს, შეუძლია აიღოს ორმხრივი პენსია, სახელმწიფოსგანაც და მათი დამსაქმებელი დაწესებულებებისგანაც. ამრიგად, ორსაფეხურიანი საპენსიო სისტემის პირველი საფეხურია სახელმწიფო პენსია, რომლისთვისაც ადამიანები აკეთებენ შენატანს 20-დან 60 წლამდე ასაკში და რომლისგანაც სარგებელს იღებენ 65 წლის ასაკიდან. მსოფლიოში, შედარებით საფრანგეთის მოსახლეობასთან, სადაც ასევე ღინიშნება მოსახლეობის დაბერება ბოლო 100 წლის მანძილზე, იაპონიის ხანდაზმულთა მაჩვენებელი, ყველაზე მაღალია. 2018

წელს მოსახლეობის 27,6% იყო 65 წლისა და მეტის. ბოლო 50 წლის მანძილზე ხანდაზმულ მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 5,7%-ით 1960 და 23,1%-ით 2010 წელს. [77, 109].

2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 5.5 მილიონი ადამიანი აღირიცხა, რომლებიც საჭიროებდნენ ხანგრძლივ მკურნალობას. იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულიყო ამგვარი მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, 1997 წელს იაკონიის პარლამენტმა მიიღო კანონი ხანგრძლივი მკურნალობის დაზღვევის შესახებ, რის შედეგადაც 2000 წელს შეიქმნა მკურნალობის სადაზღვევო სისტემა (LTCI) ხანდაზმულთათვის. ეს სისტემა აგროვებს დაზღვევის სავალდებულო გადასახადს მოსახლეობის ფართო სექტორიდან (ყველა მოქალაქე 40 წლის ასაკში და ზევით). [20,51,131]. ეროვნული სავალდებულო გრძელვადიანი დაზღვევის სისტემა (LTCI), რომელშიც ადმინისტრირებას ახდენს მუნიციპალიტეტები, ფარავს 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 40-64 წლის ასაკის პირების ჯანდაცვის, შინმშობის სერვისებს, შშმ პირების აღჭურვილობის საფასურს. მათი ძირითადი სამედიცინო მომსახურება იფარება ჯანდაცვის სადაზღვევო სისტემიდან (PHIS). პალიატიური ზრუნვისა და საშუალო სამედიცინო რგოლის ბინაზე მომსახურება იფარავს LTCI-ის ფარგლებში. ჯანდაცვის გრძელვადიანი სერვისები მეტწილად მიეწოდება მოხუცთა თავშესაფარებში. იაკონიის სახელმწიფო რეგულირებას უწევს უნივერსალურ საზოგადოებრივ ჯანდაცვის სადაზღვევო სისტემას (PHIS), რომელიც ახდენს ჯანდაცვის სერვისების უნივერსალურ დაფარვას. [95]. მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 10 % ჯანდაცვაზე მოდის. სახელმწიფოს ვალდებულება აქვს აღებული მოსახლეობას მიაწოდოს მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისები და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის მასშტაბით (47 რეგიონი) [40, 109].

ბოლო რამდენიმე დეკადის მონაცემების შესწავლით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იაკონიაში სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯები მზარდია მთლიან შიდა პროდუქტში. ჯანმრთელობის დაცვის უნივერსალური სისტემა, რომელიც სოციალური დაზღვევით ფინანსდება, დემოგრაფიული მაჩვენებლებიდან გამომდინარე

დიდ ხარჯებს აწყდება, რაც იწვევს ჰოსპიტალიზაციის და ჰოსპიტალში დაყოვნების შემცირების, სამედიცინო ხარჯების კლების ტენდენციას. [93, 94].

ეკონომიკურად დაბალი და საშუალო განვითარების ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემა


თანამედროვე მკვლევარების მონაცემებით, 1990-2010 წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობის ორი მესამედი ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს ქვევით. ეს ის ჯგუფია, რომელსაც არსებობისათვის მეტად ესაჭიროება სტაბილური სოციალური დაცვის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მოსახლეობის მესამედი სიღარიბეს არ განიცდის, მათი სოციალური კეთილდღეობაც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და გარემო რისკებზე. (Lopez-Calva and Ortiz-Juarez, 2014). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით (ILO,2011), მსოფლიო მოსახლეობის 75% არ არის ადექვატური სოციალური მომსახურების პროგრამებით მოცული, რაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკების წინაშე. [89]. სოციალური დაცვის შეფასებისთვის, 2000-2010 წლებში ჩატარდა კვლევა 150 განვითარებად ქვეყანაში. ამ წლების განმავლობაში განვითარებული ქვეყნების საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა, მსოფლიო გლობალიზაციამ, სავაჭრო გზების გახსნამ ზეგავლენა მოახდინა ღარიბი ქვეყნების ეკონომიკაზე. სახელმწიფოები შიდა სასოფლო სამეურნეო და საწარმოო მეურნეობით ადვილად აგვარებდნენ ქვეყანაში სოციალური დაცვის პროგრამებით მოსახლეობის მოცვას. მთავრობა მეტ თანხას გამოყოფდა სოციალური პროგრამების ბიუჯეტში. ლიბერალიზაციის და სავაჭრო ღიაობის შემდეგ გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტი, რაც საწყის ეტაპზე ასოცირდა გარკვეულ ეკონომიკურ შოკთან და კიდევ მეტად საფრთხე შეუქმნა დაუცველ ჯგუფებს დაბალი ანაზღაურებისა და სოციალური ბენეფიტების არ არსებობის გამო. წარმოების გაძლიერებასთან და ექსპორტის განვითარებასთან ერთად ქვეყნების ეკონომიკაც ძლიერდებოდა და ისინი ხდებოდნენ გლობალური პროდუქციული ჯაჭვის მონაწილე, რაც ზრდიდა ქვეყნის სოციალურ კეთილდღეობას. დადგინდა მჭიდრო და

პირდაპირი კავშირი სოციალური პროგრამების დანერგვასა და ქვეყნის ფინანსურ ინვესტიციებს, განვითარებას შორის. მოსახლეობისთვის სოციალური პოლისის ხელმისაწვდომობა საბოლოოდ, გახდა თანაბარი. ექსპორტიორი ქვეყნების გლობალური წარმოების სისტემაში სოფლის მეურნეობის საქონლის ჩართვა, ეხმარება ქვეყნებს შეამციროს მოსახლეობის სოციალური დაუცველობის დონე [69, 116, 119]. განვითარებადი ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემა დიდი ხნის მანძილზე დაფუძნებული იყო ფორმალურად დასაქმებული პირების საშემოსავლო გადასახადებით შევსებულ ფონდებზე. 2000-იანი წლებიდან საერთაშორისო ორგანიზაციების მითითებით სოციალური დაცვის გაძლიერება მიმართული გახდა სიღარიბის წინააღმდეგ ღონისძიებების დანერგვისკენ, კერძოდ ფულადი დახმარების გადაცემით ხდებოდა ღარიბი მოსახლეობის მოცვა. სოციალური საპენსიო პროგრამის ფარგლებში სარგებელს თანაბრად იღებს, როგორც არაფორმალურად, ისე ფორმალურად დასაქმებული მოსახლეობა. თუმცა გადასახადებით საპენსიო ფონდის შევსება მხოლოდ ფორმალურ დასაქმებულების საშემოსავლო გადასახადებზეა დამოკიდებული. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის სოციალური სისტემა ხასიათდება: დიდი არაფორმალური სამუშაო სექტორით, კერძო გადახდებით, რაც არ აიახვება სოციალური უსაფრთხოების სიტემაში, უნივერსალური სოციალური დაცვის არ არსებობით. [100, 141, 149]. მსოფლიო გლობალური კრიზისის პერიოდმა 2008-2010 წწ. დიდი ზეგავლენა მოახდინა დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნების სოციალურ დაცვასა და უსაფრთხოებაზე. საჭირო გახდა სოციალური დახმარების პროგრამებისთვის ფონდების თანხების მეტი გადანაწილება ღარიბი მოსახლეობის დახმარებისთვის, ტარდებოდა ერთჯერადი და მოკლე ვადიანი პროგრამები (საკვების, საწვავის გადაცემა), რაც არ იყო სისტემური და არ ჰქონდა სიღარიბის პრევენციის სახე. ამ პერიოდში, მაღალ განვითარებული ქვეყნებშიც კი იყო უმუშევრობის და სიღარიბის რისკების ზრდა, მათი პოლიტიკაც მიმართული იყო ოჯახების დახმარებისკენ. სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები დახმარებას უწევდა განვითარებად ქვეყნებს. [101, 131]. თანამედროვე კვლევების თანახმად, აზიის დაბალი და საშუალო ეკონომიკური განვითარების ქვეყნებისათვის მოსახლეობის კეთილდღეობის შესაფასებლად დადგენილია ეკონომიკური და

სოციალური ინდიკატორები. ინდოეთის სახელმწიფო აზიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, თუნდაც მასზე დაბალი ეკონომიკური განვითარებით, ნაკლებს ხარჯავს სოციალური კეთილდღეობისათვის და პროგრამებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე აღინიშნება ინდოეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და ინდოეთი წარმოადგენს მზარდი ეკონომიკის ქვეყანას, სადაც იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობის და მცირდება 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი [21, 42, 45, 104, 120]. 2016-2017 წლებში სისტემური კვლევა ჩატარდა დაბალი და საშუალო განვითარების ქვეყნების ჯანდაცვის დაფინანსების სისტემების შესასწავლად. კვლევამ მოიცვა 14 რეგიონი: პალესტინა, ჩინეთი, ჩინეთი-განსუ, ჩინეთი-ჰეილონგანგი, განა, უნგრეთი, ირანი, ტუნისი, ტანზანია, მალაიზია, მალაი, ზიმბაბო, უგანდა ჩილე. შეისწავლილი იქნა ქვეყნების მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის თანასწორობა. დადგინდა, რომ სადაზღვევო სისტემა (სოციალური და ინდივიდუალური) არის ძირითადი დაფინანსების მეთოდი, სადაც ინდივიდის პირდაპირი გადახდა ყველაზე არამდგრადი მეთოდია, რაც მრავალ ქვეყანაშია და მოსახლეობა მიჰყავს ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების უთანასწორო ხელმისაწვდომობისკენ. შედეგად ჩანს, რომ ქვეყნებში მრავალი ფაქტორი განაპირობებს ჯანდაცვის სიტემის დაფინანსების უთანასწორობას: მოსახლეობის მხრიდან მზარდი პირდაპირი გადახდები, სახელმწიფოს როლის შემცირება, პოპულაციის სრული მოცვის დარღვევა, განსაკუთრებით ღარიბი და მოწყვლადი ფენის, დაბალი შემოსავლების ჯგუფების იდენტიფიცირების პრობლემა მათი გადასახადებისგან განთავისუფლების წესების შემუშავებისთვის. [30, 138]. დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნების ერთერთ მთავარ პრობლემად რჩება არასაკმარისი კვება, რაც განისაზღვრება, როგორც საკვები რაციონის შემადგენლობის სიმწირით, ასევე უსაფრთხო საკვების ხელმისაწვდომობის შეზღუდვით. სოციალურ დაცვასა და უსაფრთხო კვებას შორის კავშირის დასადგენად, 2004-2012 წლებში ევროპის სხვადასხვა შემოსავლების მქონე 21 ქვეყანაში ჩატარდა კვლევა. ევროპის სტატისტიკის სამსახურის და ეკონომიკური განვითარების ეროვნული სამსახურის (Eurostat, 2015a) 2015 წლის მონაცემების თანახმად, უმუშევრობის ზრდა, ხელფასების შემცირება პირდაპირ კავშირშია უსაფრთხო და

სრულფასოვანი ინგრედიენტებით კვების პრევალენტობის მაჩვენებელთან. ეკონომიკური განვითარების დონე ასევე პირდაპირპროპორციულად აისახება არასაკმარის კვებაზე. ამ პერიოდში მთელი რიგი ევროპის განვითარებული ქვეყნებისა, როგორც არის ავსტრია, პოლონეთი არ იყვნენ კვებითი უკმარისობის ზღვარზე, როცა კვებითი უკმარისობის მაღალი მაჩვენებელი იყო დიდ ბრიტანეთში, უნგრეთში, საბერძნეთში და იტალიაში. ყოველი 1%-ით უმუშევრობის ზრდა პოპულაციაში იწვევს 0.29 %-ით საკვებისადმი ხელმისაწვდომობის დაქვეითებას. ასევე ყოველწლიური ხელფასის 1000 \$-ით შემცირება, იწვევდა 0.62%-ით არასაკმარისი ინგრედიენტებით კვების მაჩვენებლის ზრდას. შესაბამისად, დასაქმების სიმცირე, დაბალი ხელფასები არის სარწმუნო სტატისტიკური მაჩვენებელი არასაკმარისი კვების ზრდის, ხოლო ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება ამ რისკს ამცირებს (გრაფიკი 6).

გრაფიკი 6: არასრულფასოვანი კვების წილი 5 წელზე ზემოთ პოპულაციაში %



წყარო: UNICEF, WHO, World Bank: Joint child malnutrition estimates (JME). Aggregation is based on UNICEF, WHO, and the World Bank harmonized dataset.2020.

ამასთან, როდესაც ქვეყანაში სოციალური დახმარება ერთ სულ მოსახლეზე არის 10. 000\$ და მეტი, როგორც არის შვედეთში, ირლანდიასა და დენმარკში, უმუშევრობა და დაბალი ხელფასები აღარ წარმოადგენს პირდაპირ დამოკიდებულს არასაკმარისი კვების მაჩვენებელთან. ქვეყნის მაკროეკონომიკური ზრდა 20 საუკუნეში, კავშირშია მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელთან. სოციალური დაცვის დანახარჯების ცვლილებები უშუალო კავშირშია დასაქმებასთან, ეკონომიკასთან და სიცოცხლისუნარიანობასთან. კვლევის თანახმად, 1%-ით უმუშევრობის ზრდა იწვევს 0,24%-ით სიკვდილიანობის ზრდას, იმ ქვეყნებში სადაც არამდგრადია სოციალური დაცვის სისტემა. [52, 74, 94, 115]. მრავალი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მკვლევარის აზრით, სოციალური დაცვის ჩამოყალიბება აუცილებელია ქვეყანაში ძირითადი მოთხოვნილებების, განსაკუთრებით ჯანსაღი კვებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობების უზრუნველსაყოფად [47, 87].

დაბალი და საშუალო განვითარების ქვეყნებში ბოლო ორი დეკადის განმავლობაში მიმდინარეობს სოციალური დაცვის სისტემების დანერგვა, რაც მიმართულია ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის, ასაკოვანთა და სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფთ პირთა დახმარებისკენ. 2012 წლის შრომის საერთაშორისო კონფერენციის მიერ წარმოდგენილი, სოციალური დაცვის ეროვნული სისტემის მოწყობასთან მიმართული რეკომენდაცია, თანხვედრაშია მსოფლიო ბანკის სოციალური დაცვის და 2012-2020 წლების შრომის სტრატეგიისა და ევროსაბჭოს სოციალური დაცვის განვითარების კომისიის დოკუმენტებთან. აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად, სოციალური დაცვის განვითარება არის ძირითადი საშუალება ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების, მდგრადი ეკონომიკური განვითარების, სიღარიბის შემცირებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობისთვის. სოციალური დაცვის სისტემაში რეფორმები მიმდინარეობს აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. აღნიშნული რეფორმის ძირითადი შემადგენელია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანდაცვის დაფინანსების მექანიზმი, რათა გაიზარდოს

სერვისებით მოსახლეობის მოცვა. 2010 წლისთვის 52 ქვეყანაში (მათ შორის, 16 დაბალი ეკონომიური განვითარების) თანხების ტრანსფერით მოცვა მოხდა 191.4 მლნ ადამიანის (Barrientos and Nino-Zarazua 2011). 2012 წლისათვის თანხების გადაცემის პროგრამა განხორციელდა 47 აფრიკის ქვეყნიდან 35 დაბალი შემოსავლების ქვეყანაში. (Garcia and Moore 2012). სოციალური დაცვის რეფორმა ზოგიერთ ქვეყანაში მიმდინარეობს ერთი მიმართულებით: ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და დაავადებების პრევენციის გზით. ნაწილი ქვეყნებისა მრავალმხრივ სოციალური დაცვის სტრატეგიას ახორციელებენ, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მხრივ, ისე ასაკოვანი პირების, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთათვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური დახმარების სახით. ქვეყნებს შორის რეფორმის მიმდინარეობის მიმართ პოლიტიკური განწყობა და ნებაც სხვადასხვაა. პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოდელს სოციალური დაცვის სისტემის უნივერსალობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგ: სამხრეთ აზიის ქვეყნებში სახელმწიფო ხელშეწყობა დიდია სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთათვის [116, 118, 163].

მკვლევარების აზრით, სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით უნივერსალური მოცვა ახლად დაწყებული სახელმწიფო და არსებული კერძო სისტემებით დაფინანსების კომბინაციით არის შესაძლებელი. კერძო ჯანდაცვის სისტემა დიდ ადგილს იკავებს მოსახლეობის ჯანდაცვის სერვისების დაფარვაში. 1980 წლამდე კერძო სისტემა სწრაფად ვითარდებოდა კერძო დაზღვევის გაძლიერებითა და პარალელურად სახელმწიფო სტრუქტურების, სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის დასუსტების გზით. სახელმწიფო სისტემა ვერ პასუხობდა სერვისებისადმი მოთხოვნილებას. გაიზარდა კომერციული ინტერესი ჯანდაცვის დაზღვევის სისტემის მხრივ. 1980-90-იან წლებში სახელმწიფომ ჯანდაცვის სისტემის რეგულაცია კერძო სადაზღვევო სისტემას გადასცა. რეფორმების მიმდინარეობის მიუხედავად, ვერ ხდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა პოპულაციების სერვისებით თანაბარი მოცვა, გაიზარდა ღარიბი ფენის ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის რისკი. დადგა საჭიროება ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემა, რათა უფასოდ მოხდეს მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სამედიცინო მომსახურების სერვისებით

მოცვა, შემუშავდეს მომსახურების სექტორის შეზღუდვები პოპულაციების რისკების გათანაბრების მხრივ, გადაიხედოს და დაინერგოს რეგულაციის მექანიზმები მომსახურების ფასისა და ხარისხის კონტროლის მხრივ. სამხრეთ აფრიკის მაგალითი გვაჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან სუსტი რეგულაციის პირობებში ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემებში ვითარდება კრიზისი, მატულობს ფასები, ირღვევა ხელმისაწვდომობა, მატულობს სოციალური დაუცველობა. რეგულაციის მექანიზმებზე ასეთი მიდგომა გვაჩვენებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ცდილობდეს სოციალური დაცვის სისტემის განვითარებას, სტრატეგია უნდა დაისახოს სოციალური სისტემის ფონდის შესავსებად ქვეყნის ეკონომიკისა და ბაზრის განვითარებით, და არა მხოლოდ ინდივიდთა საშემოსავლო გადასახადებით. კერძო ჯანდაცვის სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს გარკვეული რეგულაციის ფარგლებში. [116, 122, 163].

ჩინეთში ჩატარებული მრავალი ეროვნული კვლევით დადგინდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას იწვევს სოციალური დაცვის ოთხ ძირითად ასპექტზე მიდგომა: პენსიების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება და არსებობისათვის საჭირო მინიმუმით უზრუნველყოფა. [106]. ბოლო 30 წლიანი რეფორმის მიმდინარეობის პირობებში ჩინეთმა ჩამოაყალიბა კომპლექსური საპენსიო სისტემა, რაც სხვადასხვა პოპულაციური ჯგუფისთვის, ქალაქად, სოფლად, განსხვავებულია. საპენსიო ფონდების შევსების პრობლემები ფინანსურ არასტაბილურობასთან არის კავშირში. [90, 93].

ჩინეთის მოსახლეობა დაბერებისკენ სწრაფად იზრდება, შესაბამისად მისი სოციალური, საპენსიო სისტემა ვერ ასწრებს დაწევას-განვითარებას. პიროვნების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტატუსის მიხედვით საპენსიო დანაზოგი განსხვავებულია, შესაბამისად განსხვავდება ფინანსური მზაობა მოხუცებულობის პერიოდში. ჩინეთის საპენსიო სისტემა უთანასწოროდ არის მოწყობილი. კვლევაში ჩართული 2000 პენსიონერიდან 59% ამბობს, რომ მათ არასაკმარისი საპენსიო დანაზოგი აქვთ. ამასთან სოფლის პოპულაცია, კიდევ უფრო ნაკლებად არის მზად სიბერისთვის. [36]. სახელმწიფო საპენსიო სისტემაში ჩართულია ყველა მოქალაქე, თუმცა ძირითადი სარგებელი ძალიან დაბალია. სამთავრობო დაწესებულებებში, სხვადასხვა

ინსტიტუციებში და საწარმოებში დასაქმებულებს სახელმწიფო გაცილებით მაღალ პენსიას უხდის. პენსია არათანაბარია ასევე სქესის (ქალთა მოსახლეობას ნაკლები) და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მაცხოვრებლებისთვის. [28].

მაღაიზიაში სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ დაცვას: სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფით, მოსახლეობის ფულადი დახმარებისა და შრომის ბაზრის განვითარების სხვადასხვა პროგრამებით. სოციალური დაზღვევის როლი წარმოდგენილია სადაზღვევო ინსტიტუციების, როგორც არის სოციალური დაცვის ორგანიზაცია (SOCSO) და დასაქმებულთა ფონდით, რომლებიც გასცემენ კომპენსაციას და ბენეფიტებს დასაქმებისთვის, შშმ პირებისა და ასაკში მყოფი პირების დახმარებისათვის. მათი ბიუჯეტი ყოველთვიურად ივსება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა გადასახადებით. თუმცა მაღაიზიაში სოციალური დაცვა ჯერ კიდევ არაშესაბამისია მოსახლეობის საჭიროებებთან და სარგებლის თვალსაზრისით. [135]. ეს გამოწვეულია იმით, რომ ძირითადად სოციალური დაზღვევის პროგრამაში ჩართულია ფორმალური სექტორი - სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების დასაქმებულები, ხოლო არაფორმალური დასაქმებული პოპულაცია, რაც მოსახლეობის 11%-ს შეადგენს, სოციალურად ნაკლებად დაცულია. კვლევების თანახმად, მაღაიზიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში დგინდება ეთნიკური დიფერენცირება, რაც ვარირებს ასაკის, შემოსვლების, სქესის, საცხოვრებელი ადგილის, დაზღვევის სახეობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. კერძოდ, მაღაიზიელებს ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ სამედიცინო სერვისების მიმართ, ვიდრე ჩინელებსა და ინდოელებს, რადგან მათი თვითური სოციალური დახმარება და შემოსავალი მეტია. [21, 98].

მაღაიზიის სახელმწიფო სრულად აფინანსებს საზოგადოებრივ სოციალური დახმარების პროგრამას გარკვეული ბენეფიციარებისთვის. მთავრობა დასაქმებულთა სადაზღვევო სისტემიდან 2017 წლიდან მოსახლეობის ცხოვრების მინიმუმის დაკმაყოფილებისთვის, მოწყვლადობის შემცირების მიზნით აფინანსებს უმუშევრად დარჩენილ პირებს. მაღაიზიის მთავრობა ასევე ადმინისტრირებას უკეთებს სოციალური დაცვის ინსტიტუტებს, ფონდების ფინანსური სტაბილურობის მონიტორინგისთვის, რათა

დაცული იყოს მოსახლეობა, მათ შორის დამსაქმებელი ფენა. ფედერალური და სახელმწიფო მთავრობა იღებს ვალდებულებას ადმინისტრირება გაუწიოს დანერგილ სოციალური დაცვის პროგრამებს. ამასთან, სკანდინავიის და სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორც არის დანია, ნორვეგია, შვედეთი, რომელთაც აქვთ მრავლისმომცველი სოციალური დაცვის სისტემები და უნივერსალური სოციალური გადაცემები, ზემოთნახსენები ღონისძიებები განვითარებადი ქვეყნისთვის არ არის საკმარისი [25, 72]. სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის დადგენა მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის ეროვნული დაფინანსების სქემის შემუშავების დროს აუცილებელია, რათა მოხდეს სერვისებით თანაბარი მოცვა და მოწყვლადი ჯგუფების მხრიდან ნაკლები დანახარჯები. [50].

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური დაცვის მახასიათებლები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების შექმნის დროს ხშირად ხდება სოციალური დაცვის იმ განმსაზღვრელი მახასიათებლების უგულებელყოფა, რაც აუცილებელია ათასწლეულის განვითარების მიზნების შემადგენელი ჯანმრთელობის დაცვის ამოცანების მისაღწევად. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მისი სოციალური დეტერმინანტების განსასაზღვრად ვალდებულება აკისრია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეთიკის, თანასწორობის, ვაჭრობისა და ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტს. [123].

ჯანდაცვის მსოფლო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევებით განისაზღვრა სოციალური დაცვის დონე და სოციალური დეტერმინანტები, მათი კორელაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა პირობებში.

სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური პატერნები განსხვავდება არამარტო ქვეყნებს შორის, არამედ ქვეყნის შიგნით სხვადასხვა პოპულაციაში. 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა სამხრეთ აზიისა და აფრიკის რეგიონში ბევრად მაღალია. ეკონომიკური განვითარების ზრდასთან ერთად, საშუალო და მაღალი განვითარების ქვეყნებში 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებელი კლებულობს. ძირითადი სოციალური დეტერმინანტების, როგორც არის კეთილდღეობისა და განათლების ანალიზი, თუ ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა არათანაბარია ქვეყნებს შორის. მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის ასევე განსხვავდება სხვადასხვა სფეროში მიწოდებული სერვისის ხარისხი, სოციალური დაცვის და უსაფრთხოების ხარისხი, ცვალებადია რეგიონების ეკონომიკური განვითარების მიხედვით არაგადამდები დაავადებების გამოვლენის და გავრცელების სიხშირე. ასევე, ქვეყანაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გავლენა აქვს ეთნიკურ წარმოშობას, კულტურას, რწმენას, განათლებას, ჯანმრთელობასთან და თვითმოვლასთან დაკავშირებული ქცევის ჩამოყალიბების დონეს, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასა და სახელმწიფოებრივ სტატუსს. [102, 154, 168].

სხვადასხვა კლასტერებში შესწავლილი იქნა სხვადასხვა სოციალური მახასიათებლების ერთობლივი არსებობა. მაგალითად, მენტალური დარღვევების დროს გამოვლინდა რამდენიმე სოციალური რისკ ფაქტორი: სიღარიბე, განათლების ნაკლებობა, არათანაბარი ხელმისაწვდომობა ჯანსაღ კვებაზე, დემოგრაფიული და კომერციულ-ინდუსტრიული განვითარება. [37, 128, 130].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევების თანახმად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას სოციალური დეტერმინანტები, გაძლიერდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჩარევები და სერვისები, შედეგი გათვლილი იყოს გრძელვადიანად და დაცული იქნას ფინანსური ხელმისაწვდომობა. [22, 97].

მოსახლეობის ჯანმრთელობა იზომება მისი დონით სხვადასხვა სისტემების დაავადებების მხრივ და ჯანმრთელი პოპულაციის წილის განსაზღვრით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, 2010 წლიდან განსაზღვრული

თანასწორობის, სოციალური დეტერმინანტების და ჯანდაცვის პროგრამების პრიორიტეტები, შედგენილია არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და სოციალური გამოსავლების საფუძველზე. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების დადგენა მოხდა შემდეგი კვლევების საფუძველზე (ETH): სპეციალური პროგრამები ტროპიკული დაავადების კვლევა-ტრეინინგებისთვის (TDR), სპეციალური სამეცნიერო კვლევები და ტრეინინგები ადამიანთა რეპროდუქციაში (HRP), ჯანდაცვის პოლიტიკის და სისტემების კვლევის ალიანსის პროგრამები (AHPSR) [48, 137].

ჯანდაცვის მომსახურების არათანაბარი ხელმისაწვდომობის შესამცირებლად და ხარისხიანი სერვისების მიღების თანასწორობის მისაღწევად ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ანალიტიკური ინსტრუმენტები. მათი საშუალებით გროვდება მონაცემები ჯანდაცვაში სოციალური დეტერმინანტების შესახებ. მათი ანალიზით კი დგინდება, თუ როგორ განსხვავდება ადამიანების ჯანმრთელობა განსხვავებული სოციალური მდგომარეობის დროს. სხვადასხვა სტრუქტურული დეტერმინანტის კავშირი შეისწავლება სხვადასხვა სოციალური სტატუსის ჯგუფებში და ხდება სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უთანასწორობის გაზომვა, რაც არღვევს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისი. [35, 65]. თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ სახელმწიფო პროგრამები ძირითადად ინტერსექტორული უნდა იყოს, რათა ქვეყანაში გაძლიერდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და სერვისები, რომელთა ხელმისაწვდომობა იქნება თანასწორი მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის. [55, 73, 103].

მრავალი კვლევა ჩატარდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების დასადგენად. ბავშვთა დაავადებების სტრუქტურული გავრცელების და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შესწავლისას დადგინდა მათი მჭიდრო კავშირი ქვეყნის და პოპულაციის სოციალურ-ეკონომიკურ, განათლების დონესთან, ჯანდაცვის სერვისების ხარისხთან და ხელმისაწვდომობასთან. [80, 139].

ბოლო წლებში, მეცნიერებმა გამოყვეს ჯანმრთელობის დაცვის 5 ძირითადი სოციალური დეტერმინანტი: 1) სხვადასხვა პოპულაციისთვის ერთი და იგივე ჯანდაცვის სერვისის

მისაღებად სხვადასხვა ფასი; 2) სამედიცინო ჩარევების ხარისხი და ეფექტურობა; 3) სიკვდილიანობის მაჩვენებელი სხვადასხვა სოციალურ პოპულაციაში; 4) ხარჯთ-ეფექტურობა - ჩარევის ფასი შედეგთან კავშირში; 5) მოსახლეობის სტრუქტურული შემადგენლობა. კვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო სერვისების თანასწორ ხელმისაწვდომობასა და ხარჯთეფექტურობას შორის ყველაზე მჭიდრო კავშირია. ყველაზე ღარიბი პოპულაციის ჯანდაცვის სისტემის სრულფასოვანი მუშაობისთვის აუცილებელია, როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული სერვისების დანერგვა და განვითარება, ასევე მომსახურების ფასთა გადახედვა-შემცირება, რაც გაზრდის ხელმისაწვდომობას და შეამცირებს ავადობასა და ლეტალობას. [63, 67, 112].

მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერება ნათლად აისახება მისი ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობაზე. პიროვნების ფიზიკური და ფუნქციური უნარების შეზღუდვა, ქრონიკული დაავადებები სტრესულ გარემოს ქმნიან, რაც კეთილდღეობის ხელის შემშლელი პირობაა. ადეკვატური სოციალური დახმარება ასოცირდება ცხოვრების ხარისხის ზრდასთან. პაკისტანში, როდესაც პიროვნება ავადობს მძიმე სენით, როგორც არის სიმსივნე, მხოლოდ სამედიცინო ჩარევებით ეხმარება სახელმწიფო სისტემა. სხვა ქვეყნებში, მნიშვნელოვანი ადგილი მედიკამენტებთან ერთად უკავია სოციალურ დახმარებასაც. ოჯახის სოციალური კეთილდღეობისთვის საჭიროა განვითარდეს პაციენტისა და ოჯახის ხელშეწყობის პროგრამა, რაც მოიცავს განათლებას, დაავადების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ფსიქოსოციალურ დახმარებას, სტრესის პრევენციას, საჭიროების მიხედვით სოციალური დახმარების პროგრამის ჩართვას. [56, 75, 84]. მძიმე ქრონიკული დაავადებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად დიდ როლს თამაშობს ოჯახის გაძლიერება, სტიგმის და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები [53, 86].

ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა

მსოფლიოში არსებული გამოცდილებით, უნივერსალური დაზღვევის განვითარება თანდათანობითი პროცესია. იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ

რამდენად საკმარისია ქვეყანაში არსებული რესურსი უნივერსალური ჯანდაცვის მოთხოვნებისთვის. განვითარებულ ქვეყნებში ჯანმრთელობაზე საშუალოდ 2500 დოლარი იხარჯება მოსახლეობის ერთ სულზე, ხოლო დაბალშემოსავლიან ქვეყნებში - 15 დოლარზე ნაკლები. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში ბაზისურ პაკეტით შედარებით ნაკლები სერვისებია მოცული, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. სამედიცინო მომსახურების მისაღებად ადამიანები იხდიან პირდაპირი გადახდით უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გაწევას და არაპირდაპირი, გადასახადების გადახდით. არაპირდაპირი, ანუ წინასწარი გადახდების სისტემას აქვს დადებითი მხარე, რადგან ავადმყოფობის პერიოდში ადამიანებს არ უწევთ დიდი ხარჯების გაღება და შეუძლიათ აღნიშნული ხარჯები გადაინაწილონ მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჯანდაცვის არაპირდაპირი გადასახადების სისტემა ორი სახისაა: დაზღვევა, რომლის დროსაც დაზღვეულები იხდიან სადაზღვევო შენატანებს და ზოგადი გადასახადების სისტემა, რომელსაც იხდის მოსახლეობის ნაწილი, ან მთელი მოსახლეობა. ზოგადი გადასახადებით დაფინანსების დროს მთელი მოსახლეობა, ან მოსახლეობის ნაწილი მოცულია, მიუხედავად იმისა, ისინი იხდიან თუ არა გადასახადებს. უნივერსალური დაფინანსება მჭიდროდ არის დაკავშირებული გადასახადების სისტემის ადმინისტრირების უნართან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განვითარებულ ქვეყნებში გადასახადებით გროვდება მთლიანი შიდა პროდუქტის 30%, მაშინ როცა დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20%- დან 5%-მდე მერყეობს [124].

სადაზღვევო სისტემის ორი სახე არსებობს: ნებაყოფლობითი და სოციალური. ნებაყოფლობითი, ანუ კერძო დაზღვევის დროს სადაზღვევო პრემიები დგინდება ჯანმრთელობის რისკის შესაბამისად. ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა არაკომერციულ პრინციპებს ეფუძნება და ფინანსდება სავალდებულო გადასახადებით. მას უმთავრესად სახელმწიფო უზრუნველყოფს, თუმცა, შეიძლება მართოს კერძო ორგანიზაციამაც [167]. სოციალური დაზღვევა ეფუძნება იდენტიფიცირებად სახელფასო გადასახადებს და შედარებით სტაბილურ სამუშაო ძალას. სოციალური დაზღვევის და ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემებში ხდება შემოსავლების გადანაწილება რისკის გადაცემის გზით ჯანმრთელიდან ავადმყოფზე, მდიდრიდან ღარიბზე. კერძო

დაზღვევაში რისკის გადანაწილების ეს მექანიზმები არ არის და შენატანები ფიქსირებული განაკვეთებია. [144]. სოციალური დაზღვევის (ბისმარკის) სისტემა-უნივერსალური ჯანდაცვის სისტემაა, სადაც დამსაქმებელი ვალდებულია დაქირავებულები გააწევრიანოს სადაზღვევო ფონდში. სოციალური დაზღვევის სისტემა შედარებით რთული სისტემაა და მოითხოვს ეფექტურ მართვას. განვითარებად ქვეყნებში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა სისტემის ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან ეკონომიკურ კრიზისს, მცირე ხელფასის ან საწარმოთა დახურვის გამო, ბევრი ადამიანი ტოვებს სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურს და ცდილობს მუშაობა დაიწყოს არაფორმალურ სექტორში. საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობის გამო, ასეთ ქვეყნებში ხელფასზე სადაზღვევო გადასახადის შეგროვება რთულ პროცესს წარმოადგენს, რაც ამცირებს სოციალური დაზღვევის შენატანების მოცულობას. ამგვარად, ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა მოითხოვს ქვეყანაში მძლავრი ეკონომიკური სტრუქტურების არსებობას. სოციალური დაზღვევა ქვეყნის განვითარებულ ეკონომიკას ეყრდნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მხოლოდ სადაზღვევო შენატანების ხარჯზე ჯანდაცვის დაფინანსება. ჯანდაცვის ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემა (ბევერიჯის მოდელი) სოციალური დაზღვევით მოსახლეობის უნივერსალური მოცვის მექანიზმია. ხდება საყოველთაო ხელმისაწვდომობა, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევა სამედიცინო სერვისებსა და დაწესებულებების მართვაში, ექიმების ანაზღაურება ხელფასით ან კაპიტაციით, პაციენტების მხრიდან მცირე ჯიბიდან გადახდები [11, 151].

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თავდაპირველად საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება ხორციელდებოდა სოციალური დაზღვევის მოდელით (ბისმარკის მოდელი). თუმცა, 2007 წლიდან იგი გადავიდა გადასახადებზე დაფუძნებულ მოდელზე (ბევერიჯის მოდელი). განვითარებადი ქვეყნებისათვის გადასახადებზე დაფუძნებულ სისტემას გააჩნია უპირატესობა სოციალური დაზღვევის მოდელთან შედარებით. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში, სადაც უფრო მეტადაა განვითარებული არაფორმალური სექტორი, გადასახადებზე დაფუძნებულ მოდელს აქვს შესაძლებლობა უფრო სწრაფი ტემპით მოიცვას იგი. თუმცა, გადასახადებზე დაფუძნებული სისტემა

ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. 2013 წლიდან საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანს შეადგენდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა [12]. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ბენეფიციარს აძლევს სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის უფლებას. პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურება: გეგმიური ამბულატორიული მომსახურება, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება, გადაუდებელი სტაციონალური მკურნალობა. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მიმართვიანობა სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2020 წლისთვის გარდა იმისა, რომ ქვეყანაში მოქმედებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვალის №36 დადგენილება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისთვის გულისხმობს გადაუდებელ და გეგმიურ ამბულატორიულ, სტაციონარულ მომსახურებას, შესაბამისი პაკეტის ფარგლებში, და ინფექციური დაავადებების მართვას, მოსახლეობას ქვეყანა ემსახურება შემდეგი ჯანდაცვის პროგრამებით:

- დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი პროგრამა;
- იმუნიზაცია პროგრამა;
- ეპიდზედამხედველობის პროგრამა;
- უსაფრთხო სისხლი პროგრამა;
- პროფესიულ დაავადებათა პრევენცია;
- ტუბერკულოზის მართვის პროგრამა;
- აივ ინფექცია/შიდსის მართვა პროგრამა;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა პროგრამა;
- ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა;

- ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა;
- დიაბეტის მართვის პროგრამა;
- .ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება;
- დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია პროგრამა;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა;
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა;
- სოფლის ექიმი პროგრამა;
- რეფერალური მომსახურება პროგრამა;
- სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება
- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა.

სახელმწიფოს მიერ უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობა, რომლითაც ყველა ადამიანს აქვს საშუალება ისარგებლოს, წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა საჭიროა სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება დაფინანსების ხარჯთეფექტური მეთოდების, სერვისების ხარისხის და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით. ხარჯების შეკავების მეთოდებიდან მთავარია გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის არსებობა, სადაც ყურადღება ექცევა პრევენციულ სერვისებს. ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ყველაზე საუკეთესო მეთოდი არის ის, რომლითაც მიიღწევა ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლების გაუმჯობესება არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების მეშვეობით [13].


მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და ჯგუფებისათვის სოციალური უფლებების სათანადო რეალიზება სახელმწიფოს მიერ წინასწარ დაგეგმილი, თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელებასთანაა დაკავშირებული. ხელმისაწვდომი გარემოს არარსებობა, უფლებების რეალიზების დაბალი შესაძლებლობა და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები პრობლემათა უწყვეტ ჯაჭვს ქმნის, რასაც მოსახლეობის მოწყვლადი ფენები და განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

სოციალურ იზოლაციამდე, საბოლოოდ კი სიღარიბემდე მიჰყავს. შესაბამისად, სოციალური დაცვისკენ მიმართული პოლიტიკის დაგეგმვისას, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ და შეაფასონ ის განსაკუთრებული რისკი, რომლის წინაშეც განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დგანან, სიღარიბისადმი მოწყვლადობის თვალსაზრისით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლებისათვის არამხოლოდ სოციალური პროგრამული სუბსიდირება, არამედ ფსიქოსოციალური, ოჯახის გაძლიერების, განათლების და ინფორმირებულობის ამაღლებისთვის დახმარება ესაჭიროებათ. [49, 82, 147, 129]. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCPRD) სახელმწიფოს სოციალური დაცვის ვალდებულებას უკავშირებს სოციალურ თანადგომას და მხარდაჭერას, რომელიც მიმართული უნდა იყოს მიმღებთა ყველა ჯგუფის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და სოციალური უსაფრთხოებისაკენ. აღნიშნული მიდგომის საპირისპიროდ, საქართველოში მოქმედი სოციალური დაცვის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ უსაფრთხოებასა და სიღარიბის პრევენციას.

ამრიგად, ქვეყნის სოციალური პოლიტიკის პროგრამის მიზანი არის სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებზე დამყარებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის შექმნის ხელშეწყობა.

ადამიანის კეთილდღეობაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის შექმნის, რესურსების სამართლიანი გადანაწილების პრინციპების დამკვიდრებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობისათვის, სახელმწიფოს მიზანია იმუშაოს სოციალური უფლებების დაცვის სისტემის განვითარებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხების გაძლიერების მიმართულებით. ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემა ვითარდება არამხოლოდ მისი ეკონომიკური დონის შესაბამისად, არამედ ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და დემოგრაფიული მაჩვენებლების გათვალისწინებით (გრაფიკი 7).[10,155].

გრაფიკი 7: ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებელი, შობადობა, 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობა. 2017-2018



წყარო: World Bank, Population: Structure, Dynamics. 2020

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი

საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების პრობლემების შესწავლა და შეფასება; მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფის სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემების ეფექტურობის გაუმჯობესების სათანადო სტრატეგიისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად და ქვეყანაში განხორციელებული სოციალური პოლიტიკის დასახვეწად.

კვლევის ამოცანები:

1. სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემების შეფასება მსოფლიოში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით. განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შეფასება სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სფეროში.
2. საქართველოში განხორციელებული სოციალური პროგრამების ეფექტურობის შესწავლა და შეფასება.
3. მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფისათვის სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემის ხელმისაწვდომობის შესწავლა და შეფასება.
4. სოციალური გარემოს და სოციალური მარკერების კომპლექსური შესწავლა და შეფასება.
5. სოციალურად დაუცველი ფენის სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების პარამეტრების შესწავლა და შეფასება.

თავი 2

კვლევის მასალა და მეთოდები

სადისერტაციო კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იყო აღწერილობითი და ანალიზური კვლევის მეთოდები. პირველ ეტაპზე ჩატარდა ლიტერატურის მიმოხივლა და მონაცემთა შესაბამისი ანალიზი სხვადასხვა ქვეყნების სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემების მოწყობისა და მათი გამოცდილების შეფასებისთვის. კვლევის მასალას წარმოადგენდა სამედიცინო ლიტერატურის საძიებო სისტემების (Medline, Pubmed და სხვა) დახმარებით მოპოვებული სტატიების და ნაშრომები. მონაცემთა ძიება განხორციელდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. კვლევის დანარჩენი ამოცანების განსახორციელებელი მასალა მოპოვებული იქნა ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევებით. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა შედგებოდა სამი ძირითადი ეტაპისგან:

- პირველს მიეკუთვნებოდა ქვეყანაში არსებული პროგრამული და სხვა მონაცემების ექსპერტული ანალიზი და შეფასება. მონაცემთა წყაროებს წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გამოქვეყნებული საორგანიზაციო-ნორმატიული მასალები და ანგარიშები. ჩატარდა პროგრამული მონაცემების მეორადი ანალიზი, გამოთვლილი იქნა სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები: სხვადასხვა პარამეტრების სიხშირული და პროცენტული განაწილება, განგრძობითი მონაცემების მედიანური და საშუალო მნიშვნელობები და საშუალო სტანდარტული გადახრა, სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების პარამეტრების მნიშვნელობის პროცენტული ცვლილებები დროში შეფასების მიზნით. დამატებითი ანალიზისთვის გამოყენებული იყო ბი და

მულტივარიაციული ანალიზის და მონაცემთა გრაფიკული ვიზუალიზაციის მეთოდები.

➤ **კვლევის მეორე ეტაპი წარმოადგენდა ორ საფეხურიან რაოდენობრივ კვლევას.** რესპოდენტები შერჩეული იყო თბილისში და რეგიონებში, მათი სოციალური რისკებისა და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის შესაბამისად. რესპოდენტები მოძიებული იქნა დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ რეგიონებში, ასევე გათვალისწინებული იყო უნარშეზღუდული სტატუსის მქონე მონაწილეები და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეები. შერჩევითვის გამოყენებული ორ საფეხურიანი კლასტერული შერჩევის მეთოდი, პირველ საფეხურზე შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული იქნა რაიონულ დონეზე არსებული გეოგრაფიული არეალები (კლასტერები) და გაიმართა მოლაპარაკება შესაბამის სოციალური მომსახურების დაწესებულებებთან ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მეორე საფეხურზე ასევე შემთხვევითი შერჩევის წესით მოხდა შერჩეულ დაწესებულებაში რესპოდენტების შერჩევა მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით. რესპოდენტების შერჩევა ხდებოდა სხვადასხვა დღეს სერვისის მისაღებად მოსულ რესპოდენტებს შორის 0-დან 9-მდე რიცხვიანი რანდომული ცხრილის გამოყენებით. შერჩეული რესპოდენტის გამოკითხვა ხდებოდა ადგილზე ან და მისთვის სასურველ დროს და ადგილზე კვლევის მიზნების გაცნობისა და მისგან კვლევაში მონაწილეობის თანხმობის მიღების შემდეგ. თავდაპირველად კვლევისთვის შედგენილი იქნა საკვლევი პოპულაციის შერჩევის ჩარჩო 1 600 რესპოდენტზე, რომელიც შემდგომი საფეხურის შერჩევით დაყვანილი იქნა 960 რესპოდენტზე. საბოლოოდ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 850 რესპოდენტმა, ხოლო პირველი კონტაქტისას კვლევაში მონაწილეობაზე უარის მაჩვენებელმა შეადგინა 106 (12,4 %) რესპოდენტი.

○ **კვლევის ძირითად ინსტრუმენტს** წარმოადგენდა დისერტანტის მიერ შემუშავებული ანონიმური თვით-ადმინისტრირებადი ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა 70 კითხვისგან. კითხვარი

მოიცავდა ოთხ ბლოკს, პირველი ბლოკი იყო დემოგრაფიული მონაცემების ბლოკი, მეორე ბლოკი მოიცავდა ინფორმაციას რესპოდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის და სამედიცინო მომსახურებით ხელმისაწვდომობისა და მომსახურების ხარისხით კმაყოფილების შესახებ, მესამე ბლოკი მოიცავდა სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო კომპანიების მომსახურების გამოყენებისა და მისი ხარისხის შესახებ, მეოთხე ბლოკი კი მოიცავდა ინფორმაციას რესპოდენტის ფინანსური და სოციალური მდგომარეობის, მის მიერ სოციალური პროგრამების და სერვისების გამოყენებას და ამ სერვისების ხარისხს და კმაყოფილებას.

○ **კვლევის მეორე ეტაპი დაიწყო 2018 და დასრულდა 2019 წელს.**

- კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების დამუშავება მოხდა აღწერილობითი და ანალიზური სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებული იყო სტატისტიკური პროგრამა R for Widnows [23]. პირველ ეტაპზე ჩატარდა მონაცემთა გაწმენდა და მონაცემთა კოდირება. შემდეგ ეტაპზე განხორციელდა მონაცემთა ანალიზი აღწერილი და ანალიზური სტატისტიკის გამოყენებით. შესწავლილი იქნა რეგისტრირებულ შემთხვევათა დემოგრაფიული მახასიათებლები. გამოთვლილი იყო მონაცემთა სიხშირული განაწილებები, ბივარიაციული ანალიზის მეთოდების გამოყენებით მოხდა კითხვარში შემავალ სხვადასხვა ბლოკის ცვლადებს შორის დამოკიდებულების შეფასება. კერძოდ კი შეფასებული იქნა დემოგრაფიული მაჩვენებლების, სოციალური მომსახურების სერვისების უტილიზაციასა და მისი ხარისხის ინდიკატორებს შორის კორელაცია და ასოციაცია. ანალიზის მიზანს წარმოადგენდა შესაძლო სარწმუნო განსხვავებების არსებობის დადგენა სხვადასხვა ასაკის, სქესის, სოციალური მდგომარეობის ადამიანებს შორის სოციალური მომსახურების უტილიზაციასა და სერვისებით კმაყოფილების შორის, ასევე აღნიშნული პარამეტრების შეფასება დედაქალაქსა და რეგიონებს შორის. გამოყენებული იყო მონაცემთა სტრატეგიკაცია ჯგუფებად და შერჩევის პოპულაცია დაიყო სუბ-ჯგუფებად დამატებითი სადაზღვევო პაკეტის (სახელმწიფო/კერძო) ფლობის/სარგებლობის მიხედვით და მისი ასოციაციების

გამოვლენა დამოკიდებულ დემოგრაფიულ ცვლადებთან (მაგ. ასაკი, დასაქმებულობის სტატუსი, სქესი).

- ცვლადებს შორის დამოკიდებულების დასადგენად გამოყენებული იქნა დისკრეტული ცვლადების ანალიზის მეთოდები კერძოდ გამოვლილი იყო დამოუკიდებლობის ხი-კვადრატ კრიტერიუმი (X^2), სუბ-ჯგუფებში დამაჯერებლობის ინტერვალი წარმოადგენდა (CI) რიცხვთა წყვილს, რომელიც განსაზღვრავდა ზღვარს, რომლის შიგნით არსებობს 95%-იანი ალბათობა იმისა, რომ მოსალოდნელია ჭეშმარიტი რისკის მოხვედრა. ცალკეულ ჯგუფებში მონაცემთა შედარებისთვის გამოთვლილის იყო ფარდობითი რისკები (RR) და ბივარიაციულ ანალიზში გამოვლენილი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადები გამოყენებული იქნა მულტივარიაციული მოდელის შესადგენად. მულტივარიაციული მოდელის დახმარებით დადგენილი იქნა კავშირები სხვადასხვა დემოგრაფიულ და სოციალურ პარამეტრებს შორის.
- მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა R for Windows (4.0.2) და მისი სტატისტიკური ანალიზის ბიბლიოთეკები (dplyr, ggplot, stringr, readr, tidyverse). მომზადდა ავტომატურად რეგენერირებადი სტატისტიკური ანგარიშის კოდები და მოდული rmarkdown და knitr ბიბლიოთეკების გამოყენებით. სტატისტიკური სარწმუნოების დონე განისაზღვრა $P < 0.05$.
- **კვლევის მესამე ეტაპი** სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ასევე ჩატარდა ხარისხობრივი კვლევა სოციალური სერვისის მიმწოდებლების და მენეჯერების მონაწილეობით. კვლევა ჩატარდა 2020 წელს ჩადრმავებული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, რომელიც მოიცავდა ღია კითხვებს. არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით მონაცემები მოგროვდა ონლაინ პლატფორმის (Google Forms) გამოყენებით. შემდეგ ეტაპზე ჩატარდა მონაცემთა ხარისხობრივი ანალიზი.

მიღებული შედეგები შეჯერებული და განზოგადებული იქნა სათანადო დასკვნების გამოტანისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, რომლებიც წარმოდგენილია შესაბამის თავებში კვლევის ამოცანების მიხედვით.

თავი 3

კვლევის შედეგები და განსჯა

აღნიშნული თავი მოიცავს კვლევის შედეგების შეფასებას და განსჯას, რომელიც წარმოდგენილია კვლევის ამოცანების მიხედვით.

პირველი ამოცანა

სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემების შეფასება მსოფლიოში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით. განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შეფასება სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სფეროში.

ლიტერატურული მონაცემების ანალიზის ცხადყოფს, რომ კარგად განვითარებული სოციალური დაცვის და სოციალური უსაფრთხოების სისტემის არსებობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ეს სისტემები უზრუნველყოფს ქვეყნების მოსახლეობას ადექვატური პირობებით და ეფექტურად იცავს მათ სოციალურ რისკებს შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში. ბევრ ქვეყანაში სოციალური უსაფრთხოება წარმოადგენს სოციალური დაცვის ნაწილს, რომელიც ხშირად სავალდებულო ხასიათისაა და ექვემდებარება შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირებას. დღეისათვის, განვითარებული ქვეყნის წარმატებული სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, სოციალური რისკების პრევენცია, პროდუქტიულობის გაზრდა და სისტემური მიდგომა. აღნიშნული სისტემების და პრინციპების ეფექტური განხორციელება სახელმწიფოს პრეროგატივაა და მოითხოვს დახვეწილ საკანონმდებლო და ტექნიკურ ბაზას მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. სოციალური დაცვის სისტემების უმრავლესობა მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: სოციალური დაზღვევა, სოციალური დახმარება, სოციალური კომპენსაცია, სოციალური მაშველი ბადაე. აღნიშნული კომპონენტების მიხედვით ხდება ბენეფიციართა რანჟირება და შესაბამისი სერვისის მიწოდება მათი საჭიროების

მიხედვით. სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტია ჯანდაცვის საჭიროებების მოცვა და მათი უზრუნველყოფა არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

ევროკავშირის ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემის და პროგრამების მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენს: დასაქმების და შემოსავლების დაცულობა, საპენსიო სისტემის მდგრადობა, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, მაღალ ხარისხიანი და მდგრადი ჯანდაცვის სერვისების ჩამოყალიბება. ჯანდაცვის კომპონენტი ასევე ითვალისწინებს ევროკავშირში შემაჯავალი ქვეყნების რეგულაციებს მოსახლეობის ასაკოვანი ნაწილის მაღალი ხარისხის და ხანგრძლივი ჯანდაცვის სერვისებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რომელთა წილი ყველაზე მაღალია სოციალური და ჯანდაცვის სერვისების დანახარჯებში. ევროკავშირის ქვეყნების სოციალური და ჯანდაცვის უზრუნველყოფის სისტემები დაფუძნებულია სოციალური სოლიდარობის, თანაბარი ხელმისაწვდომობის და სამართლიანობის პრინციპებზე. ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად იზრდება სოციალური დაცვის სისტემების დაფინანსება ეფექტურობა, თუმცა ამ პროცესში კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება მოსახლეობის მზარდი დაბერება, ეკონომიკური შოკები და კრიზისები, რის გამოც ზოგიერთი ქვეყანა იძულებული ხდება შეამციროს ჯანმრთელობის დაცვის, როგორც ყველაზე ძვირადღირებული ნაწილის დაფინანსების წილი. სოციალური დაცვის ევროპული მოდელები ძირითადად დაფუძნებულია ფუნდამენტურ სამოქალაქო უფლებებზე, რაც მაღალი ხარისხის განათლებას, ღირსეულ სამუშაო პირობებს, უმუშევრობის დაძლევას და სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებულ საპენსიო სისტემებს მოიცავს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოდელი რამდენადმე განსხვავდება ევროკავშირის სოციალური დაცვის მოდელისაგან თავისი დიზაინით, თუმცა ძირითადი პრინციპები ერთია. მრავალი სახელმწიფო პროგრამა არსებობს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის და მათი გადარიბების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად. ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (აშშ) წარმატებით უზრუნველყო, სოციალური და

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ყველაზე ძვირადღირებული კომპონენტები, როგორცაა მოხუცთა და შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და მათი დაცვა მძიმე ფინანსური სირთულეებისგან. ქვეყანას აქვს კარგად განვითარებული შინმშობლის, ჯანდაცვის სერვისებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტები, რომელიც ასევე მოიცავს კვებით და სხვა სოციალური საჭიროებებით უზრუნველყოფასაც.

ბევრ განვითარებულ ქვეყანას: სკანდინავიის ქვეყნებს, იაპონიას, ავსტრალიას და სხვა გააჩნია სახელმწიფო სოციალური დაცვის პროგრამები. ეს პროგრამები მოსახლეობის სავალდებულო სოციალური გადასახადებიდან ფინანსდება და სოციალური სოლიდარობისა და თანასწორობის პრინციპებით ემსახურება მოსახლეობას შესაბამისი საჭიროების დადგომისას. განვითარებული ქვეყნების მთავარ პრობლემას წარმოადგენს, მოსახლეობის დაბერება და შესაბამისი დანახარჯების მუდმივი ზრდა, რამაც შეიძლება შექმნას სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების რისკები.

პირველი ამოცანის კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების პროგრამების განვითარების ძირითადი პრინციპები ემყარება განვითარებული ქვეყნების მიერ დანერგილ პროგრამებში გამოყენებულ პრინციპებს. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების მიხედვით ქვეყნის სოციალური და ჯანდაცვის სტრატეგიები იზიარებს ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ შესაბამის სტრატეგიებს და ქვეყანაში არსებული პროგრამები ეფუძნება მათ ძირითად მოთხოვნებს.

მეორე ამოცანა

საქართველოში განხორციელებული სოციალური პროგრამების ეფექტურობის შესწავლა და შეფასება.

საქართველოში მრავალი სოციალური პროგრამა დაინერგა და განხორციელდა, რომელთა მიზანია ქვეყნის მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. ჩვენს მიერ შეფასებული იქნა სოციალური სისტემის განვითარების ძირითადი სტრატეგიები და მათი განხორციელებისთვის დანერგილი სოციალური პროგრამების ეფექტურობა.

სოციალური უსაფრთხოება და მისი განვითარების სტრატეგიები საქართველოში.

ქვეყანაში არსებული შესაბამისი მონაცემების ექსპერტული ანალიზით დგინდება, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია ეროვნული სტრატეგიები, სადაც ყურადღება გამახვილებულია სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების მნიშვნელობაზე. ამავდროულად, სოციალური სამართლიანობის დანერგვის ერთ-ერთ მთავარ პირობას ქვეყანაში ეკონომიკური სიღუბის დაძლევა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების გაუმჯობესება წარმოადგენს. რომელთა განსახორციელებლად აუცილებელია მოსახლეობის უმუშევრობის შემცირება და ღირსეული შრომის პირობებით უზრუნველყოფა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება, ხარისხიანი ჯანდაცვის პროდუქტებით და ძირითადი სოციალური პაკეტებით უზრუნველყოფა.

ქვეყნის სამომავლო განვითარების ხედვები დაფუძნებულია ეკონომიკური სტაბილურობის, სიღარიბის დაძლევის, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის, მარგინალიზაციის პრევენციისა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

სოციალური დაცვის სამსახურების სტრუქტურა და რეგულაციები

ქვეყანას გააჩნია შესაბამისი ძირითადი სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებლები, რათა უზრუნველყოს ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების

მიხედვით არსებული პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელება. საქართველოს პარლამენტში არსებობს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მთავარ ორგანოს. აღნიშნული კომიტეტი კოორდინაციას უწევს ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საშინაო და საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის შესაბამისი რეგლამენტებით, გაწერილია საქართველოს კონსტიტუციაში და კონტროლდება შესაბამისი კომიტეტის და მასთან დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულების მიერ.

IX მოწვევის პარლამენტის ბიუროს დამტკიცებული დებულების თანახმად, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების, დედათა და ბავშვთა დაცვის, ოჯახის განვითარების, ხანდაზმულთა, ვეტერანთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა [1].

საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომიტეტი უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირება, რეორგანიზაცია და რესტრუქტურისაციის პროცესში. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად ქვეყანა გეგმავს კანონმდებლობაში არსებული შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური ღონისძიებების კიდევ უფრო გაფართოებას და დაახლოებას გაეროს კონვენციების მოთხოვნებთან და მდგრადი განვითარების მიზნებთან.

საქართველოს როგორც სოციალური სახელმწიფოს კანონმდებლობის მთავარი მოთხოვნები დაფუძნებულია: ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპებზე, მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურული და სპორტული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფის პრინციპებზე.

კონსტიტუციით და საპარლამენტო დადგენილებებით განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომიტეტი წარადგენს ძირითად ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს, რომელსაც შემდგომ ამტკიცებს ქვეყნის პარლამენტი. საქართველოში სოციალური მომსახურებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის არსებობს შესაბამისი სამსახურების სტრუქტურა, რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტო ეწოდება. სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას.


სოციალური მომსახურების სააგენტო განკარგავს სოციალური მომსახურების ბიუჯეტს, რომელიც მიმართულია სხვადასხვა მომსახურებისა თუ დახმარების საჭიროების მქონე კონტინგენტის: სოციალური გასაცემლებით, ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო პროგრამებით მაქსიმალური უზრუნველყოფისკენ.

სოციალურ გასაცემლებს მიეკუთვნება: სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სათანადო უზრუნველყოფა, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მეურვეობა-მზრუნველობა და სხვა სოციალური საკითხები.

სოციალური მომსახურების სააგენტო და მისი რეგიონული მომსახურების ოფისები უზრუნველყოფს სერვისების ხელმისაწვდომობას მთელი ქვეყნის მასშტაბით და ყოველთვიურად ემსახურება საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის თითქმის მესამედს. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, სახელმწიფო დაფინანსებით სააგენტო საქართველოს მოქალაქეთა 25%-ზე მეტს უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო დაზღვევით, რაც ბენეფიციართა სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას მოიცავს. გარდა სოციალური მომსახურებისა, სააგენტო წარმოადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, მისი ზრუნვის ობიექტები არიან მზრუნველობამოკლებული ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები, რომელთაც სააგენტო ეხმარება საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციაში და უზრუნველყოფს შესაბამისი შეღავათებით და საჭირო მომსახურებებით.

არსებული სოციალური პროგრამების შეფასებისთვის გაანალიზებული იქნა სოციალური სააგენტოს მონაცემები. სააგენტოს 2010-2019 წლების წლიური ანგარიშებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღებთა ყოველწლიური მაჩვენებლები მცირედით არის გაზრდილი. 2019 წელს, 2010 წელთან შედარებით აღნიშნული პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა 3,0% - ით გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებულია ასაკით პენსიის მიმღებთა რაოდენობის ზრდით. აღსანიშნავია, რომ პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობიდან ასაკით პენსიის მიმღები მოსახლეობის წილი დაახლოებით 80 % - ს შეადგენს, ხოლო 20 % ანუ ყოველი მეხუთე ბენეფიციარებს წარმოადგენენ ის სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომლებსაც სოციალური პაკეტებით მუდმივი დახმარება ესაჭიროებათ (გრაფიკი 8).

გრაფიკი 8. პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა ათასი ადამიანი და მათი პროცენტული წილი მთლიანი მოსახლეობიდან 2010-2019 წწ.



ამავდროულად, საქსტატის მონაცემებით 2019 წელს 2010 წელთან შედარებით მოსახლეობის საერთო რიცხვი შემცირდა 1,76% - ით, რაც კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს მოსახლეობის სტრუქტურაზე მიგრაციის მაღალი მაჩვენებლისა და სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდის გავლენას.

საქართველოში მოქმედი სოციალური დაცვის პროგრამების და პაკეტების შეფასება.

საქართველოში მოქმედებს მრავალფეროვანია სოციალური დაცვის პროგრამები და პაკეტები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და სოციალურ უსაფრთხოებას. ეს პროგრამები მიმართულია მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფებზე შესაბამისი საჭიროების მიხედვით. სოციალური მომსახურების სააგენტო ემსახურება ქვეყანაში არსებულ პროგრამებს, რომლებიც სამ ძირითად მიმართულებაში ერთიანდება, ესენია: სოციალური პროგრამები, ჯანდაცვის პროგრამები და სახელმწიფო გასაცემელი. აღნიშნული პროგრამები თავის მხრივ იყოფა დამატებით ქვეპროგრამებად, რომლებიც მიმართულია არსებული ჯანმრთელობის და სოციალური საჭიროებების მიხედვით.

კვლევის ფარგლებში დეტალურად იქნა შეფასებული არსებული სოციალური პროგრამების, მათი ქვეპროგრამების მახასიათებლები და მათი ეფექტურობა. ძირითადი სოციალური პროგრამის შეფასებით დგინდება, რომ თავის მხრივ სოციალური პროგრამები იყოფა სამ ძირითად მიმართულებად: ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა), დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის.


ფულადი სოციალური დახმარების პროგრამა (საარსებო შემწეობა)

ფულადი იგივე მიზნობრივი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) წარმოადგენს გასაცემელს, რომლის მიზანია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირება ან/და მისი პრევენცია. არსებობს საარსებო შემწეობის გაცემის შეფასების სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებული იქნა 2005 წელს, იგი რამდენჯერმე შეიცვალა და 2015 წელს ჩამოყალიბდა დღეს არსებული ფორმით. შეფასების და დახმარების პოტენციური ბენეფიციარის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია არსებობდეს ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც სწორად განსაზღვრავს დახმარების საჭიროების მქონე პირებს და უზრუნველყოფს მათთვის მარტივ და კომფორტულ ჩართულობას სოციალური დახმარების გაცემის პროგრამაში. პროგრამის ეფექტურობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შეფასების მეთოდოლოგიის სწორად გამოყენება ტრენირებული პერსონალის მიერ და მისი შემდგომი მონიტორინგი. არსებული მეთოდოლოგიის მიხედვით, შესაბამისი სოციალური მუშაკი აგროვებს შესაფასებელი ოჯახის მონაცემებს და ერთიან მონაცემთა ბაზაში შეტანის შემდეგ, კომპიუტერული პროგრამის მიერ ხდება სარეიტინგო ქულების დაანგარიშება. მიღებული ქულების მიხედვით დაანგარიშდება გასაცემი შემწეობის რაოდენობა, თუ სარეიტინგო ქულა :

- 30 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა გაიცემა 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა გაიცემა 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა გაიცემა 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- 100 001-ზე ნაკლებია: 100 001-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახი, ყოველ 16 წლამდე ასაკის წევრზე მიიღებს 50 ლარის ოდენობის შემწეობას.

დღეისათვის, სოციალური დახმარების პროგრამა წარმოადგენს ეფექტურ პროგრამას. საქართველოში საარსებო შემწეობის მიმღები მოქალაქეების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და 2010 – 2019 წლებში საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11 % - დან 13 % - მდე მერყეობს. (გრაფიკი - 9).

გრაფიკი 9. საარსებო შემწეობის ბენეფიციარი მოსახლეობა, მათი გეოგრაფიული განაწილება (თბილისი და რეგიონი) და პროცენტული წილი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობიდან 2010-2019 წწ.



აღნიშნული პროგრამა მოქმედებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა აღინიშნება საარსებო შემწეობის ბენეფიციართა გეოგრაფიული განაწილების ცვლილება 10 წლიან დინამიკაში რეგიონების მიხედვით. კერძოდ 2010 წელს ბენეფიციართა მხოლოდ 11 % იყო თბილისის მცხოვრები და შესაბამისად 89 % მოდიოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონზე, მაგრამ 2012 წლიდან იწყება თბილისში მცხოვრები საარსებო შემწეობის ბენეფიციართა პროცენტული წილის ზრდა და 2019 წლისთვის საარსებო შემწეობით მოსარგებლეთა 20 % - ს თბილისში მცხოვრები მოქალაქეები წარმოადგენენ. ამგვარად, საარსებო შემწეობის მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 11 % - ს შეადგენს და 10 წლიან დინამიკაში იზრდება საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი დედაქალაქში. სოფელში და ქალაქში მცხოვრები საარსებო

შემწეობის ბენეფიციართა განაწილების შესწავლისას დგინდება, რომ ბენეფიციართა შორის სოფლის მოსახლეობის წილი მცირედით (< 10%) აღემატება ქალაქის მოსახლეობის იგივე მაჩვენებელს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ დინამიკაში აღინიშნება სოფლის მოსახლეობის წილის შემცირება და ქალაქის მოსახლეობის წილის უმნიშვნელო ზრდა (ცხრილი 4).

ცხრილი 4. საარსებო შემწეობის მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა და პროცენტული სტრუქტურა, ქალაქსა და სოფელში 2014-2019 წწ.

	2014		2015		2016		2017		2018		2019	
	რაოდ.		რაოდ.		რაოდ.		რაოდ.		რაოდ.		რაოდ.	
	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%
შემწეობის მიმღები ოჯახები (ათასი)												
ქალაქი	61.4	43.3	54.3	43.4	66	46.1	64.5	49	62.3	48.8	55.82	46.7
სოფელი	80.4	56.7	71	56.6	77	53.9	67	51	65.5	51.2	63.77	53.3
ჯამი	141.8		125.3		143		131.5		127.8		119.59	
შემწეობის მიმღები მოსახლეობა (ათასი)												
ქალაქი	171.7	40.7	159.8	41	202.2	42.5	200.9	44.1	192.1	44.1	180.85	42.3
სოფელი	249.7	59.3	229.9	59	273.9	57.5	254.9	55.9	243.3	55.9	246.53	57.7
ჯამი	421.4		389.7		476.1		455.8		435.4		427.38	

საარსებო შემწეობის ბენეფიციართა ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლით დგინდება, რომ მათი უმრავლესობა (35 % - დან 37 % - მდე) მოდის 20 წლამდე ასაკის პირებში, ხოლო

25 %-მდე 30-50 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში, ყველას სხვა ასაკობრივ ჯგუფში ნაკლებია 10 % ზე (ცხრილი 5).

ცხრილი 5. საარსებო შემწეობის მიმღები ბენეფიციარების პროცენტული სტრუქტურა ასაკის მიხედვით 2014-2019 წწ.

ასაკ. ჯგუფი (წელი)	2014	2015	2016	2017	2018	2019
0-10	14.1	15.8	17.9	19.2	18.9	20.2
10-20	14.2	14.7	15.4	16.1	16.6	17.3
20-30	11.3	11	10.9	10.4	9.8	9.5
30-40	12.2	12.8	13.7	14.2	14	14.4
40-50	11.4	11.4	11.3	11.3	11.3	11.2
50-60	11.9	11.4	10.5	9.9	9.8	9.3
60-70	8.8	8.8	8.5	8.3	8.7	8.5
70-80	10.2	8.7	7.1	6.3	6.1	5.5
80+	5.9	5.3	4.6	4.3	4.6	4.1
სულ	100	100	100	100	100	100

ბენეფიციართა 45 %-ს შეადგენდა კაცები და 55%-ს ქალები, იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა რეგიონების და სქესის მიხედვით ბენეფიციართა განაწილების შეფასებისას. ბენეფიციართა 69% - ის ოჯახი შედგება 5 წევრზე ნაკლებისაგან, ხოლო 31% - ში კი ბენეფიციარის ოჯახი შედგება 5 და მეტი წევრისგან. მონაცემთა დინამიკაში

შესწავლა აჩვენებს, რომ ბენეფიციართა შორის 5 და მეტსულიანია ოჯახების პროცენტული წილი იმატებს.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამა შექმნილია მოსახლეობის შობადობის გაუმჯობესების მიზნით, მესამე და მომდევნო შვილების შემთხვევაში სახელმწიფოსგან ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის გზით. პროგრამა ხორციელდება იმ რეგიონებში, სადაც წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი არ ფიქსირდება, ან ნაკლებია 200-ზე. ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება ყველა იმ ბავშვისთვის, რომლებიც დაბადების დღის მდგომარეობით, არის თავისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე, ან შემდეგი ცოცხლად შობილი შვილი. 2019 წლის მდგომარეობით სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება საქართველოს 7 რეგიონში და გადაეცემა სულ 7 017 ოჯახს, რომელთა 36% (2 517 ოჯახი) მოდის იმერეთის რეგიონზე, კახეთის რეგიონზე მოდის 25% (1 767 ოჯახი) და სამეგრელო ზემო სვანეთი რეგიონზე კი 21% (1 497 ოჯახი). საქართველოს 5 რეგიონში: თბილისი, შიდა და ქვემო ქართლი, აჭარა და აფხაზეთი აღნიშნული პროგრამა არ ფუნქციონირებს.

შემდეგი არის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა მაღალმთიანი რეგიონებისათვის, რომელიც ემსახურება შობადობის გაუმჯობესებას მატერიალური წახალისების გამოყენებით მაღალმთიან რეგიონებში. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები არიან მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრები 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბავშვები, რომელთა თუნდაც ერთი მშობელი არის რეგისტრირებული მაღალმთიან რეგიონში.

აღნიშნული პროგრამის მუშაობის პერიოდში 2016-დან 2019 წლამდე ერთ ან მეტ-შვილიანი, მაღალმთიანი რაიონში მცხოვრები ოჯახების რაოდენობა გაიზარდა 39 % - ით, 3 174 - დან 4 416 მდე. ამ პროგრამის ბიუჯეტი კი 2016 წლიდან 2019 წლამდე 76 % - ით გაიზარდა, 1 828 800 - დან 7 637 900 ლარამდე. ეს მონაცემები ადასტურებს, რომ პროგრამა საკმაოდ ეფექტურია და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საკმაოდ მოკლე პერიოდში.

საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის პროგრამები

საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის პროგრამები საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას;

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა.
- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, მათ შორის ვერტიკალური პროგრამები:
 - აივ ინფექცია/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის პროგრამა
 - ტუბერკულოზის მართვის პროგრამა
 - ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა
 - ნარკომანიასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა
 - დედათა და ბავშვთა პროგრამა
 - დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა
 - დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამა
 - ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა
 - სასაწრაფო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება
 - იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა პროგრამა
 - რეფერალური მომსახურების პროგრამა
 - სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა შემოწმების პროგრამა
 - C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა
 - სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა
 - საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა
 - ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების პროგრამა

აღნიშნული პროგრამები წარმოადგენს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ძირითად პროგრამებს, მათგან ყველაზე უფრო ფართოა საყოველთაო ჯანდაცვის

პროგრამები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის სამედიცინო საჭიროებების დაფინანსებას. შემდეგ მოდის მთელი რიგი ვერტიკალური პროგრამები სხვადასხვა (აივ ინფექცია/შიდსი, C ჰეპატიტი და სხვა) ჯანდაცვის პრიორიტეტული მიმართულებების და საშიში ინფექციური დაავადებების დასაფინანსებლად. ქვეყანაში მოქმედებენ პროგრამები არაგადამდები დაავადებების, მათ შორის ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. გარდა ამისა ქვეყანაში მოქმედებს ესენციური მედიკამენტების დაფინანსების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში გამოყოფენ ამბულატორიულ და სტაციონარულ მიმართულებებს. ორივე მიმართულებაში გამოყოფილია რამდენიმე პაკეტი, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ქვე-მიმართულებებს, ისინი ასევე განსხვავდებიან მიზნობრივი ჯგუფებით და დაფინანსების ზომით.

ამბულატორიული სერვისები

გეგმიური ამბულატორიული პროგრამები წარმოადგენს ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემის მნიშვნელოვან მიმართულებას. რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ოჯახის ექიმის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და ფართოდ დანერგვაში. დაავადებების დროული და სწორი დიაგნოსტიკა ნებისმიერი ჯანდაცვის სისტემის მთავარი მიზანია, რასაც ემსახურება ამბულატორიული კვლევის პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ეფექტური გამოდგმა საქართველოს მოსახლეობისთვის და შესაბამისად მისი დაფინანსება გაიზარდა 45 443 900 - დან 52 847 200 - მდე და ჯამურად 16 % ით მოიმატა 2014-დან 2019-მდე (ცხრილი 6).

ცხრილი 6. გეგმიური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტზე გადარიცხული თანხა (1000 ლარი) კომპონენტების მიხედვით

კომპონენტი	2014	2015	2016	2017	2018	2019
------------	------	------	------	------	------	------

საყოველთაო ჯანდაცვა საბაზისო პაკეტი	31,536.00	33,393.40	33,389.90	30,357.20	29,563.70	30,014.00
ასაკობრივი ჯგუფები	6,407.10	15,149.30	16,009.00	15,930.50	13,762.40	14,430.20
მიზნობრივი ჯგუფები	7,129.70	9,469.00	8,151.80	7,471.20	7,266.50	7,951.60
საყოველთაო ჯანდაცვა ვეტერანების პაკეტი	272.3	308.7	326.7	341.5	373.8	417.2
საყოველთაო ჯანდაცვა მინიმალური პაკეტი	98.8	325.2	500.9	210.4	40.2	34.3
სულ	45,443.90	58,645.70	58,378.30	54,310.80	51,006.70	52,847.20

საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტი და ასაკობრივი პაკეტები წარმოადგენს ძირითად მიმართულებებს, ორივე კომპონენტის დაფინანსებაზე მოდის მთლიანი პროგრამის 84 %. საბაზისო საყოველთაო ჯანდაცვის ამბულატორიული მიმართულება მოიცავს მთლიანი პროგრამის 57 % (30 014 000) - ს, ხოლო შემდეგ მოდის ასაკობრივი პროგრამები, რაც შეადგენს 27 % (14 430 000) - ს. აღნიშნული დაფინანსება დიანამიკაში მზარდია 2016 წლამდე, ხოლო შემდეგ მცირდება (ცხრილი 7).

ცხრილი 7. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამბულატორიული ნაწილით მოსარგებლეთა რაოდენობა კომპონენტების მიხედვით 2014 -2019 წლებში.

კონტიგენტი/კომპონენტი	2014	2015	2016	2017	2018	2019
საყოველთაო ჯანდაცვა საბაზისო პაკეტი	1,101,754	1,177,974	1,183,576	1,123,811	936,312	1,019,427
ასაკობრივი ჯგუფები	476.245	576.729	589.282	603.095	581,603	621,532
მიზნობრივი ჯგუფები	266.119	254.809	224.493	211.317	200,840	210,254
საყოველთაო ჯანდაცვა ვეტერანების პაკეტი	17.127	11.583	12.813	12.133	12,315	13,337
საყოველთაო ჯანდაცვა მინიმალური პაკეტი	15.674	34.936	45.653	3.514	3,516	3,358
ძირითადი კონტიგენტი	1,876,919	2,056,031	2,055,817	1,953,870	1,734,586	1,867,908
საყოველთაო ჯანდაცვა საბაზისო პაკეტი	580.641	607.33	628.269	590.39	464,834	470,853
ასაკობრივი ჯგუფები	200.441	241.138	264.279	278.491	274,775	282,424
მიზნობრივი ჯგუფები	267.133	257.154	232.083	201.816	191,375	200,121
საყოველთაო ჯანდაცვა ვეტერანების პაკეტი	5.819	2.82	3.342	3.474	3,798	4,010
საყოველთაო ჯანდაცვა მინიმალური პაკეტი	3.123	6.508	8.543	27		
დამატებითი კონტიგენტი	1,057,157	1,114,950	1,136,516	1,074,198	934,782	957,408
სულ	2,934,076	3,170,981	3,192,333	3,028,068	2,669,368	2,825,316


2014 დან 2017 წლამდე აღინიშნება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. მხოლოდ 2015 წელს 2014 წელთან შედარებით პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა გაიზარდა 2,45 - ჯერ ანუ 245 % - ით, ხოლო 2016 წელს 2015 წელთან შედარებით პროგრამის ზრდა 0,45 - ჯერ ანუ 45 % - ით. 2019 წლის მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეთა 17 % მოდის ხუთ წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე. 16 - 16 % მოდის 40 - 59 და 70 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ პროგრამით მოსარგებლეთა 45 % მოდის 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე (ცხრილი 8).

ცხრილი 8. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ასაკობრივი ჯგუფები	2014	2015	2016	2017	2018	2019
0-5	5,574	71,757	120,815	133,984	121,199	132,492
6-17	25,499	66,126	88,162	103,274	99,222	119,823
18-29	37,355	96,074	121,614	129,306	104,550	100,634
30-39	22,434	57,390	75,319	86,272	70,429	68,352
40-59	40,702	102,027	134,738	155,840	127,500	126,184
60-64	6,484	25,455	39,430	45,849	44,621	48,624
65-69	1,147	19,537	37,106	45,418	48,836	54,870
70+	4,776	58,470	98,991	110,743	117,376	127,744
სულ	143,971	496,836	716,175	810,686	733,733	778,723

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობის დინამიკაში შესაფასებლად გამოთვლილი იყო პირსონის კორელაციის კოეფიციენტი ($R = 0.83$, $p = 0.039$), პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობა დინამიკაში მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ამ პროგრამის საჭიროებაზე და ეფექტურობაზე მიუთითებს (გრაფიკი 10).

გრაფიკი 10. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეთა დინამიკა წლების მიხედვით 2014-2019 წ.წ.



საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული მედიკამენტები პროგრამა

თავისი მნიშვნელობით და სიახლით ცალკე უნდა გამოიყოს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პენსიონერ და ზოგიერთი მოწყვლადი ჯგუფების ბაზისური მედიკამენტებით უზრუნველყოფაში. ეს პროგრამა 2017 წელს 1 ივლისიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფას სახელმწიფო დაფინანსებით. პროგრამის სამიზნე პოპულაციას წარმოადგენს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც აქვთ 100 000 ნაკლები ქულა. ბენეფიციარები პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებს იღებენ სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. 2018 წელს პროგრამა გაფართოვდა, მას დაემატა ბენეფიციართა ახალი მიზნობრივი ჯგუფები და გაიზარდა მედიკამენტების

ასორტიმენტი. პროგრამის ბენეფიციარებს ასევე დაემატა დამატებითი ჯგუფები, მათ შორის საპენსიო ასაკის მოსახლეობა (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები და მოზრდილი შშმ პირები, ასევე, პარკინსონის დაავადებით და ეპილექსიით დაავადებული პირები. პროგრამის ფარგლებში გაიცემა 35-მდე დასახელების მედიკამენტი.

პროგრამა ძალიან ეფექტური აღმოჩნდა და მისი უმეტესი კომპონენტით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა მუდმივად იზრდება დინამიკაში, გამონაკლისს წარმოადგენს ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობისა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამები (ცხრილი 9).

ცხრილი 9. მოსახლეობის სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (ბენეფიციარების რაოდენობა)

პროგრამა	2013	2014	2015	2016	2017	2018
დიაბეტის მართვა	21,488	22,943	24,052	25,157	26,207	27,180
დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი)	182	202	248	283	305	332
დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება)	-	-	2,736	2,905	3,099	3,323
ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა	3,624	3,646	3,598	3,793	3,612	3,475
იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა	497	518	576	601	641	686
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	-	5,433	6,736	14,249	34,847	30,066
ნარკომანია ¹	-	2,037	2,219	3,139	5,761	-

მედიკამენტების პროგრამის დაფინანსება ზრდადია დინამიკაში, რაც პოზიტიურად აისახება მომხმარებელთა რაოდენობის ზრდაზე (ცხრილი 10)

ცხრილი 10. მოსახლეობის სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსება (1000 ლარი)

პროგრამა	2013	2014	2015	2016	2017	2018
დიაბეტის მართვა	490,339	564,325	632,905	693,120	775,411	821,220
დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (ორგანოგდანერგვითა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი)	440,338	539,719	623,123	703,255	828,256	778,900
დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება) ²	-	-	1,657,532	3,399,998	3,803,827	3,281,657
ინკულაბელურ პაციენტთა პალიატიური უზრუნველობა	684,742	722,819	720,524	739,626	783,981	780,298
იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა	143,257	158,769	154,605	172,673	174,018	166,932
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	-	190,444	238,897	458,667	1,015,392	923,773
ნარკომანია	115,053	106,807	130,439	96,021	154,617	-
სულ	1,873,729	2,282,883	2,500,494	2,863,362	3,731,676	3,471,123

და კიდევ ერთხელ ადასტურებს პროგრამის ეფექტურობას.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებით 2019 წელს ისარგებლა 120 000 - ზე მეტმა პაციენტმა (ცხრილი 11),

ცხრილი 11. ქრონიკული დაავადებების მედიკამენტების პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობა.

კატეგორია	2017	2018	2019
100 ქულაზე ნაკლები	12,578	18,926	39,987
პენსიონერი	-	10,193	75,922
შშმ	-	637	5,889
ვეტერანი	-	-	309
საზღვრისპირა	-	-	18
სტატუსის არმქონე	-	-	381
სულ	12,578	29,467	120,553

მთლიანი პროგრამის დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა და თითქმის 9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს პროგრამის საჭიროებას და ეფექტურობას.

მედიკამენტების პროგრამის ბენეფიციარების ნახევარზე მეტს (75 922) პენსიონერები წარმოადგენენ, 2019 წელს პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობა სამჯერ მეტად გაიზარდა და ამავდროულად გაფართოვდა კატეგორიების მიხედვით და მას დაემატა ვეტერანთა, საზღვრისპირა და სტატუსის არმქონე პირების კატეგორია.

საყოფაცხოვრებო სუბსიდია, როგორც სახელმწიფო გასაცემელი და მისი სოციალური მნიშვნელობა.

სოციალური მხარდაჭერის პროგრამებში მნიშვნელოვანი როლი უჭრავს სახელმწიფო გასაცემელს: რომლის მთავარ ნაწილს სახელმწიფო პენსია წარმოადგენს, ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო კომპენსაცია, სოციალური პაკეტი, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება და საყოფაცხოვრებო სუბსიდია.

საყოფაცხოვრებო სუბსიდია ეს არის ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი, რომელიც სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად არის განკუთვნილი.


სახელმწიფო გასაცემელის რაოდენობა განსხვავებულია კანონმდებლობის განსხვავებული პუნქტების მიხედვით, იგი მერყეობს 7 დან 44 ლარამდე (ცხრილი 12)

ცხრილი 12. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებთა რაოდენობა სუბსიდიის მიღების საფუძვლის მიხედვით.

პუნქტები, ბენეფიტების შესაბამისად	ბენეფიტების ოდენობა	2014	2015	2016	2017	2018	2019
ა)	44	491	413	333	256	228	199
ბ)	44	1,259	906	652	467	338	238
გ)	44	1,202	1,237	1,296	1,284	1,303	1,335
დ)	22	5,544	4,292	3,470	2,726	2,120	1,639
ე)	22	2,165	2,771	3,016	3,328	3,578	3,897
ვ)	22	7,443	7,071	6,498	5,965	5,498	5,171
ზ)	22	938	521	510	510	495	478
თ)	7	175	195	186	180	191	175
ი)	7	52	45	50	47	43	41
კ)	7	-	-	-	1	1	1
ლ)	7	13,742	13,052	12,405	11,720	11,070	10,451
მ)	44	63	63	65	68	66	65
ნ)	44	8	8	7	7	5	5
ო)	22	94	93	93	101	103	105
სულ		33,176	30,667	28,581	26,660	25,039	23,800

და წარმოადგენს მნიშვნელოვან პროდუქტს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ფენისთვის. პროგრამული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სუბსიდიის რაოდენობა და მისი მომხმარებელი პირების რაოდენობა მნიშვნელოვნად ($R = -0.99$, $p < 0.001$) მცირდება დინამიკაში (გრაფიკი11).

გრაფიკი11. სახელმწიფო სუბსიდიით მოსარგებლეთა დინამიკა 2014-2019 წწ.



აღნიშნული შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს ერთის მხრივ საჭიროების შემცირება, რომ მოქალაქეები აღარ საჭიროებენ სახელმწიფო სუბსიდიებს, მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს დაფინანსების შემცირება.

მეორე ამოცანის კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

- საქართველოში მრავალი სოციალური პროგრამა მოქმედებს, რომელთა მოცვა და დაფინანსება დინამიკაში იზრდება. აღნიშნული პროგრამები სამ ძირითად მიმართულებას მოიცავენ, ესენია: სოციალური პროგრამები, ჯანდაცვის პროგრამები და სახელმწიფო გასაცემელი. პროგრამები უშუალოდ ემსახურება სოციალურად დაუცველ ოჯახებს და შშმ პირებს, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ამ პროგრამების ეფექტურობა გამოიხატება სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მდგომარეობის შენარჩუნებაში და მათთვის მინიმალური საარსებო

პირობების შექმნაში, მანამ სანამ ისინი შესძლებენ თავისი ოჯახის საარსებო პირობების გაუმჯობესებას.

- საქართველოში საარსებო შემწეობის მიმღები მოქალაქეების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და 2010 – 2019 წლებში საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11 % - დან 13 % - მდე მერყეობს ანუ საშუალოდ ყოველი მეათე ადამიანი ქვეყანაში არის სოციალურად დაუცველი და საჭიროებს მუდმივ ფინანსურ მხარდაჭერას, რომ იარსებოს.

მესამე ამოცანა

მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფისათვის სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სისტემის ხელმისაწვდომობის შესწავლა და შეფასება.

ამოცანის შესასრულებლად ჩატარებული იქნა რაოდენობრივი კვლევა, რომლის შედეგები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში.

ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევაში სულ მონაწილეობა 850 რესპოდენტმა მიიღო. მათგან 604 (71,0%) იყო მამაკაცი და 246 (29,0 %) ქალი. რესპოდენტები დაიყო ოთხ ასაკობრივ ჯგუფად. 18-25 წწ. ასაკობრივმა ჯგუფმა შეადგინა 111 (13,1%) რესპოდენტი, 25-35 წწ. ასაკობრივი ჯგუფში შეადგინა 211 (24,8%), ხოლო 35-60 წწ. ასაკობრივმა ჯგუფმა 419 (49,3%) რესპოდენტი, 60 წლის და მეტი ასაკობრივმა ჯგუფმა შეადგინა 108 (12,7%) რესპოდენტი. მონაწილეთა რეგიონული განაწილება შემდეგია, 539 (63%) რესპოდენტი ცხოვრობდა თბილისში და 311 (37%) რესპოდენტი კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (ცხრილი 13).

ცხრილი 13. კვლევის მონაწილეთა განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით.

სქესი	ქალი, N = 604 ¹	კაცი, N = 246 ¹
ასაკობრივი ჯგუფი		
18 - 24 წ.	395 (66%)	144 (59%)
25 - 34 წ.	63 (10%)	29 (12%)
35 - 59 წ.	86 (14%)	39 (16%)
60 და მეტი წწ.	59 (9.8%)	34 (14%)
უცნობია	1	0

¹სტატისტიკა მოცემულია: n (%)

პროფესიის მიხედვით რესპოდენტები შემდეგნაირად განაწილდა: 174 (20,0 %) იყო პედაგოგი, 54 (6,1%) ექიმი, 48 (5,6%) იურისტი, საბანკო სექტორში დასაქმებული იყო 32 (3,7%), ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი 50 (5,8%), სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 26 (3,0%), ხოლო თვითდასაქმებული ან დროებით უმუშევარი იყო 455 (53,5%) (ცხრილი 14).

ცხრილი 14 . რესპოდენტთა განაწილება სქესის რეგიონების და პროფესიის მიხედვით.

სქესი	ქალი, N = 604 ¹	კაცი, N = 246 ¹
გეოგრაფიული		
განაწილება		
თბილისი	395 (66%)	144 (59%)
რეგიონი	208 (34%)	102 (41%)
უცნობია	1	0

განაწილება

პროფესიის მიხედვით

სქესი	ქალი, N = 604 ¹	კაცი, N = 246 ¹
პედაგოგი	156 (26%)	18 (7.4%)
ექიმი	43 (7.2%)	11 (4.5%)
იურისტი	32 (5.4%)	16 (6.6%)
ფინანსისტი	23 (3.9%)	9 (3.7%)
ბიზნეს სექტორის წარმ.	25 (4.2%)	25 (10%)
სიფლის მეურნეობაში დასაქმ.	10 (1.7%)	16 (6.6%)
სხვა (თვითდასაქმებული)	307 (52%)	148 (61%)
უცნობია	8	3

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით 608 (71,5%) რესპოდენტი იყო დაქორწინებული, ხოლო 242 (28,5%) არ იმყოფებოდა ქორწინებაში (შესაბამისად იყო განქორწინებული, ქვრივი ან მარტოხელა დედა). რესპოდენტთაგან 686 (80,7%) ჰყავდა ერთი ან მეტი შვილი, მათ შორის 171 (20,1%) ჰყავდა სამი ან მეტი შვილი, ხოლო 157 (18,5%) არ ჰყავს შვილი.

რესპოდენტთა ფინანსური მდგომარეობა შეფასდა მათი საშუალო შემოსავლის მიხედვით ოჯახის ერთ წევრზე. თბილისში მცხოვრები და რეგიონში მცხოვრები ოჯახები განსხვავდება ოჯახის ერთ წევრზე საშუალო შემოსავლის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ თბილისში უფრო მეტია იმ ოჯახების რიცხვი, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი საშუალო შემოსავალი ვიდრე რეგიონში (ცხრილი 15).

ცხრილი 15. კვლევის მონაწილეთა რეგიონული განაწილება ოჯახის ერთ წევრზე შემოსავლის მიხედვით.

გეოგრაფიული განაწილება	თბილისი, N = 539 ¹	რეგიონები, N = 310 ¹	p-value ²
შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე			0.029
50-99 ლარი	142 (28%)	106 (36%)	
100-199 ლარი	210 (41%)	120 (40%)	
200 ლარზე მეტი	160 (31%)	72 (24%)	
არ უპასუხა	27	12	

¹Statistics presented: n (%)

²Statistical tests performed: chi-square test of independence

კერძოდ, ოჯახის წევრზე საშუალოდ 200 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პირები 7% - ით უფრო მაღალია თბილისში ვიდრე რეგიონში ($p = 0.029$).

სამედიცინო მომსახურების ხარისხით და სხვა მახასიათებლებით კმაყოფილება და მათზე ხელმისაწვდომობა შესწავლილი იქნა კვლევის მონაცემების გაანალიზებით. მონაცემები შედარებული იქნა სხვადასხვა სოციალური და ჯანდაცვის პაკეტებით მოსარგებლე პირებს შორის სამედიცინო მომსახურების ხარისხით კმაყოფილების და ხელმისაწვდომობის მიხედვით. გამოყოფილი იქნა ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების მნიშვნელოვანი დეტერმინანტები: სადაზღვევო პროგრამებით სარგებლობისა და სოციალური შემწეობის პროგრამებით სარგებლობის გამოცდილება, მათი გამოყენებით კმაყოფილება და სერვისებზე ხელმისაწვდომობა ამ პროგრამებით არა მოსარგებლე პირებთან.

სტატისტიკური ანალიზით დგინდება, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სამედიცინო პერსონალის ცოდნით და გამოცდილებით კმაყოფილებას შორის

სოციალური პაკეტების მქონე და არ მქონე პირების შორის ($p < 0,001$). ეს განსხვავება განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა სოციალური პაკეტებით მოსარგებლე პირების შეფასებისას. კერძოდ, სოციალური პაკეტის, განსაკუთრებით სოციალური შემწეობის პაკეტის (28%) მქონე პირების კმაყოფილება სამედიცინო პერსონალის ცონდით და გამოცდილებით რამდენადმე დაბალია, ვიდრე სოციალური პროგრამებით არამოსარგებლე პირების შემთხვევაში (15% და 19% ჯგუფების შესაბამისად). ეს გარკვეულწილად განპირობებულია სოციალური შემწეობის მქონე პირებისთვის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის შედარებით შეზღუდული არჩევანით და სპექტრით. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგადად სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მომხმარებელი პირების 40%-მდე კმაყოფილია სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციით და მომსახურებით.

სოციალური პაკეტის ფარგლებში ჯანდაცვის სერვისების ხარისხის და ხელმისაწვდომობის მეორე მნიშვნელოვანი პარამეტრი იყო სამედიცინო პერსონალის პაციენტთან კომუნიკაციის კულტურა, რომელიც ასევე განსხვავდებოდა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. შედარებით ნაკლებად კმაყოფილი იყო ის ჯგუფი, რომელიც არ არის სოციალური პაკეტების ბენეფიციარი.

ჯანდაცვის მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად მცირე (<20%) იყო ყველა ჯგუფში, განსაკუთრებით სოციალური პაკეტებით არ მოსარგებლე პირებისთვის, თუმცა იგი დაახლოებით 50% - მდე იზრდებოდა სახელმწიფო პროექტებით თანადაფინანსების შემთხვევაში. სამედიცინო მომსახურების მიღების სისწრაფე დამაკმაყოფილებელია რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის და მერყეობს 80-85% - მდე, საიდანაც 25% თვლის რომ სამედიცინო დაწესებულებები სწრაფად რეაგირებენ მათ საჭიროებებზე (ცხრილი 16).

ცხრილი 16. სოციალური და ჯანდაცვის პაკეტების მოხმარებელთა კმაყოფილება სამედიცინო სერვისების ხარისხით და ხელმისაწვდომობით.


სოციალური პაკეტები	დაზღვევა, N = 204 ¹	შემწობა, N = 91 ¹	არა N = 534 ¹	p-value
პერსონალის ცოდნა და გამოცდილება				<0.001
დამაკმაყოფილებელია	83 (42%)	35 (40%)	143 (27%)	
არ არის დამაკმაყოფილებელი	31 (15%)	24 (28%)	98 (19%)	
ნაწილობრივ	85 (43%)	28 (32%)	281 (54%)	
პერსონალის პაციენტთან კომუნიკაციის კულტურა				<0.001
მაღალია	41 (21%)	21 (25%)	53 (10%)	
დამაკმაყოფილებელი	122 (61%)	45 (54%)	342 (66%)	
დაბალი	36 (18%)	18 (21%)	123 (24%)	
სამედიცინო მომსახურები ტარიფების ხელმისაწვდომობა				<0.001
ხელმისაწვდომია	35 (18%)	14 (16%)	39 (7.5%)	
თანადაფინანსებით	99 (50%)	37 (42%)	242 (46%)	
არ არის ხელმისაწვდომი	63 (32%)	37 (42%)	242 (46%)	
რამდენად სწრაფად რეაგირებენ საავადმყოფოები თქვენს პრობლემაზე				<0.001
მაღალი ხარისხით	40 (20%)	23 (25%)	58 (11%)	
საშუალო	150 (74%)	56 (62%)	409 (78%)	
დაბალი	12 (5.9%)	12 (13%)	58 (11%)	

¹Statistics presented: n (%) არა მოპასუხე ან გამოტოვებული მონაცემები არ შედის ანალიზში.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეფასების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი იყო კვლევაში მონაწილე პირებისთვის გეოგრაფიულად ახლოს განლაგებული სამედიცინო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის შეფასება. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უბნის პოლიკლინიკის სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილია კვლევის მონაწილეთა 48%. აღსანიშნავია, რომ 35 - დან 59 წლის ასაკობრივი


ჯგუფის რესპოდენტები წარმოადგენენ კმაყოფილი რესპოდენტების თითქმის ნახევარს (გრაფიკი 12).

გრაფიკი12. უბნის სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.




რესპოდენტთა თითქმის ნახევარი (45 %-დან 57 %-მდე) კმაყოფილი იყო უბნის სამედიცინო დაწესებულების მომსახურებით. ისინი თვლიან, რომ საჭიროების შემთხვევაში საკმაოდ სწრაფად იღებენ სამედიცინო დახმარებას. 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის კმაყოფილება სამედიცინო მომსახურებით უფრო მაღალი იყო ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ამავდროულად, კვლევის რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ დაგვიანებით იღებს სამედიცინო მომსახურებას და ისინი ან არ არიან კმაყოფილები ან უჭირთ დადებითი პასუხის გაცემა სამედიცინო მომსახურების დროულობასთან დაკავშირებით (გრაფიკი13).

გრაფიკი 13. უბნის პოლიკლინიკის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.



შემდეგი კითხვა შეეხებოდა სამედიცინო მომსახურების ფინანსურად ხელმისაწვდომობას, რაზეც პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა. რესპოდენტთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ მათთვის სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის სრული კურსის გავლა ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი (გრაფიკი 14).

გრაფიკი 14. ასაკის და მკურნალობის სრული კურსის ფინანსური ხელმისაწვდომობის შედარება.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპოდენტის ასაკის მატებასთან ერთად 27% - დან 48% - მდე იმატებს იმ რესპოდენტთა წილი, ვისთვისაც ფინანსური ბარიერების გამო არ არის ხელმისაწვდომი მკურნალობის სრული კურსის გავლა. სტატისტიკური მეთოდები (X^2 – ტესტი და რისკების სხვაობა RR) იქნა გამოყენებული ასაკობრივი ჯგუფებისა და მკურნალობის სრული კურსის ფინანსურ ხელმისაწვდომობას შორის ასოციაციის დასადგენად. ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა (X^2 -squared = 12.6, df = 2, p-value = 0.001) და იმის რისკი, რომ მკურნალობის სრული კურსის ვერ ჩაიტაროს ფინანსური სახსრების არ ქონის გამო ორ ნახევარჯერ მაღალია 60 და მეტი ასაკის პირებში 18- დან 24 წლამდე ასაკის პირებთან შედარებით (RR 2.19, 95% CI 1.1 – 4.2, p<0.01).

კვლევის მონაწილე რესპოდენტთა 69% (547) - ს ჰყავს ოჯახის ექიმი და შემთხვევათა 61 % (478) - ში რესპოდენტები კმაყოფილი არიან ოჯახის ექიმის ინსტიტუტის მომსახურებით და ოჯახის ექიმის პრაქტიკით. ოჯახის ექიმის სერვისებით კმაყოფილება ასაკობრივ ჯგუფების მიხედვით არ განსხვავდება (ცხრილი 17).

ცხრილი 17. ასაკობრივი ჯგუფები და ოჯახის ექიმის მომსახურებით კმაყოფილება

ასაკობრივი განაწილება	18-24 წწ. N = 111 ¹	25-34 წწ. N = 211 ¹	35-59 წწ. N = 416 ¹	60წ. ზემოთ N = 107 ¹	p-value ²
კმაყოფილი ხართ უბნის ექიმის მომსახურებით ?					
ძალიან კარგია	23 (21%)	41 (20%)	81 (20%)	23 (22%)	
დამაკმაყოფილებელია	54 (49%)	134 (64%)	253 (61%)	54 (52%)	
არა დამაკმაყოფილებელია	25 (23%)	29 (14%)	68 (17%)	24 (23%)	
არ მაქვს პასუხი	9 (8.1%)	6 (2.9%)	10 (2.4%)	3 (2.9%)	
უცნობია	0	1	4	3	
მოგწონთ ოჯახის ექიმის პრაქტიკა?					
					0.5
მომწონს	68 (61%)	121 (57%)	255 (61%)	71 (66%)	
არ მომწონს	19 (17%)	29 (14%)	59 (14%)	16 (15%)	
არ მაქვს პასუხი	24 (22%)	61 (29%)	102 (25%)	20 (19%)	
გყავთ ოჯახის ექიმი?					
					0.5
დიახ	74 (67%)	156 (74%)	304 (73%)	79 (75%)	
არა	36 (33%)	55 (26%)	112 (27%)	26 (25%)	
არ უპასუხა	1	0	0	2	

კვლევის კითხვარი მოიცავდა კითხვებს კერძო და სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით სარგებლობის და მათი მომსახურებით კმაყოფილების შესახებ. რესპოდენტთა 23% (183) სარგებლობს კერძო დაზღვევით, ხოლო 73 % (558) სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. ჩვენს მიერ შედარებული იქნა სადაზღვევო პროგრამებით კმაყოფილება კერძო და სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების ბენეფიციარებს შორის, პირველ ეტაპზე ნანახი იქნა სარწმუნო განსხვავება კერძო და სახელმწიფო დაზღვევის ბენეფიციართა მიერ სერვისით კმაყოფილებას შორის (X-squared = 27.3, df = 2, p-value < 0.001). შემდგომი ანალიზით კი კერძო სადაზღვევო პროგრამების მომხმარებლები 2 - ჯერ მეტად

კმაყოფილი იყვნენ ვიდრე სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების მომხმარებლები (RR 2.43, 95% CI 1.8 – 3.4, $p < 0.01$) (ცხრილი 18).

ცხრილი 18. სახელმწიფო და კერძო სერვისებით კმაყოფილება კერძო და სახელმწიფო პროგრამების და რესპოდენტის ასაკის მიხედვით.

დაზღვევის ფორმები	სახელმწიფო, საყოველთაო N = 643 ¹	კერძო N = 199 ¹	p-value ²
კმაყოფილი ხართ თუ არა სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით?			<0.001
საკმაოდ კმაყოფილი ვარ	56 (9.5%)	49 (25%)	
კმაყოფილი ვარ	268 (46%)	86 (44%)	
არ ვარ კმაყოფილი	264 (45%)	60 (31%)	
არ უპასუხა	55	4	
	ასაკობრივი ჯგუფები		0.8
18 - 24 წწ.	82 (13%)	29 (15%)	
25 – 39 წწ.	162 (25%)	48 (24%)	
40 – 59 წწ.	315 (49%)	100 (50%)	
60 წელი და მეტი	84 (13%)	22 (11%)	

¹Statistics presented: n (%)


²Statistical tests performed: chi-square test of independence

მონაცემების ასაკობრივი ჯგუფების და დაზღვევის სერვისებით კმაყოფილების მიხედვით ანალიზის შედეგად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლენილი არ ყოფილა. კითხვაზე რომელ დაზღვევას აირჩევდით კერძოს თუ სახელმწიფოს მას შემდეგ რაც ახალი რეგულაციით აღარ შეიძლება ერთდროულად ორივე დაზღვევის ქონა, რესპოდენტთა მხოლოდ 38 % (286) - ს ურჩევნია ჰქონდეს კერძო დაზღვევა, მიუხედავად იმისა, რომ ანალიზის გვიჩვენებს კერძო დაზღვევით კმაყოფილების მაღალ ხარისხს. ეს შეიძლება ასევე განპირობებული იყოს იმით, რომ რესპოდენტთა მხოლოდ ნაწილს აქვს კერძო სადაზღვევო პროგრამით სარგებლობის გამოცდილება. კვლევის რესპოდენტთა 68 % (539) - ს ქონდა სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობის

გამოცდილება, მათგან შედარებით ხშირად იყენებდა 13 % (106), ხოლო საშუალო სიხშირით კი 55 % (433). საყოველთაო დაზღვევის გამოყენება არასოდეს დასჭირვებია რესპოდენტთა 19 % (154) - ს, ხოლო რესპოდენტთა 10 % (82) - ს ეს პროგრამა ვერ დაეხმარა თავისი ჯანმრთელობის საჭიროების მოგვარებაში. კერძო სადაზღვევო კომპანიების საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანი იყო წარმოდგენილი რესპოდენტების მიერ, რომელსაც ისინი ანიჭებენ უპირატესობას.

დაზღვევის ხანგრძლივობა განსხვავდება სქესის და ასაკის მიხედვით 35-59 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის რესპოდენტი ქალების უმრავლესობა წარმოადგენს 1 წელზე მეტი ხნით დაზღვევის მქონე პოპულაციას (გრაფიკი 15).

გრაფიკი 15. დაზღვევით სარგებლობის ხანგრძლივობა ასაკის და სქესის მიხედვით.



კერძო დაზღვევის მონაწილეების მნიშვნელოვანი ნაწილი დაზღვევის შესახებ რეკომენდაციას იღებს ნათესავების, მეზობლების და სხვათა რჩევებს, ხოლო დაზღვევის შერჩევის გადაწყვეტილება ეფუძნება სხვადასხვა პარამეტრს, თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შეთავაზებული მომსახურების ხარისხი და მრავალფეროვნება.

სადაზღვევო კომპანიის მომსახურების შეფასებისას ასევე გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: კმაყოფილება სადაზღვევო კომპანიის მიერ მედიკამენტების დაფინანსებით, სადაზღვევო კომპანიასთან ურთიერთობის სირთულეები, კომპანიის მხრიდან დროში გაწეული პრობლემების არსებობა, სადაზღვევო კომპანიის დროული რეაგირება მომხმარებლის საჩივარზე. აღნიშნული სერვისები შეფასდა რესპოდენტის ასაკის მიხედვით ბივარიაციული სტატისკური ანალიზის გამოყენებით. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სადაზღვევო სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ მათ ჩივილზე და პრობლემებზე რეაგირების გამოცდილება განსხვავებულია ($p < 0.01$), ყველაზე მეტად აღინიშნება 60 წელზე ნაკლები ასაკის პირებში, ისინი უფრო ხშირად მიმართავენ სადაზღვევო კომპანიას მომსახურებაში არსებულ პრობლემებზე რეაგირების მოსახდენად და უმეტესად რეაგირება არ არის მათი მოლოდინების ადექვატური (ცხრილი 19).

ცხრილი 19. სერვისების გამოცდილება და კმაყოფილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფები	18 -24 წწ.	25 – 39 წწ.	40 – 59 წწ.	60 წ. და მეტი	p-value ²
რამდენად კმაყოფილი ხართ სადაზღვევოს მიერ მედიკამენტების დაფინანსებით?					0.5
კმაყოფილი ვარ	31 (30%)	65 (38%)	130 (38%)	35 (39%)	
არ ვარ კმაყოფილი	60 (59%)	89 (52%)	178 (52%)	50 (56%)	
მიჭირს პასუხი	11 (11%)	18 (10%)	32 (9.4%)	4 (4.5%)	
არ უპასუხა	9	39	76	18	
რა სირთულეებს ხვდებით სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობისას?					0.095
ბიუროკრატიული	54 (57%)	83 (51%)	151 (52%)	27 (38%)	
დაბალი დონე	40 (43%)	79 (49%)	142 (48%)	44 (62%)	
არ უპასუხა	17	49	123	36	
მიგიმართავთ თუ არა საჩივრით სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელობისთვის?					0.003
დიახ	24 (25%)	24 (13%)	44 (13%)	6 (6.7%)	

ასაკობრივი ჯგუფები	18 -24 წწ.	25 – 39 წწ.	40 – 59 წწ.	60 წ. და მეტი	p-value ²
არა	72 (75%)	158 (87%)	285 (87%)	84 (93%)	
არ უპასუხა	15	29	87	17	

¹Statistics presented: n (%)

²Statistical tests performed: chi-square test of independence

პრობლემის სიღრმისეულად შესაფასებლად საჭიროა უფრო დეტალური ანალიზი, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს ხარისხობრივ კვლევასაც.

ოჯახის პენსიონერი წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისას აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა პენსიონერი ოჯახის წევრების 51 % (339) წელიწადში მინიმუმ ორჯერ საჭიროებს ექიმის კონსულტაციას, ხოლო რესპონდენტთა 24 % (169) აღნიშნავს, რომ მათი პენსიონერი ოჯახის წევრები წლის მანძილზე 2 - ჯერ და მეტჯერ საჭიროებენ ექიმის კონსულტაციას, მაშინ როცა 25 % (166) საშუალოდ თვეში ერთხელ საჭიროებს ექიმის კონსულტაციას. თბილისში ასეთი კონსულტაციების საჭიროება მნიშვნელოვნად მაღალია რეგიონებში მცხოვრებ პენსიონერებთან შედარებით. ასაკოვანი რესპოდენტების ოჯახის პენსიონერი წევრები უფრო ხშირად საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას ახალგაზრდებთან შედარებით. მონაცემების სქესის მიხედვით შედარებისას მნიშვნელოვანი განსხვავება ვერ იქნა ნანახი.

იმ რესპოდენტების 9 % (60) რომელთა პენსიონერ ოჯახის წევრებს ესაჭიროება სამედიცინო მომსახურებები აღნიშნავს, რომ მათთვის ექიმის კონსულტაცია ხელმისაწვდომია საჭიროების მიხედვით. რესპონდენტთა 55 % (366) აღნიშნავს, რომ მათი პენსიონერი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მოსახურეობა მხოლოდ ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი. მაშინ როცა 36 % (241) აღნიშნავს, რომ მათი პენსიონერი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია და თითქმის არ არის ხელმისაწვდომი.

- მეოთხე ამოცანის მონაცემების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალური პროგრამების ბენეფიციართა უმრავლესობა წარმოადგენს ბავშვებს და არასაკენსიო ასაკის ჯგუფს. სოციალური დახმარების მიმღებთა მესამედი კი არის მრავალშვილიანი ოჯახები. სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა იზრდება დედაქალაქში და მცირდება რეგიონებში.
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოკვეთილია რეგიონები, სადაც აღინიშნება ნეგატიური დემოგრაფიული მაჩვენებლები.
- საქართველოში მოქმედებს ჯანდაცვის პროგრამები, რომლებიც ფარავენ ჯანდაცვის სხვადასხვა საჭიროებებს. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა იზრდება დინამიკაში და ძირითადად მოდის ჯანდაცვის ბაზისურ საჭიროებებზე.
- აღსანიშნავია, რომ პირველადი და სპეციფიური საჭიროების მედიკამენტების პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის და მისი მომხმარებელთა რაოდენობა, მისაწოდებელი მედიკამენტების ასორტიმენტი იზრდება დინამიკაში.

მეოთხე ამოცანა

სოციალური გარემოს და სოციალური მარკერების კომპლექსური შესწავლა და შეფასება.

სოციალური მდგომარეობის შეფასება

რესპოდენტის და მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობა შეფასებული იქნა ოჯახის წევრების რაოდენობის, მათ შორის პენსიონერთა რაოდენობის, ოჯახის ერთ წევრზე საშუალო შემოსავლის, საბინაო პირობების, განათლების, სოციალური დაცვის პროგრამების გამოყენების და ამ სერვისებით კმაყოფილების მიხედვით.

პირველ კითხვაზე შეფასებული იქნა ოჯახში პენსიის მიმღები პირების რაოდენობა ასაკის და სქესის მიხედვით. 35-59 წლამდე ასაკის ქალებში უფრო მეტია ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ 1 ან მეტი პენსიონერი, ხოლო კაცებს შორის შედარებით ნაკლებია ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც ჰყავთ პენსიონერები ოჯახში. აღინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება ოჯახში პენსიონერთა რაოდენობას შორის ასაკის მიხედვით, 35 წლის და უფროსი ასაკის რესპოდენტებს ყავთ 1 ან მეტი პენსიონერი ოჯახის წევრები (ცხრილი 20, გრაფიკი 16).


ცხრილი 20. ოჯახში პენსიონერთა რაოდენობა და ასაკობრივი ჯგუფები

ასაკობრივი ჯგუფი	18-24 წწ.	25 – 34 წწ.	35 – 59 წწ.	60 წ. და მეტი	p-value ²
	N = 111 ¹	N = 211 ¹	N = 416 ¹	N = 107 ¹	
	პენსიონერების რაოდენობა ოჯახში				<0.001
1	24 (22%)	61 (30%)	136 (34%)	43 (40%)	
2	36 (34%)	36 (18%)	77 (19%)	46 (43%)	
2 - ზე მეტი	20 (19%)	15 (7.4%)	38 (9.4%)	7 (6.5%)	
არცერთი	27 (25%)	92 (45%)	152 (38%)	11 (10%)	
უცნობია	4	7	13	0	

¹Statistics presented: n (%)

²Statistical tests performed: chi-square test of independence

გრაფიკი 16. ოჯახში პენსიონერების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით.



ქვეყანაში არსებული საპენსიო ზღვარი არადამაკმაყოფილებელი და არასაკმარისად მიაჩნია რესპოდენტთა უმრავლესობას, აღინიშნება მნიშვნელოვანი სხვაობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. არსებული საპენსიო ზღვარით უკმაყოფილება მაღალია 35 და ზემოთ ასაკობრივ ჯგუფებში (ცხრილი 21).

ცხრილი 21. ქვეყანაში არსებული საპენსიო ზღვართი კმაყოფილება ასაკის მიხედვით


ასაკობრივი ჯგუფები	18-24 წწ. N = 111 ¹	25 – 34 წწ. N = 211 ¹	35 – 59 წწ. N = 416 ¹	60 წ. და მეტი N = 107 ¹	p-value ²
კმაყოფილი ხართ თუ არა ქვეყანაში არსებული საპენსიო ზღვართით ?					0.024
დიახ	13 (12%)	12 (5.9%)	25 (6.2%)	6 (5.6%)	
ნაწილობრივ	22 (21%)	65 (32%)	100 (25%)	19 (18%)	
არა	72 (67%)	126 (62%)	279 (69%)	82 (77%)	
არ უპასუხა	4	8	12	0	

¹Statistics presented: n (%)

²Statistical tests performed: chi-square test of independence

მინიმალური პენსიის საკმარისი რაოდენობების შეფასებისას რესპოდენტთა 63% (496) მიაჩნია, რომ მინიმალური პენსია უნდა იყოს 400 ლარი და მეტი. 32% (255) თვლის, რომ 200 – 400 ლარამდე პენსია არის საკმარისი მინიმუმი და მხოლოდ 4 % (35) ძალიან მცირე რაოდენობა თვლის რომ 200 ლარი არის საკმარისი მინიმალური პენსია (გრაფიკი 17).

გრაფიკი 17. პენსიის საკმარისი რაოდენობის განაწილება რეგიონების და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.



პენსიის ის რაოდენობები, რომლებსაც რესპოდენტების თვლიან საკმარისად არ განსხვავდებოდა სქესის მიხედვით, თუმცა ისინი განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფებისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით ($p < 0.01$). მნიშვნელოვანია, რომ თბილისში მცხოვრები რესპოდენტები 68 % (360) თვლის, რომ მინიმალური საკმარისი პენსია უნდა იყოს 400 ლარი და მეტი. რეგიონებში მცხოვრებ რესპოდენტებთან შედარებით თბილისში მცხოვრები რესპოდენტების უმრავლესობა თვლის, რომ მინიმალური საკმარისი პენსიის რაოდენობა უნდა იყოს 200 ლარი ან მეტი, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია თბილისში საცხოვრებლად საჭირო უფრო მაღალ მინიმალურ დანახარჯებთან. საკმარისი რაოდენობის პენსიის რაოდენობა განსხვავებულია რესპოდენტის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, უფრო მაღალი ასაკის რეზიდენტები თვლიან, რომ საკმარისი რაოდენობის პენსია უნდა იყოს 400 ლარი და მეტი (ცხრილი 22).

ცხრილი 22. პენსიის საკმარისი რაოდენობის, სქესის, ასაკისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.

სკმარისი რაოდენობა	პენსიის 200 ლარი N = 40 ¹	200 – 400 ლ. N = 268 ¹	400 ლარი და მეტი N = 529 ¹	p-value ²
სქესი				0.6
ქალი	28 (70%)	184 (69%)	382 (72%)	
კაცი	12 (30%)	84 (31%)	147 (28%)	
გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით (თბილისი, რეგიონები)				<0.001
თბილისი	20 (50%)	149 (56%)	360 (68%)	
რეგიონი	20 (50%)	119 (44%)	168 (32%)	
უცნობია	0	0	1	
ასაკობრივი ჯგუფები				0.003
18 – 24 წწ.	10 (25%)	34 (13%)	66 (12%)	
25 – 34 წწ.	11 (28%)	74 (28%)	124 (23%)	
35 – 59 წწ.	14 (35%)	142 (53%)	255 (48%)	
60 და მეტი	5 (12%)	18 (6.7%)	84 (16%)	


¹Statistics presented: n (%)

²Statistical tests performed: chi-square test of independence

რესპოდენტთა მხოლოდ 9 % (72) თვლის, რომ საქართველოს მოსახლეობა არის სოციალურად დაცული. აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების, სქესის და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.

საპენსიო ასაკის ოჯახის წევრების მატერიალური მდგომარეობის შეფასებით დგინდება, რომ მხოლოდ 4 % (31) თვლის, რომ მათ პენსიონერი ოჯახის წევრებს აქვთ კარგი მატერიალური მდგომარეობა. 57 % (406) თვლის, რომ მათი პენსიონერი ოჯახის წევრების მდგომარეობა არის საშუალო და 38 % (271) თვლის, რომ მისი პენსიონერი ოჯახის წევრის მდგომარეობა შეესაბამება სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანის მდგომარეობას (გრაფიკი 18).


გრაფიკი 18. საპენსიო ასაკის ოჯახის წევრების მატერიალური მდგომარეობა



სოციალური დაცვის პროგრამების როლი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში.

აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა 28 % (222) ცხოვრობს კერძო სახლში, 58 % (454) კორპუსის ბინაში, ხოლო 7 % (55) ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში და 7 % (53) ასევე ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში. გეოგრაფიული განაწილების მიხედვით შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება, კერძოდ თბილისში მცხოვრები რესპოდენტები უმეტესად ცხოვრობენ ბინებში ვიდრე რეგიონის მცხოვრებნი, გარდა ამისა თბილისში მცხოვრებთა უფრო დიდი ნაწილი ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში და საერთო საცხოვრებელში. სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება, ხოლო 25-34 წალმდე პირები უფრო მეტად თბილისში ცხოვრობენ (გრაფიკი 19).

გრაფიკი 19. რესპოდენტთა განაწილება საცხოვრებელი სახლის, ასაკის და რეგიონების მიხედვით.



საცხოვრებელი პირობების შეფასებით დგინდება, რომ რესპოდენტთა მხოლოდ 15 % (115) ცხოვრობს კარგ პირობებში. 69 % (540) - ში საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია, ხოლო 16 % (129) - ში კი არადამაკმაყოფილებელი. აღსანიშნავია, რომ ასაკოვანი რესპოდენტების თითქმის მესამედი (30%) ცხოვრობს არადამაკმაყოფილებელ პირობებში. რეგიონებში მცხოვრები რესპოდენტების 21 % ასევე ცხოვრობს არადამაკმაყოფილებელ პირობებში, ხოლო სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის (ცხრილი 23).

ცხრილი 23. საცხოვრებელი პირობების შეფასება ასაკის, სქესის და რეგიონის მიხედვით.

საცხოვრებელი პირობები	კარგი N = 129 ¹	დამაკმაყოფილებელი N = 571 ¹	არადამაკმაყოფილებელი N = 137 ¹	p-value ²
ასაკობრივი ჯგუფები				<0.001
18 – 24 წწ.	22 (20%)	71 (65%)	17 (15%)	
25 – 34 წწ.	41 (20%)	137 (66%)	31 (15%)	
35 – 59 წწ.	55 (13%)	301 (73%)	57 (14%)	
60 წ. და მეტი	11 (10%)	62 (59%)	32 (30%)	
სქესი				0.15
ქალი	88 (15%)	416 (70%)	89 (15%)	
კაცი	41 (17%)	155 (64%)	48 (20%)	
გეოგრაფიული საცხოვრებელი				0.036
თბილისი	85 (16%)	372 (70%)	73 (14%)	
რეგიონი	44 (14%)	199 (65%)	63 (21%)	
უცნობია	0	0	1	

¹Statistics presented: n (%)

²Statistical tests performed: chi-square test of independence

რესპოდენტთა ოჯახების მხოლოდ 6 % (45) ცხოვრობს კარგად. 49 % (381) ცხოვრობს ნორმალურად, 37 % (290) - ს ფინანსები ყოფნის მხოლოდ კვებაზე, ხოლო 8 % (63) პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს და ფინანსური სახსრები კვებაზეც კი არ ყოფნის. ფინანსური პრობლემები უფრო მწვავედ დგას ასაკოვანი მოსახლეობისთვის, როგორც რეგიონებში ისე თბილისში. სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება (ცხრილი 24, გრაფიკი 20).


ცხრილი 24. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა ასაკის, სქესის და რეგიონის მიხედვით.

მატერიალური მდგომარეობა	კარგი N = 54 ¹	ნორმალური N = 399 ¹	მხოლოდ საკვებზე N = 313 ¹	საკვებზეც არ ყოფნის N = 68 ¹	p-value ²
ასაკობრივი ჯგუფები					<0.001
18 – 24 წწ.	14 (26%)	53 (13%)	37 (12%)	6 (8.8%)	
25 – 34 წწ.	19 (35%)	110 (28%)	66 (21%)	13 (19%)	
35 - 59 წწ.	16 (30%)	203 (51%)	160 (51%)	31 (46%)	
60 წ. და მეტი	5 (9.3%)	33 (8.3%)	50 (16%)	18 (26%)	
სქესი					0.13
ქალი	31 (57%)	291 (73%)	222 (71%)	47 (69%)	
კაცი	23 (43%)	108 (27%)	91 (29%)	21 (31%)	
რეგიონული განაწილება					0.007
თბილისი	37 (69%)	266 (67%)	192 (62%)	31 (46%)	
რეგიონი	17 (31%)	133 (33%)	120 (38%)	37 (54%)	
უცნობია	0	0	1	0	

¹Statistics presented: n (%)

²Statistical tests performed: chi-square test of independence

გრაფიკი 20. რესპოდენტთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა ასაკობრივი ჯგუფების და რეგიონების მიხედვით.



მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების სოციალური დაცვა

კვლევაში მონაწილეთა 14 % (94) თვლის, რომ მათ აქვთ საშუალება უზრუნველყონ შვილებისთვის სწავლა-განათლების დაფინანსება. 56 % (400) თვლის, რომ მათთვის შედარებით რთულია შვილების ფინანსური უზრუნველყოფა განათლების მიღების პროცესში, ხოლო 29 % (201) არ აქვს საკმარისი ფინანსური საშუალება, რომ უზრუნველყოს შვილების სწავლა-განათლების მხარდაჭერა. მნიშვნელოვანი განსხვავება ასაკის, სქესის და გეორგაფიული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ აღინიშნება. ძირითადი მოთხოვნები და მხარდაჭერა რომელიც რესპოდენტებს ესაჭიროებათ არის უფასო წიგნები, უფასო კვება და უფასო ტრანსპორტი. რესპოდენტების 58 % (414) თვლის, რომ განათლება უნდა იყოს უფასო ახალგაზრდებისთვის, 36 % (252) თვლის რომ სწავლა 80 % უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ, ხოლო 6 % (42) საკმარისად მიაჩნია უფასო წიგნების ხელმისაწვდომობა.

რესპოდენტთა მხოლოდ 6 % (48) თვლიდა, რომ საკმარისია შშმ პირებისთვის და ასაკოვანი ადამიანებისთვის სახელმწიფოს მიერ გატარებული სოციალური დაცვის


ღონისძიებები, აღნიშნული დამოკიდებულება განსხვავდება სქესის და ასაკის მიხედვით, მაგრამ არ განსხვავდება თბილისის და რეგიონების მიხედვით.

რესპოდენტთა 7 % (51) თვლის, რომ ქვეყანაში არსებული ბავშვთა დასაცავად მიმართული სოციალური პროგრამები საკმარისად ეფექტურია, ხოლო 93 % (730) კი თვლის რომ ეს პროგრამები არ არის ეფექტური. აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ასაკის, სქესის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

რესპოდენტთა 8 % (59) თვლის, რომ ქვეყანაში არსებული მოზარდთა სოციალური დაცვის პროგრამა საკმარისად ეფექტურია, ხოლო 92 % (724) თვლის, რომ ეს პროგრამები არასაკმარისად ეფექტურია მოზარდებისთვის. მნიშვნელოვანი განსხვავება ასაკის, სქესის და გეოგრაფიული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ აღინიშნება.

რესპოდენტთა 55 % (431) - ის მოსაზრებით, ქვეყანაში სოციალურად დაუცველი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების მდგომარეობა არის არადაკმაყოფილებელი, ხოლო 26 % (201) თვლის, რომ მათი მდგომარეობა არის გაუსაძლისი, 16 % (123) თვლის, რომ მათი მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი და მხოლოდ 3 % (24) თვლის, რომ მზრუნველობამოკლებული ბავშვების მდგომარეობა არის კარგი. თბილისში მცხოვრები რესპოდენტების ნახევარზე მეტი თვლის, რომ მზრუნველობამოკლებული ბავშვების მდგომარეობა არის გაუსაძლისი, იგივე მაჩვენებელი რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის შედარებით უფრო ნაკლებია, რაც სავარაუდოდ რეგიონებში მზრუნველობამოკლებული ბავშვების შედარებით მცირე რაოდენობასთან და პრობლემის უფრო ნაკლებ აქტუალობასთან არის კავშირში (გრაფიკი 21).

გრაფიკი 21. მზრუნველობამოკლებული ბავშვების სოციალური დაცვის მდგომარეობის პასუხების განაწილება ასაკის და გეოგრაფიული საცხოვრებლის მიხედვით.



რესპოდენტებმა ასევე უპასუხეს კითხვაზე სახელმწიფო და სოციალური სამსახურების ჩართულობის შესახებ არასრულწლოვანი დამნაშავეების სოციალურ რეაბილიტაციაში. გამოკითხულთა 5 % (39) თვლის რომ სახელმწიფო სრულყოფილად არის ჩართული არასრულწლოვანთა რეაბილიტაციაში. 61 % (471) თვლის, რომ სახელმწიფო მხოლოდ ნაწილობრივ არის ჩართული არასრულწლოვანთა რეაბილიტაციაში და კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ხოლო 33 % (255) საერთო ვერ ხედავს სახელმწიფოს ზრუნვასა და ჩართულობას არასრულწლოვანი დამნაშავეების სოციალურ რეაბილიტაციაში. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფო უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაციაზე, მათ მატერიალურ დახმარებაზე, განათლების მიღებაზე, შრომითი მოწყობის და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის სხვადასხვა საკითხებზე.

კვლევის მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ:

- რომ სოციალურად დაუცველი სერვისის მიმღები მოქალაქეები უმეტეს შემთხვევაში ნაწილობრივ ან არასაკმარისად კმაყოფილი არიან მიწოდებული სერვისების ეფექტურობით და დროულობით. კერძო სადაზღვევოს მომხმარებელი რესპოდენტები უფრო კმაყოფილი არიან სერვისების მრავალფეროვნებით.
- მიუხედავად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის და მედიკამენტების მხარდაჭერის პროგრამის არსებობისა, ძალიან ბევრ შემთხვევაში ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო იქმნება ბარიერები რომელთა გამო მოქალაქეები ვერ ახერხებენ მკურნალობის სრული კურსის ჩატარებას. გარდა ამისა, არის გარკვეული მომსახურებები და მედიკამენტები, რომლებიც ასევე არ არის ხელმისაწვდომი განსაკუთრებით პენსიონერებისთვის.
- სოციალური მდგომარეობის შეფასებით კი დგინდება, რომ რესპოდენტთა დიდი ნაწილი პოზიტიურად აფასებს მათთვის ხელმისაწვდომი მომსახურების და დახმარების არსებობას, თუმცა ამავდროულად გამოხატავს უკმაყოფილებას სერვისის ხარისხის და მოცულობის შესახებ. არსებული საპენსიო გასაცემელი არასაკმარისად მიაჩნიათ პენსიონერებს, ეს განსაკუთრებით იგრძნობა დედაქალაქში მცხოვრებ რესპოდენტებში.
- კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა ცხოვრობს დამაკმაყოფილებელ პირობებში, მათი დიდი ნაწილი განიცდის ფინანსურ გაჭირვებას, 37 % - ს ფინანსები ჰყოფნის მხოლოდ კვებაზე, ხოლო 8 % პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს და ფინანსური სახსრები კვებაზეც კი არ ყოფნის. ფინანსური პრობლემები უფრო მწვავედ დგას ასაკოვანი მოსახლეობისთვის, როგორც რეგიონებში ისე თბილისში.

მეხუთე ამოცანა

სოციალურად დაუცველი ფენის სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების პარამეტრების შესწავლა და შეფასება.

სოციალურად დაუცველი ფენის მდგომარეობის უკეთ შეფასების მიზნით ჩატარდა ხარისხობრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო სოციალურად დაუცველი სოცმუშაკების ბენეფიციარების საჭიროებების განსაზღვრა და სოციალური დაცვისა და ზრუნვის პროგრამებში სპეციალისტების მიერ დანახული პრობლემების ხარისხობრივი შეფასება. კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 24 - მა სოციალურმა მუშაკმა, რომელთაგან 20 (83 %) - ს ჰქონდა 5 წელი და მეტი მუშაობის გამოცდილება.

ზოგადი დამოკიდებულება სოციალური სერვისების არსებული რესურსების და მათ გამოყენების მიმართ.

რესპოდენტთა ზოგადი განწყობა საერთოა და მათ უმრავლესობას მიაჩნია, რომ სოციალური სერვისები ვერ ფარავს მოსახლეობის საჭიროებას, ძირითადი უკმარისობებია რესურსები, კადრები და მომსახურების ზომის უკმარისობა. მოწყვლადი ჯგუფები მძიმე მდგომარეობაში არიან: განსაკუთრებით მძიმეა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების, შშმ პირების, სოციალურად დაუცველების, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა სოციალური მდგომარეობა. გარდა სოციალურ და ეკონომიკური პრობლემებისა ისინი განიცდიან მნიშვნელოვან სტიგმას და დისკრიმინაციას.

მეორე პრობლემას წარმოადგენს სოციალური, იურიდიული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ნაკლებობა სოციალური სერვისების ბენეფიციარებისთვის.

რესპოდენტებმა ზოგადი ხასიათის პრობლემები აღწერეს:

- „იმ საჭიროებების დასაფარად რაც ბენეფიციარებს გააჩნიათ სოციალური სერვისები, ვფიქრობ, არ არის საკმარისი და საჭიროებს დამატებითი სერვისების მოძიებას მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასევე - მათი

მატერიალური მხარდაჭერის მიზნით საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსების გამოყენება.“

- „სოციალური მუშაკების რაოდენობა მოცემულ ეტაპზე არ არის საკმარისი. ხშირ შემთხვევაში სოციალურ მუშაკებს უწევთ ბევრად მეტ შემთხვევაზე და საქმეზე მუშაობა, ვიდრე მათ ამის რესურსი აქვთ. აღნიშნული, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება სოციალური მუშაკის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. შესაბამისად ვერ ხერხდება ბენეფიციარების საჭროებების სრულად მოცვა და ხარისხიანი სერვისის მიწოდება. პრობლემას ამწვავებს ქვეყანაში არსებული სოციალური სერვისების სიმწირე.“
- „ადგილზევე ფსიქოლოგის და იურისტის მომსახურების გაწევა ვერ ხდება და ბენეფიციარებს, ხშირად უწევთ ტრანსპორტირების ხარჯის გაღება, რომ დანიშნულების ადგილამდე მიაღწიონ. ძალიან ხშირად სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებშიც დიდი რიგებია. სამწუხაროდ, ბევრ სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეს მინიმალური ფინანსური საშუალებებიც კი არა აქვს, რომ მივიდეს სერვისის მისაღებად და ხშირად სწორედ ამის გამო ამბობენ უარს აღნიშნულ პროცედურებში მონაწილეობის მიღებაზე. შშმ პირების ტრანსპორტირება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, რადგან საჭიროა შესაბამისი ტიპის ტრანსპორტი.“

კითხვაზე კიდევ რჩებიან თუ არა ჯგუფები, რომლებმაც არ იციან ან არ მიუწვდებათ ხელი სოციალურ მომსახურებაზე?. ყველა სოცმუშაკი აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ნაწილს არ მიუწვდება ხელი სერვისებზე, ისინი ან არ არიან სათანადოდ ინფორმირებული ან არასკმარისად არიან მოცული სოციალური სერვისებით.

სოციალური მუშაკების და სოციალური სამსახურის მუშაობის თავისებურებები კოვიდ - 19 პანდემიის ფონზე.

ცალკე შეწავლის საგანს წარმოადგენდა კოვიდ - 19 პანდემიის პირობებში მოსახლეობის სოციალური პირობების შეფასება და მათი პრობლემები. კითხვაზე „რა სოციალური პრობლემები აქვთ სოციალური პროგრამის ბენეფიციარებს კოვიდ - 19 პანდემიის პერიოდში?“

სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ გაიზრდა სოციალური საჭიროებები და რისკები. მოსახლეობის ისედაც დაუცველ ფენას შეექმნა მნიშვნელოვანი პრობლემები, კიდევ უფრო გაუჭირდა და მათთვის სერვისების ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაართულდა. საგანგებო მდგომარეობის დროს კი გადაადგილების შეზღუდვის და დაინფიცირების საფრთხის გამო, უმრავლესობას არ ჰქონდა შესაძლებლობა დღის ცენტრით, ადრეული განვითარების პროგრამით და რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამით ესარგებლათ და შესაბამისი სრულყოფილი სერვისები მიეღოთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სოციალურად დაუცველი ადამიანი, განსაკუთრებით შშმ პირი ჩართულია რეაბილიტაციის პროგრამაში და ეკუთვნის სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სერვისები შესაბამისი ცენტრებში, ვირუსის გადადების შიშის გამო ბენეფიციარები ერიდებიან ბევრ ხალხთან კონტაქტს და ნაკლებად გადიან სახლიდან, ვინაიდან შშმ პირები არიან განსაკუთრებული რისკის ქვეშ.

პანდემიამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა და კიდევ უფრო გაართულა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი სოციალურად დაუცველი პირების მდგომარეობა, ამას ასევე დაემატა ეკონომიკური სირთულეები, შეზღუდვების და დაინფიცირების შიშის გამო არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის შემცირება.

პასუხებში გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება: „მათი სოციალური პრობლემები კიდევ უფრო გაღრმავდა. პანდემიის პირობებში კიდევ უფრო დაუმძიმდათ ეკონომიკური მდგომარეობა. მრავალი მათგანი ვეღარ ახერხებს ყოველდღიურად მუშაობას და პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას. აქვე აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარები ვერ სარგებლობენ სრულყოფილად სოციალური პროგრამებით. მაგალითად შშმ პირები და მათ ოჯახები, ასევე სენსორული განვითარების შეფერხების მქონე, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა პროგრამაში, მათ ჰქონდათ გარკვეული წინსვლა განვითარებაში, პანდემიის პირობებში კი უწყვეტ სახლში ყოფნა. განსაკუთრებულად პრობლემურად მიმაჩნია მოცემულ პერიოდში მათი მდგომარეობა, რადგან ხშირ შემთხვევაში მშობლებს უჭირთ დახურულ სივრცეში რთული ქცევის

ბავშვების ქცევის მართვა და შესაძლოა თავი იჩინოს სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტებმა ბავშვებზე.“

კოვიდ - 19 პანდემიის პირობებში მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა შშმ პირებს და მათთვის ჯანმრთელობის რისკებმა კიდევ უფრო მოიმატა. ასევე ძალიან მძიმე მდგომარეობა შეექმნათ სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებს. ონლაინ სწვალებასთან დაკავშირებით ასეთი ოჯახის შვილებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა ინტერნეტის და კომპიუტერის ხელმისაწვდომობაც. პანდემიის დროს კიდევ უფრო დამძიმდა საცხოვრებელი პირობები მათთვის, ვინც იღებს სხვადასხვა სოციალურ დახმარებას, ვალუტის გაუფასურების და არსებული შეზღუდვების პირობებში მათ შეექმნათ უკიდურესად გაუსაძლისი სიტუაცია. „გამვირდა საკვები პროდუქტები, ყოველდღიური საჭიროებისათვის განკუთვნილი ნივთები. სოციალურად დაუცველთა უმრავლესობა ან მათი ოჯახის წევრები დაკავებულნი იყვნენ გარე ვაჭრობით, ან თვითდასაქმების საშუალებით იღებდნენ შემოსავალს, რაზეც პანდემიის პერიოდში დაწესებულმა შეზღუდვებმა თავისთავად იქონია ნეგატიური გავლენა.“ ასეთ ოჯახებს „სახელმწიფოში არსებული ინფლაციიდან გამომდინარე კიდევ უფრო მეტად უჭირთ თანხების გადანაწილება პირველადი საჭიროების ნივთებზე და ბევრი მათანი არის შიმშილის ზღვარზე.“ „ოჯახის წევრები, რომლებიც დღიურ სამუშაოებზე იყვნენ დასაქმებული, დარჩნენ უმუშევრები. მეტი საკვები პროდუქტების საჭიროება აქვთ, რადგანაც ბავშვები მთელი დღის მანძილზე სახლში არიან. ასევე მეტი ჰიგიენური საშუალებები ესაჭიროებათ.“

სოციალური პროგრამების განვითარების და სოციალური მუშაკების მდგომარეობის შეფასება

რესპოდენტების შეფასებით სოციალური დაცვის პროგრამების მოცვა და სერვისები მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა მიუხედავად ამისა საკმარისი არ არის. ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების სამუშაო პირობების გაუმჯობესება სოციალურის სერვისების ხარისხის და მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად: - „პირველ რიგში მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების რაოდენობა იყოს შესაბამისობაში იმ საქმის მოცულობასთან, რასაც დღეს სახელმწიფო ზრუნვის

სააგენტოს სოციალური მუშაკები ასრულებენ. აუცილებელია მათ სამუშაო გარემო იყოს აღჭრვილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით და არ უწევდეს რამდენიმე სოციალურ მუშაკს ერთ კომპიუტერის, მაგიდის, სკამის გაზიარება. მნიშვნელოვანია დაცული იყოს სოციალური მუშაკი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში. სოციალური მუშაკები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი სოციალური გარანტიებით. სოციალურ მუშაკს თავისი საქმიანობის განხორციელებისთვის ესაჭიროება სხვადასხვა სოციალური პროგრამის არსებობა. მნიშვნელოვანია პროგრამების რაოდენობა და სამიზნე ჯგუფები გაფართოვდეს, რათა სოციალურმა მუშაკმა შეძლოს მხარდაჭერი მომსახურების სრულფასოვნად განხორციელება.“

როგორც რესპოდენტების პასუხებიდან ჩანს, სოცმუშაკებს ესაჭიროებათ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის. მათ არ გააჩნიათ სოციალურ და ეკონომიკური მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ რაც ძალიან მოქმედებს პროგრამის სერვისების მიწოდების ხარისხზე. მათი მოსაზრებით სოციალური მუშაკების მხარდაჭერა თუ არ გაუმჯობესდება სოციალური პროგრამები ვერასოდეს გახდება ხარისხიანი და ეფექტური.

მონაცემთა ანალიზით დგინდება, რომ:

- სოციალურად მოწყვლადი ფენების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და მწვავედ დგას მათი დროული დახმარების საკითხი, მათ შორის მზრუნველობამოკლებული ბავშვების, არასრულწლოვანი დამნაშავეების რეაბილიტაცია, შშმ პირების მხარდაჭერა და საზოგადოებაში ინტეგრირება.
- არანაკლებ მწვავედ დგას სოციალური მომსახურების ინსტიტუციური მოწყობის საკითხები. ქვეყანაში საკმაოდ სუსტია სოციალური მუშაკების ინსტიტუტი და სოციალური მუშაკების მომზადება და მათი მხარდაჭერა.
- ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დღეს საქართველოში არსებული პროგრამები და რესურსები არასაკამრისია ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გადასაჭერელად. ამ პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს არსებული

მწირი რესურსების სწორ მართვაში და ორგანიზებაში არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის პროგრამების ხარისხიან და დროულ განხორციელებას.

თავი 4

დასკვნები

კვლევის შედეგები წარმოაჩენს სოციალური და ჯანდაცვის სისტემის ერთობლივი და ეფექტური მუშაობის აუცილებლობას, სოციალური სერვისებით ადექვატური მოცვის და ხელმისაწვდომობის სწორი განაწილების და დროული მიწოდების მნიშვნელობას.

- საქართველოს სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების პროგრამები ეფუძნება განვითარებული ქვეყნების პროგრამების პრინციპებს. ხოლო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების მიხედვით ქვეყნის სოციალური და ჯანდაცვის სტრატეგიები იზიარებს ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ შესაბამის სტრატეგიებს და ქვეყანაში არსებული პროგრამები ეფუძნება მათ ძირითად მოთხოვნებს.
- საქართველოში მოქმედი სოციალური პროგრამები სამ ძირითად მიმართულებას მოიცავენ, ესენია: სოციალური პროგრამები, ჯანდაცვის პროგრამები და სახელმწიფო გასაცემელი.
- სოციალური პროგრამები, რომელიც უშუალოდ ემსახურება სოციალურად დაუცველ ოჯახებს და შშმ პირებს, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. შემწეობის მიმღები მოქალაქეების რაოდენობა 2010 – 2019 წლებში საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11 % - დან 13 % - მდე მერყეობს ანუ საშუალოდ ყოველი მეათე ადამიანი ქვეყანაში არის სოციალურად დაუცველი და საჭიროებს მუდმივ ფინანსურ მხარდაჭერას, რომ იარსებოს. სოციალური პროგრამების ბენეფიციართა უმრავლესობა წარმოადგენს ბავშვებს და არასაპენსიო ასაკის ჯგუფს.
- საქართველოში მოქმედებს ჯანდაცვის პროგრამები, რომელთა ბენეფიციარების რაოდენობა იზრდება დინამიკაში და ძირითადად მოდის ჯანდაცვის ბაზისურ საჭიროებებზე. პირველადი და სპეციფიური საჭიროების მედიკამენტების პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის და მისი მომხმარებელთა რაოდენობა, მისაწოდებელი მედიკამენტების ასორტიმენტი იზრდება დინამიკაში. თუმცა ჯერ კიდევ მრავლად არის ფინანსური

ბარიერები, რომელთა გამო მოქალაქეები ვერ ახერხებენ მკურნალობის სრული კურსის ჩატარებას.

- რესპოდენტთა უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს მათთვის ხელმისაწვდომი მომსახურების და დახმარების არსებობას, თუმცა ამავდროულად გამოხატავს უკმაყოფილებას სერვისის ხარისხის და მოცულობის შესახებ.
- კვლავ დიდ პრობლემად რჩება ფინანსურ გაჭირვება, მოსახლეობის 37 % - ს ფინანსები ჰყოფნის მხოლოდ კვებაზე, ხოლო 8 % პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს და ფინანსური სახსრები კვებაზეც კი არ ყოფნის. ფინანსური პრობლემები უფრო მწვავედ დგას ასაკოვანი მოსახლეობისთვის, როგორც რეგიონებში ისე თბილისში.
- არადამაკმაყოფილებელია სოციალურად მოწყვლადი ფენების მდგომარეობა, მათ შორის მზრუნველობამოკლებული ბავშვების, არასრულწლოვანი დამნაშავეების რეაბილიტაცია, შშმ პირების მხარდაჭერა და საზოგადოებაში ინტეგრირება.
- არანაკლებ მწვავედ დგას სოციალური მომსახურების ინსტიტუციური მოწყობის საკითხები. ქვეყანაში საკმაოდ სუსტია სოციალური მუშაკების ინსტიტუტი და სოციალური მუშაკების მომზადება და მათი მხარდაჭერა.
- ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დღეს საქართველოში არსებული პროგრამები და რესურსები არასაკამრისია ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გადასაჭერელად. ამ პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებს არსებული მწირი რესურსების სწორ მართვაში და ორგანიზებაში არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის პროგრამების ხარისხიან და დროულ განხორციელებას.

რეკომენდაციები

- ქვეყანას გააჩნია გაწერილი და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით შედგენილი სტრატეგიები და პროგრამები, მაგრამ სისტემის და პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისთვის აუცილებელია შესაბამისი პროგრამული მონიტორინგის და შეფასების ინდიკატორების დანერგვა და მათზე დაკვირვება.
- თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში საპენსიო ასაკის პირთა რაოდენობრივ ზრდას, შობადობის შემცირებას, სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის კლებას, მიგრაციულ პროცესებსა და არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ქვეყნის მოქალაქეთა ღირსეული ხანდაზმულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედება.
- აუცილებელია ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ხანდაზმულთათვის, შშმ პირთა და შშმ ბავშვთათვის ხანგრძლივი მოვლის, მათ შორის, შინ მოვლის პროგრამების დანერგვა. თემზე დაფუძნებული სხვა მომსახურებების განვითარება და სახელმწიფო დაფინანსების კრიტერიუმების გადახედვა, რაც ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.
- სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების განსამტკიცებლად, საჭიროა დაიწყოს პრევენციული სოციალური დაცვის სისტემის დანერგვა, რაც სამომავლოდ თავიდან აგვაცილებს მოსახლეობის გადატაკებას და დამატებით პროგრამულ დანახარჯებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მუდმივი დახმარებისთვის.
- ინდივიდუალური და თემზე ორიენტირებული მომსახურებების დროული და მარტივი შეთავაზება და გამოსავალის ინდიკატორების მუდმივი მონიტორინგი გაზრდის პროგრამების ეფექტურობას.
- სოციალურ მუშაკთა სამუშაო პირობების და დატვირთვის სწორი განაწილება, მათი მუშაობის პროცესის დამატებითი ხელშეწყობა, პროფესიული განათლების და სხვა საშუალებებით, სწორად ჩამოყალიბებულ მონიტორინგთან ერთად

მნიშვნელოვნად გაზრდის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარისხს და ეფექტურობას.

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამების დანერგვა შეამცირებს ბავშვთა მიტოვებისა თუ ოჯახებისგან განცალკევების ფაქტებს და ხელს შეუწყობს ბავშვთა სოციალურ ინტეგრაციას.
- შშმ პირთა, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზების მხარდაჭერის პროგრამა მნიშვნელოვნად გაზრდის მათი ცხოვრების ხარისხს და სოციალური პროგრამების ინკლუზიურობას.

Thesis of Dissertation**Evaluation of Social Characteristics, Access to and Satisfaction with Healthcare Services in the Population of Georgia.****Introduction of the study**

The republic of Georgia has social support and social insurance systems, which has developed social policy and programs to reduce the risks of poverty and vulnerability, to find the ways of solving existing social-economical problems in the country.

Country has the special agency named as “Social Service Agency” providing various services to different social groups requiring them. National health and social programs are accessible across the country and covers around 60 percent of the citizens of the country. The Universal Health insurance Program is the biggest program, ensuring universal coverage of non-insured individuals living in the country with medical services, funding is provided from national budget. As of the end of 2019, about 779 thousand people used the mentioned services, which constitute around 19% of the Georgian population. Based on the results of survey conducted under this study around one third of participants are satisfied with the quality of services provided by the family doctors under the national universal health insurance system. However many citizens of Georgia, especially pensioners, experience insufficient financial support to obtain some necessary medical services and medications. The objective of this phd project was to evaluate the level and accessibility of social services, social defence and social security for citizens of the republic of Georgia, in order to discover the characteristics of existing problems and identify strategies and recommendations to improve effectiveness of social services in the country.

The goals of the study were the following:

1. Analyse and evaluate existing social systems in other countries, including developed countries to share their experience and achievements for better planning and implementation of social services in Georgia.
2. Assess effectiveness of existing socials system and programs in the republic of Georgia.

3. Evaluate the accessibility of existing social security and support services to various age and social groups in Georgia.
4. Evaluate social environment and complex social markers in Georgia.
1. Assess the determinants and parameters of social support and social security of vulnerable population in Georgia.

2. Methods

Study population and data collection instrument

Literature search and analysis was conducted in order to identify experience of other countries. National reports and publications were used to evaluate existing national social programs. Observational study was conducted to identify determinants and characteristics of social security and social support system of Georgia. Qualitative study was conducted to evaluate accessibility of social services to citizens of Georgia and identify their additional needs.

Quantitative study

An observational study was conducted in 2018 – 2019 years. Eligible participants were adults 18 years of age and older, all of them provided informed consent to participate in the study. Two stage cluster sampling method was used to collect adequate amount of study participants. At the first stage clusters were selected by geographic locations of the country and agreed with the respective governmental authorities. At the following stage, potential respondents were selected using randomly selected addresses/households per each sampling point. The selected respondents were asked to complete the questionnaire at the preferred location. Overall, 850 respondents agreed to participate in the study.

A research instrument was a self-administered structured anonymous questionnaire which could be filled by participant, questionnaires were tested by interviewers before the conducting the study. Questionnaire had four sections and total of 70 questions, requiring about 30-40 minutes to complete. The first section collected demographic data (age, gender, and family information); the second section asked information on respondents' health and access to health care services as well as satisfaction; The third one was about the usage of state or private insurance services; and finally, the fourth section contained questions concerning social conditions (average income, living conditions referring to shelter, safety and proper sanitation), usage of social services and their satisfaction with the services.

Data analysis

The methods of descriptive and analytic statistical were applied to conduct data analysis. Variables were coded and analysed. The continuous variables were categorized and frequencies were calculated for all categorical variables. Bivariate analysis was conducted using chi-square test to assess associations between different socio-demographic variables and indicators of satisfaction with services. Statistical significance was defined as p-value <0.05. Statistical program R for Windows (4.0.2) and the libraries (dplyr, ggplot, stringr, readr, tidyverse) were used for statistical analysis.

3. Results

3.1. Demographic characteristics

A total of 956 potential respondents were reached to offer participation in the study. 850 agreed on participation and completed questionnaire, and 106 refused to participate in the study. 71 % of participants were male, 49.3 % were at the age groups 35-60 years old. 539 (63%) respondents were participated from the capital city Tbilisi and 311 (37%) were from other regions of Georgia. 53,5% of participants were self-employed or were unemployed. 608 (71,5%) of participants were married and 242 (28, 5%) were divorced, widower or single. 80 % of the participants had at least one child in a family. The result of this project underlines the need of effective collaboration between national social and health systems of Georgia, to improve the coverage and access of social services, their timely and fear distribution among citizens of the country.

- The design of national social support and social security system of Georgia are based on the same principles applied by the socials systems of countries in European Union. Based on requirements of association agreement with European Union member countries should share same strategies for national social programs.
- There a number of social programs in Georgia, their coverage and funding improving in dynamic.
- National social programs of Georgia has three main direction: social programs, public health programs and national social subsidies.
- Evaluation of national social programs reveal that they are available for poor families and peoples wih disabilities.
- An estimated 11% to 13% of population of Georgia requires permanent social and economical support from government to maintain minimal living conditions.

- The majority of beneficiaries of national programs receiving social support are children and adults. The third of them are less than 20 years, however 25% constitutes people from 30 to 50 years old.
- One third of citizens receiving social support are families with many children. Increasing number of beneficiaries were administered in the Tbilisi, compared to other geographic area in Georgia.
- In majority of cases the beneficiaries of social services consider that services could be improved to become more appropriate for their needs.
- There are still many citizens, particularly older people including pensioners, suffering due to insufficient financial support to acquire adequate treatment course for their health conditions.
- Majority of pensioners consider that pension is not sufficient for their need and they live with very poor life.
